ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 9 მაისი 2000 №85 (1107) | ფასი 50 თეთრი

2

## ნემსაძემ უთამაშებლობისგან დაისვენა



ნაკრების კაპიტანი შოტლანდიურ „დანდის" 3 წლით დაუკავშირდა

6

## მანჩესტერული დერბი აღდგება



ჩვენი ძველი ნაცნობი „სიტი" პრემიერლიგას დაუბრუნდა

10

## დღეს ბაიერნი რეალს გერმანიის თასით დაუხვდება

UEFA CHAMPIONS LEAGUE



16

## ჰოკეისტებმა პუტინს აწყენინეს

რუსეთის ნაკრები არნახულად შერცხვა, თანაც შინ, სანკტ პეტერბურგში

# დინამიური 0:0 ტორპედოსთვის

*შაბათს ბათუმში ორი „დინამო" წლეულს უკვე მეორედ უგოლოდ დაშორდა. ამ დინამიურმა ფრემ, თბილისელთათვის მეშვიდე რომ გამოდგა, ჩემპიონატის ლიდერი „ტორპედო" აჩქარა. ქუთაისელები „ვიტ ჯორჯიას" ოთხით, თავად „დინამოს" კი ხუთი ქულით უსწრებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ ტორპედოელები ერთ-ერთ მდევარს მაინც მოუგებენ, ოქროს მედლებსაც არავის დაუთმობენ. დღეს კი ძველი ჩემპიონი მომავალს სტუმრობს თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩში. პირველი შეხვედრა თბილისში 1:1 მორჩა და „დინამოსთვის" ჩვეული 0:0 დღეს ქუთაისელებს მისცემს ხელს. „ლოკომოტივთან" თბილისში წაგებული 0:2-ის ამოქაჩვას „ბათუმი" დღესვე შინ ეცდება. ვინ გავა ფინალში, ვინ აიღებს თასს და ვინ ირგუნებს ევროსაგზურებს?*

იხილეთ მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე გვერდები

ელგუჯა ფხაკაძე ბათუმიდან



შაბათს ბათუმში: „ბათუმი" — „დინამო" 0:0. მეკარე სოსო გრიშიკაშვილმა იფრინა

## საქართველოს ჩემპიონატი — 10 ტური

### «ა» ზონა

6 მაისი, შაბათი

| | |
|---|---|
| ბათუმი | 0 |
| დინამო | 0 |
| კოლხეთი | 5 |
| სიონი | 0 |
| დილა | 0 |
| ვიტ ჯორჯია | 2 |
| იბერია | 0 |
| ტორპედო | 3 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 10 | 6 | 2 | 2 | 26:9 | 38 |
| ვიტ ჯორჯია | 10 | 6 | 4 | 0 | 11:4 | 34 |
| დინამო | 10 | 3 | 7 | 0 | 10:2 | 33 |
| ბათუმი | 10 | 5 | 2 | 3 | 14:7 | 32 |
| კოლხეთი | 10 | 4 | 3 | 3 | 13:8 | 28 |
| სიონი | 10 | 2 | 1 | 7 | 10:22 | 18 |
| დილა | 10 | 2 | 0 | 8 | 9:21 | 16 |
| იბერია | 10 | 2 | 1 | 7 | 5:25 | 16 |

### «ბ» ზონა

5 მაისი, პარასკევი

| | |
|---|---|
| თსუ | 2 |
| არსენალი | 0 |

6 მაისი, შაბათი

| | |
|---|---|
| გორდა | 1 |
| მერანი | 1 |
| სამგურალი | 1 |
| ლოკომოტივი | 0 |
| ხობი | 1 |
| თბილისი | 2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერანი | 10 | 6 | 4 | 0 | 11:2 | 30 |
| ლოკომოტივი | 10 | 6 | 2 | 2 | 17:3 | 29 |
| გორდა | 10 | 6 | 2 | 2 | 17:5 | 28 |
| თსუ | 10 | 6 | 0 | 4 | 13:10 | 26 |
| სამგურალი | 10 | 4 | 3 | 3 | 9:6 | 21 |
| არსენალი | 10 | 3 | 0 | 7 | 11:20 | 14 |
| თბილისი | 10 | 2 | 1 | 7 | 8:19 | 14 |
| ხობი | 10 | 1 | 0 | 9 | 10:31 | 8 |

პირველი ეტაპის ქულები განახევრებულია

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

# ჰაკინენი პირველია, კულჰარდი — გმირი

REUTERS ბარსელონიდან



მიკა ჰაკინენი

კვირას ბარსელონაში ესპანეთის დიდ პრიზზე რბოლის ფინიშის ხაზი პირველმა მიკა ჰაკინენმა გადაკვეთა, მეორე დევიდ კულჰარდი იყო. „მაკლარენის" პილოტებმა პრაქტიკულად უშეცდომოდ წარმართეს რბოლა და შთამბეჭდავი დუბლითაც დაასრულეს იგი. მაკლარენელთა ბრიტანული დუბლის მერე ეს გასაკვირი არც იყო, მაგრამ კულჰარდის მეორე ადგილი მართლაც რომ გმირობაა: რბოლამდე ოთხი დღით ადრე იგი საშინელ ავიაკატასტროფაში მოჰყვა და ჯერაც სერიოზულად აწუხებს დაზიანებული ნეკნები. სხვა მის ადგილზე სულაც მოერიდებოდა სტარტზე გამოსვლას. მიკამ კი წლეულს პირველად გაიმარჯვა, ზედიზედ მესამედ ბარსელონაში და ამით ლეგენდარულ ჯეკი სტიუარტს გაუტოლდა.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

AP ბარსელონიდან



დევიდ კულჰარდი და მისი საცოლე ჰაიდი ვიჩლინსკი ჭირშიც და ლხინშიც განუყრელნი არიან



დავით ჯანაშია (ბურთით) და ვალტერ გუჩუა დღეს ისევ შეიყრებიან

## საქართველოს თასი

### ნახევარფინალი განმეორებითი მატჩები

# ოთხიდან ორი 9 მაისს იზეიმებს

შარშანაც ცხრა მაისი იყო... ქუთაისის „ტორპედომ“ თბილისის „დინამოს“ საკუთარ სტადიონზე 3:1 მოუგო.

დღესაც ცხრა მაისია, მაგრამ ახლანდელი დაპირისპირება გაცილებით დაძაბული და საინტერესოა, ვიდრე შარშანდელი.

ინტრიგა დღეს უფრო მეტია, ვიდრე ოდესმე ყოფილა. 9 მაისს ან „ტორპედო“ იქნება საბოლოოდ გამარჯვებული, ანაც „დინამო“. ორიდან ერთი თასის ფინალში გავა. ერთი მეორეს თავის უპირატესობას დაუმტკიცებს.

წინა წლების სტატისტიკას თავი ვანებოთ და უკეთესის გამოსავლენად წლევანდელი გათამაშება დავიხმაროთ.

„დინამო“ წლეულს მეხუთედ დაუპირისპირდება „ტორპედოს“. პირველად სეზონის დაწყებამდე, ამხანაგურ მატჩში 3:1 იძალა „დინამომ“. მერე სუპერთასიც მოუგო და ამას ქუთაისიდან წამოღებული ქულაც დაუმატა.

ნახევარფინალის პირველი, თბილისური თამაში 1:1 დასრულდა. ანგარიში აშკარად ტორპედოელებს აძლევთ ხელს, მაგრამ საერთო უპირატესობა დინამოელთა მხარესაა. რაც მეთერთმეტე ეროვნული დაიწყო, „ტორპედოს“ „დინამო“ ჯერაც ვერ წაუქცევია, არადა, ლამისაა ჩემპიონიც გახდეს.

დღეს საპასუხო მატჩია, სწორედ ახლაა გადამწყვეტი ჟამი, ან „ტორპედო“, ანაც „დინამო“!

დისკვალიფიცირებული არავინაა, ორივე მწვრთნელს სრული საბრძოლო შემადგენლობა ეყოლება. „ტორპედო“ შინაა, დასვენებული და გამარჯვებას („დინამოსთან“) მოწყურებული. არც „დინამოა“ შორს, იქვე ყურისძირში, წყალტუბოში ისვენებს, მაგრამ უფრო მეტად ნამგზავრი და ნაჯაფარია. ჩემპიონებმა დიდი ენერგია შეალიეს ბათუმურ მატჩს.

ინტერესი დიდია, ინტრიგა უფრო მეტი, ხოლო დავით ყიფიანის ტაქტიკა სჯობს თუ ოთარ კორღალიძისა, ამას ხვალ მოგახსენებთ.

„ლოკომოტივი“ წყალტუბოში „სამგურალს“ თითქმის სამარქაფოებით რომ ეწვია, თბილისში არ დაბრუნებულა, გზა პირდაპირ ბათუმისკენ გააგრძელა.

ძოძუაშვილმა სიფრთხილე გამოიჩინა, წამყვანი მოთამაშეები დაასვენა და ამაში ვერც ვერავინ დაადანაშაულებს. ზედმეტ საჯარიმო ბარათებს და გაუთვალისწინებელ ტრავმებს მოერიდა მწვრთნელი. რკინიგზელები ჯგუფში მაინც დარჩენილები არიან და მთელი ყურადღება სათასო მატჩებზეა გადატანილი. მხოლოდ თასი, სხვა ყველაფერი მეორეხარისხოვანი — ასეთია დღეს „ლოკომოტივის“ დევიზი.

ორბურთიანი ფორით ჩაიყვანა რევაზ ძოძუაშვილმა გუნდი ბათუმში და ბოლოდროინდელ ამბებს თუ გავითვალისწინებთ, მაშინ არა გვგონია, უპირატესობა გაფლანგოს. „ბათუმი“ იძულებულია, შეუტიოს, თუმც ეს „ლოკომოტივის“ წისქვილზე დაასხამს წყალს. კონტრშეტევა ხომ რკინიგზელთა სტიქიაა. სტუმრები ასეთ ბრძოლაში პოულობენ საკუთარ თამაშს და ხშირად გამარჯვებულებიც გამოდიან.

ძოძუაშვილი მაინც ფრთხილობს, თავისუფლად მხოლოდ ბათუმური მატჩის შემდეგ ამოსვისუნთქებო, იძახის.

„ბათუმი“ კი... ვერაფერს მოგახსენებთ. სინამდვილეში ღმერთმა უწყის, რა ხდება კარნევალის ბანაკში. ძნელი გამოსაცნობია, რას ფიქრობენ მწვრთნელ-ფეხბურთელები. მთლად დალაგებულად რომ არ მისდით საქმეები, ფაქტია.

აქამდე სამჯერ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ერთი „ბათუმმა“ მოიგო, ერთიც „ლოკომოტივმა“, ერთი კი ფრედ დამთავრდა. დღეს კარნავალისა და ძოძუაშვილის რიგით მეორე დაპირისპირებაა, პირველში ქართველმა გაიმარჯვა, რას იზამს იტალიელი?

მსაჯებზე რა მოგახსენოთ, არბიტრთა გარჯა იდეალური თუ არა, ობიექტური აუცილებლად უნდა იყოს. ორივე მატჩზე მივლენილებმა კარგად უწყიან, რომ მათ ერთ შეცდომას შეიძლება სამსაჯო კარიერაც კი შეეწიროს და ვისა აქვს დღეს ასატკივარი თავი? ალბათ, არავის.

ისე, ცხრა მაისი გამარჯვების დღეა. ოთხი ნახევარფინალისტიდან ორი მართლაც გამარჯვებული დარჩება და საქმეც საზეიმოდ გაუხდება. ეგაა საკითხავი, რომელი ორი?

**დავით დანელია**

ქუთაისი. „ტორპედო“. 9 მაისი. 17 საათი

### ტორპედო — დინამო

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ს. კახიანი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

ბათუმი. „დინამო“. 9 მაისი. 18 საათი

### ბათუმი — ლოკომოტივი

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); კ. მესხი (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

საქართველოს ჩემპიონატი 11 მეორე ეტაპი

## 10 ტური

# გამრავლდით, ფეხბურთელებო!

## ბევრი შვილი ბევრი გოლია

ფოთი
6 მაისი
18 საათი
ფაზისი
1 000 (ტევადობა 6 500)

**კოლხეთი 5:0 სიონი**

1:0 ლალანიძე (7), 2:0 დავითნიძე (30), 3:0 გვასალია (33), 4:0 ქობულაძე (39), 5:0 ფანჩულიძე (68)

**კოლხეთი:** ქვაჩახია, გოროზია, ტორჩინავა, დავითნიძე, ფანჩულიძე, ახალკაცი (შავგულიძე 69), კიკლიაშვილი, მ. ქობულაძე (პაპავა 65), ე. გვასალია (კვირკველია 81), ლალანიძე, შალამბერიძე

*სათადარიგონი:* მ. გვასალია; კედელაშვილი, გ. ჩიტაია

**სიონი:** დალაქიშვილი, კ. გოდერძიშვილი, ვ. მაისურაძე, სვანიძე, დიმიტრიშვილი, მ. სამხარაძე (ელბაქიძე 69), ნ. მინდიაშვილი, მ. გოგოლაძე, თ. სამხარაძე, მოსეშვილი, კ. გოგოლაძე

*სათადარიგონი:* ვოლკოვი; დ. ჯაფარიძე, ფ. არჩვაძე, ისიანი

**მსაჯები:** მ. მალალურაძე; მ. ელიკაშვილი, ლ. სილაგავა, მ. მაისურაძე (ყველა თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

**გოჩა ჯანაშია ფოთიდან**

ეჰ, რა ქულები გავანიავეთ, თორემ, ევროთასებზე გასვლა კი არა, იქნებ ჩემპიონობაზეც გვეფიქრაო — ასეთი სევდანარევი სიტყვები ისმოდა შაბათს „ფაზისზე“.

ბოლოდროინდელმა წარმატებებმა იმტაზე მოიყვანა კოლხები და ამბიციებიც, იცოცხლეთ, შეემატათ. არადა, მართლა ისე ათამაშდნენ, ალალია მათზე ევროპაში „გასეირნება“. მაგრამ შეძლებენ კი ფოთელები ჩამორჩენის დაძლევას და თუნდაც ოთხეულში მოკალათებას?

განიავებულ ქულებში, პირველ ეტაპს თუ არ ჩავთვლით, „ა“ ზონაში წაგებული ორი მატჩი იგულისხმება. ამათგან ერთი, „იბერიასთან“ საგარეო მარცხი, იმერელთა მეკარის საუცხოო თამაშმა განაპირობა. აი, ბოლნისური წაგების უმთავრეს მიზეზად კი ზღვისპირელები მსაჯ ლევან ფანიაშვილს მიიჩნევენ. გახსოვთ, ალბათ, დავითნიძის გაძევებამ და ამას მოყოლილმა ფედერაციის ლანძღვა-გინებამ რა აჟიოტაჟი გამოიწვია. ამიერიდან ფანიაშვილის ფეხი არ იქნება ფოთშიო, გაიძახოდნენ მაშინ „კოლხეთის“ მესვეურები და დღესაც ამ აზრზე არიან.

ეტყობა, „კოლხეთს“ ჯერაც მწარედ ახსოვდა ის ბოლნისური წარუმატებლობა და „სიონზე“ ჯავრი ხუთი უპასუხო გოლით იყარა.

ამ მატჩის წინადღეს ზაველ ლალანიძეს ქალიშვილი შეეძინა. უამრავმა მილოცვამ, ჩანს, ფეხბურთელზე განსაკუთრებულად იმოქმედა და მანაც ლომის წილი დაიდო სტუმართა რბევაში. პირველ ტაიმში გასული ოთხი გოლი მისი უშუალო [illegible]

პირველი გოლი სწრაფი გამოდგა. საჯარიმოს რკალიდან მოშორებით ბოლნისელები დაჯარიმდნენ. ყველა ლალანიძის დარტყმას ელოდა, მაგრამ ჯარიმა შალამბერიძემ შეასრულა, რასაც დალაქიშვილის უხეირო მოგერიება მოჰყვა. ბურთს პირველმა ზაველმა მიუსწრო და ანგარიშიც გახსნა.

„სიონი“ არ შედრკა და ხუთიოდ წუთში კინაღამ გააყაიმა კიდეც. მოსეშვილი ეულად შეება სამ მცველს და ყველასთვის მოულოდნელად ქვაჩახიასთან პირისპირ აღმოჩნდა. თავადაც გაკვირვებულმა მოიერიშემ ხეირიანად ვერ დაარტყა და ბურთი ტორჩინავას ფეხიდან კუთხურზე გადავარდა.

ქვემოქართლელები მეტად აღარ გამორჩეულან და კოლხთა უპირატესობა აშკარა გახდა, რაც მალე ათწუთიან გოლთაცვენაშიც გამოიხატა.

30-ე წუთზე ლალანიძემ კუთხურიდან ბურთი ფანჩულიძეს დაუგორა. ამან კარის მიმართულებით ძლიერად გაისროლა და შეტევაში ჩართულმა დავითნიძემ, ბურთს უხერხულად კი დაუხვედრა ფეხი, მაგრამ გასატანად ამანაც იკმარა.

სამ წუთში ისევ ლალანიძემ ივარგა, გონივრული პასით მცველები უსაქმოდ დატოვა და ელდარ გვასალიამ იოლადაც გაასამა.

კიდევ ექვსი წუთი და ლალანიძემ ჩვეულად, მძლავრად დაარტყა. დალაქიშვილი ვერც ახლა გამოირჩა — ბურთი ხელში ვერ შეიმაგრა და ქობულაძემ დასწრებაზე იყოჩაღა.

მეორე ტაიმში ორივე გუნდი მოეშვა და ეს არც იყო გასაკვირი. ყველაფერი შესვენებამდე გაირკვა. თუმცა საბოლოო წერტილი 68-ე წუთზე დაისვა: ფანჩულიძემ დარტყმა სცადა, მაგრამ ახალკაცთან კედლის გათამაშება გამოუვიდა, ხელმეორე ცდაზე კი აღარ ააცილა.

მატჩის შემდეგ კოლხებს ბათუმური 0:0 დიდად ეამათ — მეოთხე ადგილზე მყოფ „ბათუმთან“ ჩამორჩენა ხომ ორ ქულამდე შემცირდა. ჰოდა, ევროსაგზურისთვის ბრძოლა ახლა ნახეთ.

# ნემსაძემ დაისვენა

## ნაკრების კაპიტანი დანდის დაუმგობილდა

იტალიის „რეჯანადან“ წამოსვლის შემდეგ საქართველოს ნაკრების კაპიტანი გიორგი ნემსაძე თავის დანიელ მენეჯერ ივან ბენემთან ერთად თითქმის წელიწადს ეძებდა ახალ გუნდს. იყო უკრაინულ „კრივბასში“, ინგლისურ „პორტსმუთში“, შოტლანდიურ „ჰიბერნიანში“. რუსეთის „სპარტაკსა“ და „ზენიტში“ მის გადასვლაზეც ლაპარაკობდნენ. ყველა ვარიანტი ჩაიშალა, ზოგი გიას მოთხოვნილ პირობებს ვერ აკმაყოფილებდა, ზოგსაც სხვა პრობლემები ექმნებოდა. ვოიაჟებიდან შინ დაბრუნებული ნემსაძე დროდადრო ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე კლუბებშიც თამაშობდა — ჯერ „ლოკომოტივში“, მერე „დინამოში“ — ოღონდ ერთი პირობით, იქამდე რჩებოდა, ვიდრე უცხოურ კლუბში გადასვლის შანსი გაუჩნდებოდა.

ახლა, როგორც იქნა, გიორგი ნემსაძემაც დაისვენა და ჩვენც გვაქვს უფლება, ერთი ნაღდი ამბავი გამცნოთ — საქართველოს ნაკრების კაპიტანი მომავალი სეზონიდან შოტლანდიურ „დანდიში“ ითამაშებს.

წინა კვირაში გია დანდის სულ ერთი დღით ესტუმრა, კლუბთან კონტრაქტი გააფორმა და უკანვე დაბრუნდა. შაბათს „დინამოს“ შემადგენლობაში ბათუმშიც ითამაშა. ნემსაძე „დინამოს“ საქართველოს ჩემპიონატის დამთავრებამდე დაეხმარება, მერე კი...

— „დანდისთან“ ხელმოწერილი სამწლიანი კონტრაქტი 1 ივლისიდან ამოქმედდება. სწორედ იმ დროისთვის ჩავალ შოტლანდიაში და ახალ გუნდთან ერთად დავიწყებ მომზადებას. დანდიში სულ რამდენიმე საათით გახლდით, კლუბის ოფისში მიმიპატიჟეს, კონტრაქტი გავაფორმე და უკანვე წამოვედი. ჩემი მიწვევით ედინბურგის „ჰიბერნიანი“ რომ იყო დაინტერესებული და მათთან ვვარჯიშობდი, დანდიდან სწორედ მაშინ შემეხმიანნენ. მგონი, ისრაელშიც იმყოფებოდა „დანდის“ ერთ-ერთი მწვრთნელი ჩემი თამაშის სანახავად. სხვა რა, ნორმალური გუნდი ჩანს და ვნახოთ, მომავალში რა იქნება —



გიორგი ნემსაძე „დანდიში“ გადავიდა

გვითხრა გუშინ წყალტუბოში მყოფმა „ტორპედოს“ წინააღმდეგ ნახევარფინალური მატჩისთვის გამზადებულმა გია ნემსაძემ.

„დანდიმ“ კი, რომელიც შოტლანდიის 10-გუნდიან ჩემპიონატში 38 ქულით „სენტ ჯონსტონთან“ ერთად მეშვიდე ადგილზეა, ბოლო ტურში 3:0 მოუგო შინ თანაქალაქელ „იუნაიტედს“

**კობა ინასარიძე**

# განაჩენი ლამაზი იყო



ბათუმელმა ლევან ხომერიკმა დინამოელ მცველებს საჰაერო ბრძოლა მოუგო

ბათუმი
6 მაისი
18 საათი
დინამო
8 000 (ტევადობა 20 000)

**ბათუმი 0:0 დინამო**

**ბათუმი:** ტოგონიძე, ზ. არჩვაძე, მინდაძე (მაჭუტაძე 67), მ. მახარაძე, შ. ხუჯაძე (რომანაძე 78), სიდამონიძე, ტულუში (ღლონტი 46), ი. მახარაძე, ხომერიკი, ა. მუჯირი, აფხაზავა
*სათადარიგონი:* ჩლაიძე; თედორაძე, ქაცარავა, სიხარულიძე
**დინამო:** გრიშიკაშვილი, ვაშაკიძე, დიდავა, ა. სახვაძე (ქემოკლიძე 71), ნემსაძე, წიტაიშვილი (ზირაქიშვილი 60), სიჭინავა, პ. ჯინჭარაძე, გ. შენგელია (მინაშვილი 60), ანჩაბაძე, შაშიაშვილი
*სათადარიგონი:* ა. ჩიხრაძე; რუხაძე, გაბიდაური, მონასელიძე
**მსაჯები:** დ. სანაია (სოხუმი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. მიმინოშვილი

**პაატა კვანტალიანი ბათუმიდან**

**დღეს** კარნევალი კარნავალს მოაწყობსო, ამბობდნენ ბათუმში. კარნავალის რა მოგახსენოთ, ამ მატჩის შედეგით მასპინძლები, ვგონებ, ისეთ კარუსელზე შესხდნენ, რომლის ტრიალსაც ბევრის ძირს დანარცხება მოჰყვება. უკეთეს დღეში არც სტუმრები დარჩენილან, ჩემპიონთა თავკაც ოთარ კორღალიძეს დანა პირს არ უხსნიდა მატჩის შემდეგ. სხვისი არ ვიცი და მე კი მგონია, რომ „დინამო" საბოლოოდ ჩამოშორდა საჩემპიონო ბრძოლას.

დიდი თამაში იყო ბათუმში. ლამაზი მატჩი შოკისმომგვრელი ფინალით — საფეხბურთო ფორტუნამ ორივე გუნდს მწარე განაჩენი გამოუტანა და ამბიციათა მომაკვდინებელი თითო ქულა ჩამოურიგა.

ბათუმში ყველაფერი ისე იყო, როგორც დიდ საფეხბურთო ქალაქებში ხდება — სტადიონთან მისასვლელი თითქმის ყველა გზის გადაკეტვამ ტრანსპორტისთვის დარჩენილ სავალ ნაწილზე საცობები გამოიწვია, გულშემატკივრებით დატვირთული სამარშრუტო ტაქსები და ავტომანქანები 3-4 კილომეტრის გავლას ნახევარ საათზე მეტს ანდომებდნენ და ეს ყველაფერი მატჩამდე ორსაათნახევრით ადრე ხდებოდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ნაადრევი ფაციფუცის მიზეზი მატჩის დაწყების დროში გაურკვევლობა გახლდათ. ბათუმში ისევ 16 საათზე ელოდნენ შეხვედრის დაწყებას. ნაადრევად სტადიონზე მისულ ქომაგს, მიუხედავად კოკისპირული წვიმისა, ტრიბუნები არ დაუტოვებია. თუმც წვიმამ თავისი მაინც გააკეთა — სიხალვათე იგრძნობოდა. მატჩის დასაწყისს მხოლოდ 8000-მდე გულშემატკივარი შეხვდა, რაც იმითაც იყო განპირობებული, რომ შეხვედრის პირდაპირ ტელეტრანსლიაციას აჭარის ტელევიზიასთან ერთად პირველი არხიც აპირებდა, მაგრამ, ტექნიკური მიზეზით რეპორტაჟი არ შედგა. ქართველმა გულშემატკივარმაც ბევრი დაკარგა, არ გადავაჭარბებ, ისეთი მატჩი იყო, ქომაგს წამხდარ ეროვნულ პირველობაზე გულს მოუბრუნებდა.

კარნევალიმ არ გარისკა (არც გაემტყუნება) და „დინამოს" ტრადიციული 4-4-2-ით დაუპირისპირდა, თუმც „ბათუმის" იტალიელ თავკაცს რომ შეტევაზე ჰქონდა გადატანილი აქცენტი, ისედაც თვალშისაცემი იყო. ხომერიკს და აფხაზავას ზურგს ფლანგებიდან მუჯირი და ტულუში უმაგრებდნენ. მარჯვენა ნახევარმცველად გამწესებული ამირან მუჯირი სულაც ერთ-ერთი საუკეთესო იყო მასპინძელთა რიგებში, მაგრამ ტულუშმა აშკარად ჩაავდო თამაში, გვიან მაგრამ ეს შეცდომა მაინც გამოასწორა კარნევალიმ. ანალოგიური სქემით ითამაშა „დინამომაც". იმ განსხვავებით, რომ სტუმრები უფრო ცენტრალური ხაზიდან ცდილობდნენ თავდამსხმელების (წიტაიშვილი, შენგელია) ბურთით მომარაგებას. იქ კი დინამოელებს პრობლემა არ შექმნიათ. ანჩაბაძის და ნემსაძის კლასი და გამოცდილება თავისას აკეთებდა. ნაკრების კაპიტანმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა საქმისადმი სიყვარული და ერთგულება. ნემსაძე პირდაპირ შოტლანდიიდან (გიორგიმ იქ კონტრაქტი გააფორმა „დანდისთან") შეუერთდა გუნდს და დაღლილ-ნამგზავრმა ლომის წილი დაიდო ამ მატჩში. შეხვედრა „დინამოს" შეტევით დაიწყო. მეორე წუთზე სახვაძის ფლანგური ჩაწოდება არჩვაძემ ჩაჭრა, მოგერიებულ ბურთს სიჭინავა დაუხვდა და ძლიერი დარტყმით მცირედ ააცილა მასპინძელთა კარს. ურთიერთდაზვერვამ მე-13 წუთამდე გასტანა, დროის ამ მონაკვეთში გუნდები ხშირად ჯარიმდებოდნენ. ბურთი კი ძირითადად მოედნის ცენტრში ტრიალებდა. დადგა მე-16 წუთი და ანჩაბაძემ ოციოდე მეტრიდან გაისროლა, ტოგონიძემ გაჭირვებით დაიმორჩილა ბურთი. ორი წუთის შემდეგ ბათუმმაც გამოიღო ხელი: ივანე მახარაძემ საჯარიმოში ხომერიკს ჩაუგდო ბურთი, მან თავით ხუჯაძეს დაუგდო და ტრიბუნებიც წამოიშალა, თუმც ხუჯაძის დარტყმული მცირედ ასცდა წონასწორობადაკარგული გრიშიკაშვილის კარს. საპასუხო შეტევა და ანჩაბაძემ ერთხელაც მოსინჯა შორეული დარტყმით ტოგონიძის მზადყოფნა, ნიკამ სველ გაზონზე ფეხი ვერ მოიკიდა და დაეცა. მისდა საბედნიეროდ, ბურთმა სანტიმეტრებში ჩაუარა კარის ძელს. ორ წუთში „დინამო" გრიშიკაშვილმა იხსნა, აფხაზავას გამოზომილი პასით ტულუში დინამოელთა საჯარიმოში აღმოჩნდა, ბურთიც კარგად გაისწორა და ძლიერადაც დაარტყა, გრიშიკაშვილმა ეფექტური ნახტომით მხოლოდ კუთხურს დააჯერა მასპინძლები. 23-ე წუთზე „დინამო" ერთხელაც გადარჩა გოლს, ხომერიკმა სამ მეურვესთან ჭიდილში შეინარჩუნა ბურთი და აფხაზავას გაუჭრა კარგი პასი. შალვამაც მოხდენილად ჩამოიშორა ორი მცველი. თუმც გრიშიკაშვილის პირისპირ დარჩენილმა მახვილი კუთხიდან ბურთს ვერ მისცა სწორი მიმართულება. ტაიმის შუაწელში „ბათუმის" მოპოვებული ტერიტორიული უპირატესობა ნემსაძის ერთმა პასმა ხუხულასავით დაშალა. გიორგიმ მარცხენა ფრთაზე საჯარიმოსკენ დაძრული შენგელია შენიშნა და გადაცემამაც არ დაუგვიანა. დინამოელიც ტოგონიძესთან პირისპირ აღმოჩნდა. გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ არჩვაძემ რამდენიმე მეტრი იფრინა და დასარტყმელად გამზადებული ბურთი ფეხიდან ააცალა შენგელიას. ამ მომენტმა „ბათუმი" დაცვაზე გააფაციცა და 44-ე წუთამდე ბურთმაც ძირითადად მოედნის ცენტრში იტრიალა, ტაიმის ბოლოსწინა წუთზე კი სასწაულებრივ ვერ გაიტანა ხომერიკმა... სწრაფმა აფხაზავამ დიდავას აუარა გვერდი მარჯვენა ფრთაზე და საჯარიმოში შეჭრილმა მუჯირს დაუტოვა ბურთი. მას ვაშაკიძემ კი დაასწრო, მაგრამ დინამოელებმა საკუთარ საჯარიმოში იმდენი იტრიალეს, რომ ხომერიკი შეატოვეს გრიშიკაშვილს. ბათუმელმა კი წარმოუდგენლად ხელსაყრელ სიტუაციაში კარს ხუთიოდე მეტრიდან ააცილა.

მეორე ნახევარი სტუმართა უპირატესობით დაიწყო, მაგრამ გატანით ისევ „ბათუმს" უნდა გაეტანა. 52-ე წუთზე მუჯირის ფლანგური გარღვევა საჯარიმოს შორეულ კუთხესთან ჩაწოდებით გაგრძელდა, იქ კი ხომერიკმა შეუჩერებლივ, ძლიერად, დაჰკრა ბურთს, ისეთი შეტევა იყო, ნებისმიერი სუპერკლუბი მოაწერდა ხელს, ხომერიკის დარტყმული ლამაზი ტრაექტორიით გაფრენილი ბურთი ხარიხას მოხვდა და სტადიონმა ერთხელაც ამოიგმინა. „დინამომ" არად ჩააგდო მეტოქის ამგვარი გამოხდომა და სამი წუთის შემდეგ ნემსაძემ გამოზომილი პასით წიტაიშვილს შეუქმნა ხელსაყრელი მომენტი. ისევ არჩვაძემ ივარგა — დროულად დააფარა ფეხი დინამოელის დარტყმულ ბურთს. წუთის შემდეგ მუჯირმა გააშეშა შორეული დარტყმით გრიშიკაშვილი. მეკარემ შვებით ამოისუნთქა — ბურთი მცირედ ასცდა კარს. მომენტს მომენტი სცვლიდა და თამაში საოცრად მაღალ ტემპში მიმდინარეობდა. მაყურებელს ფაქტობრივად მოდუნების საშუალება არ ჰქონდა, მაგრამ ისიც ნათელი იყო, რომ ეს ყველაფერი გუნდებისგან დიდ ფიზიკურ გამძლეობას მოითხოვდა. „დინამომ" წარმატებით გადაჭრა პრობლემა, „ბათუმი" კი დაიღალა. მე-60 წუთზე კორღალიძემ წყვილად შეცვალა თავდამსხმელები და „დინამომაც" ენერგიულად გაიწია მეტოქის კარისკენ. 71-ე წუთზე სიჭინავამ ისარგებლა მეურვის უყურადღებობით და საჯარიმოს სიახლოვეს უმეთვალყურეოდ დარჩენილმა ძლიერად დაარტყა კარში, ტოგონიძე თითებით შესწვდა ბურთს და მინაშვილი წაქცეული მეკარის და ცარიელი კარის პირისპირ აღმოჩნდა... ფატალურად არ გაუმართლა თავდამხსმელს. ამის შემხედვარე ოთარ კორღალიძე კარგა ხანს იდგა ჩაფიქრებული სათადარიგო სკამთან. მსგავს პოზაში ყოფნა დინამოელთა თავკაცს ორი წუთის შემდეგაც მოუხდა, შეტევაში ჩართულმა ქემოკლიძემ მარჯვენა ფრთიდან ნემსაძე დატოვა მეკარესთან პირისპირ. ისევ ხუთი მეტრი იყო სხვაობა ბათუმელსა და თბილისელს შორის. ტოგონიძემ შეუდარებლად ითამაშა, დიდებული რეაქციით შეძლო თანაგუნდელთა ხსნა. ამ ეპიზოდს კარნევალის აფეთქება მოჰყვა. დასაბმელი გახდა იტალიელი. მწვრთნელის შეძახილმა (ყვირილმა) „ბათუმზე" დადებითად იმოქმედა, ჯერ საპენალტო ნიშნულიდან დასარტყმელად შემართულ მაჭუტაძეს ბურთი კუთხურზე გადაუგდო ვაშაკიძემ, იქიდან ჩაწოდებულს აფხაზავამ ძლიერი დარტყმა მოაყოლა, გრიშიკაშვილმა მკვდარი ბურთი მოიგერია. იქ კი ვაშაკიძემ ერთხელაც დაასწრო მაჭუტაძეს და ისევ კუთხური. მომდევნო ხუთ წუთში გუნდებმა თითო საგოლე მომენტი გაცვალეს, ჯერ ზირაქიშვილმა ააცილა მცირედით ათიოდე მეტრიდან, შემდეგ ხომერიკი-აფხაზავა-მაჭუტაძის სამსვლიან კომბინაციას ქემოკლიძემ მოარგო გასაღები და თავგანწირულ ნახტომში საფრთხე აარიდა გრიშიკაშვილს. სამი წუთი რჩებოდა მატჩის დასასრულამდე, სტადიონი ვულკანს ჰგავდა, „გოლი"! „გოლი"! მოითხოვდნენ ტრიბუნები და ამის საპასუხოდ ღლონტი აღმოჩნდა ბურთიანად კარიდან ათ მეტრში. გოლი? არა, გრიშიკაშვილმა გაიბრწყინა, მოგერიებულ ბურთთან პირველი მაჭუტაძე გაჩნდა. სიხარულის ნიშნად რამდენიმე ბათუმელმა ფეხბურთელმა ხელები აწია. ამაოდ, გრიშიკაშვილმა როგორღაც წამოდგომა და საპირისპირო კუთხისკენ გაფრენა მოახერხა. მაჭუტაძემ გაოცებაც ვერ მოასწრო, რომ ბურთი უკვე „ბათუმის" ნახევარზე იყო. ზირაქიშვილმა სისწრაფეში მალხაზ მახარაძე დაჩაგრა და საჯარიმოში თავზე დაასვა ბურთი ანჩაბაძეს... გრიშიკაშვილს ტოგონიძეც არ ჩამორჩა და მატჩის უკანასკნელი ეპიზოდი მეკარის გამარჯვებით დასრულდა..

ბოლომდე არც შემცდარან იქაურები. კარნევალის კარნავალი არ შემდგარა, მაგრამ კარნავალი მაინც იყო, თუმც ვისთვის როგორ...

# პირი პირიაო...

გორი
6 მაისი
18 საათი
ცენტრალური
1 500 (ტევადობა 8 230)

**დილა 0:2 ვიტ ჯორჯია**

0:1, 0:2 ვ. გოჩაშვილი (61, 66)
**დილა:** სოლოლაშვილი (მდივანი 46), აკოფიანი, რ. ხაჭაპურიძე, ხ. გაგნიძე, ლომიძე, ლ. გოჩაშვილი (ფეზუაშვილი 56), ოლგესაშვილი (კარელიძე 76), ციცქიშვილი, საყვარელიძე, არუთინიანი, სულთანიშვილი
*სათადარიგონი:* მარეხაშვილი, ელყანიშვილი, ებანოიძე, კოქლაშვილი
**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, საჯაია, ჯ. მუჯირი, ჭანკოტაძე (დილმელაშვილი 34), კობიაშვილი, მორჩილაძე (ლ. ნოზაძე 46), ყიფიანი, კოტორაშვილი, რ. გოცირიძე (ი. ხაჭაპურიძე 51), გიორგი ქორიძე, ვ. გოჩაშვილი
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; ზ. გვაზავა, დ. დოლიძე
**გაფრთხილება:** ჭანკოტაძე (25), არუთინიანი (25), საყვარელიძე (30), რ. ხაჭაპურიძე (37)
**გაძევება:** საყვარელიძე (80)
**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი); გ. ცირდავა (გულრიფში), ა. სამხარაძე (სოხუმი); ა. მეშკოვი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

**მამუკა კვანტალიანი გორიდან**

**მატჩის** დამთავრებას ათი წუთი აკლდა. მასპინძელი საყვარელიძე საკუთარ ნახევარზე, მოედნის შუაგულთან ახლოს სტუმარ საჯაიას ეუხეშა. მსაჯი არც დაფიქრებულა, წითელი ბარათი უჩვენა გორელს.

სამართლიანად მოიქცა იმ მომენტში კახაბერ მესხი. ვერ მოზომა ახალგაზრდა ნახევარმცველმა, ბრძოლით გართული პირდაპირ ფეხებში ეძგერა მეტოქეს.

მსაჯი მთლად ცამდე მართალი იქნებოდა, იგივე პროცედურა პირველ ტაიმშიც რომ ჩაეტარებინა. მესხს ვერავინ უსაყვედურებდა, 25-ე წუთზე ვიტელი ჭანკოტაძე რომ გაეგდო. სტუმარი მცველი ამას აშკარად იმსახურებდა.

ვერ გეტყვით, რა ვერ გაიყვეს ჭანკოტაძემ და არუთინიანმა, მაგრამ რომ წაკინკლავდნენ, ფაქტია. მსაჯმა ორივე გააფრთხილა, მასპინძელმა თავი დახარა და იქაურობას გაეცალა, ჭანკოტაძემ კი მესხისკენ გაიწია.

გიორგი ადრეც დაისაჯა მსაჯის შეურაცხყოფისთვის, მერე დანაშაული მონანია, შეგვპირდა, დღეიდან არბიტრისკენ არ გავიხედავო, მაგრამ...

არა, ვიტელი მესხს არც შეხებია, მაგრამ ისე გაფიცხდა, თანაგუნდელთა დასაწყნარებელი შეიქნა.

სერგო კოტრიკაძემ ლიბერო მალევე შეცვალა. როგორც იქნა, სათადარიგოთა სკამზე დამშვიდდა ჭანკოტაძე. გიორგიმ ჩვენ პირი გვიტეხა, ხოლო მესხმა, ალბათ, შეფასება წაიხდინა, თავშეუკავებელი რომ არ გააძევა.

მატჩი არ გამოვიდა საინტერესო სანახავი. უგოლო პირველ ტაიმს კიდევ არა უშავდა, მეორეს კი ნუ იკითხავთ.

ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე გორელთა ინერტულ თამაშს ჩვეულნი ვართ, მაგრამ საპრიზო ადგილისთვის მებრძოლი ვეტერინარების ასეთი სუსტი გარჯა გასაკვირი იყო.

პირველ ნახევარში მეტოქეებს ორორი საგოლე მომენტი ჰქონდათ, მაგრამ მეკარეებმა იყოჩაღეს. ჭურაძემ არუთინიანის სახიფათო თავური აილო, ორიოდ წუთში მისივე სახიფათო გარღვევა გააუვნებლა, ხოლო სოლოლაშვილმა ჯერ გოცირიძის დარტყმული ნახტომში შეაჩერა, მერე ყიფიანის საჯარიმო დარტყმიდან ბურთი კუთხურზე გადააგდო.

ვერ გეტყვით, რა დაემართა მეორე ტაიმში გორის „დილას". მასპინძლები საერთოდ მოეშვნენ. „დილა" ბარაქიანად მეწველ ძროხას მოგაგონებდათ, მოთმინებით რომ ელის მწველავს.

მაინცდამაინც კარგი მწველავიც ვერ გამოდგა „ვიტ ჯორჯია". თვლა არ იყო იმდენი საგოლე მომენტი გააცუდეს ვეტერინარებმა.

ბოლოს გოჩაშვილმა ხუთ წუთში ორჯერ გაიტანა და სტუმრებმაც მთლად დაკარგეს თამაშის ხალისი. მაყურებელმაც ვერ მოითმინა და ბევრის მისამართით გაისმა მეტად უხამსი სიტყვები.

„ვიტ ჯორჯიამ" მოიგო, თუ ამას მოგება ჰქვია და გათამაშების ცხრილში მეორე ადგილზე აინაცვლა.

# ასკინკილა და კინკილა

რუსთავი
6 მაისი
18 საათი
ფოლადი
1 000 (ტევადობა 10 700)

**გორდა 1:1 მერანი**

1:0 ვ. კილასონია (11), 1:1 კობესაშვილი (32)
**გორდა:** ბედიაშვილი, მჭედლიძე, ბურნაძე (მ. სახვაძე 46), ბექაური, გაბელაია, გ. კილასონია (ბაჩილავა 45), მელაძე, კ. ალადაშვილი, ზ. ლაბაძე, მიშველიძე (ა. ბუკია 53), ვ. კილასონია
*სათადარიგონი:* გონგაძე; პატარიძე, კიტეიშვილი, სილაგაძე
**მერანი:** ნაჭყეპია, ამბიძე, ცქიფურიშვილი, გუჯაბიძე, გ. ილურიძე, ბოლქვაძე, ხორხელი (კოშკაძე 46), როსტიაშვილი, დევიძე, კობესაშვილი, კაკაბაძე
*სათადარიგონი:* კოროშინაძე; ივანიშვილი, დავითაშვილი, ჯიშკარიანი, ჭინჭარაული, ჩანადირი
**მსაჯები:** ა. შალამბერიძე; ნ. რუსიშვილი (ორივე ქუთაისი), ზ. ჯვარიძე (თბილისი); ა. გუნთაძე (ლანჩხუთი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ლ. ყიფიანი

**ვახტანგ ბზიკაძე რუსთავიდან**



ალადაშვილები: იასონი და მისი ვაჟი

ბადრი კეთილაძე რუსთავიდან



ზაზა ცქიფურიშვილმა ვარლამ კილასონიას გზა გადაუღობა

**რუსთაველები** ადრევე, მეთერთმეტე წუთზე ვარლამ კილასონიამ დააწინაურა. „გორდას“ კაპიტანმა ბურთი გუჯაბიძის შეცდომის მერე მიიღო, მეკარე რევაზ ნაჭყეპია კარიდან გვერდზე გაიტყუა და მოძრაობაშივე აულებელი დაურტყა.

გოლამდე სამი წუთით ადრე ვარლამს ნაჭყეპიამ აჯობა, გია კილასონიას პასის მერე კაპიტნის დარტყმა უკუაგდო.

გოლიდან 7 წუთში თავად გია კილასონიამ სცადა, ესარგებლა ცქიფურიშვილის შეცდომით, მაგრამ ნაჭყეპიას თავზე გადატარებულმა ბურთმა უცნაური ტრაექტორია მოხაზა.

ერთი სიტყვით, ტაიმის პირველმა ნახევარმა „გორდას“ შეტევებში ჩაიარა. ამოდენა უპირატესობის მნახველი ცოტა თუ იფიქრებდა, რუსთაველები ვერ მოიგებენო. მაგრამ უპირატესობა რა ყოფილა, ერთი გენახათ, რა დღე აყარა „მერანმა“ მასპინძელს შესვენებამდე.

26-ე წუთზე ავთანდილ ხორხელმა მკერდით დაუგდო ბურთი ბოლქვაძეს, მისი დარტყმული „გორდას“ მეკარე ბედიაშვილმა მოიგერია.

32-ე წუთზე სულიკო კაკაბაძემ ფრთიდან გაუჭრა ბურთი როსტიაშვილს, რომელსაც ფეხებში ბედიაშვილი ჩაუვარდა, მაგრამ დამატებისას კობესაშვილმა ივარგა.

35-ე წუთზე ისევ კობესაშვილმა მოსინჯა შორიდან დარტყმა, მაგრამ კარს ააცილა.

37-ე წუთზე ბექაურის შეცდომის მერე დევიძემ მაკრატელათი აბრაგანი გაუშვა კარისკენ, მაგრამ ბედიაშვილმა უკუსვლით ბურთი ცხრიანიდან დააძვრინა.

38-ე წუთზე დევიძის კარში ჩაწოდებას თავური შეაგება კაკაბაძემ, მაგრამ ბედიაშვილმა ისევ მოიგერია...

და „გორდას“ სამი წუთიც დადგა. ვარლამ კილასონიამ ერთხელ ააცილა, ერთხელ ნაჭყეპიასკენ დაარტყა, ერთხელაც ზურაბ ლაბაძეს ტაიმში ერთადერთი კუთხურისას თავური გაუცუდდა.

კუთხური ერთხელ რუსთაველებმა ჩააწოდეს, თორემ „მერანმა“ იგივეს უფლება რვაჯერ მოიპოვა.

წლეულს „გორდას“ შინ ასე ცუდად არ უთამაშიაო, ბევრი აღნიშნავდა შესვენებისას. მაგრამ თუ პირველ ტაიმს კიდევ შეეხედებოდა, ჩამოგაძინებდათ მეორე.

შესვენებამდე კუნთდაჭიმულმა გია კილასონიამ ითხოვა შეცვლა, შესვენებისას — ფეხწამოტკივებულმა ბურნაძემ.

53-ე წუთზე „გორდამ“ მიშველიძეც შეცვალა და მატჩის დამთავრებამდე ათიოდ წუთით ადრე მწვრთნელ იასონ ალადაშვილს ვაჟი კახა რომ დაუშავდა, შეცვლის უფლება არ ჰქონდა.

ალადაშვილმაც, მგონი, უფრო დროის გასაყვანად ლამის ნახევარი მოედანი რომ მოიასკინკილა, სხვა რა გზა იყო, ტრავმირებულმა დაამთავრა შეხვედრა.

მეორე ტაიმში გუნდებმა მორატორიუმი გამოაცხადეს. თამაში, გატანა, ჩანდა, დიდად არავის სურდა. ერთი, ვარლამ კილასონიას იხდიდა ბოლომდე სპორტულ ვალს.

უფროსი კილასონია ჩემპიონატის ბომბარდირ იონანიძეს 4 გოლით ჩამორჩება და სხვაობის შემცირებას ამაოდ, მაგრამ მაინც ეცადა.

ათი პირადი მატჩიდან მოუგებელი „გორდა“ მეექვსედ დაუზავდა „მერანს“. წლეულს ეს უკვე მესამედ მოხდა — ორივე გუნდმა ან სამ, ანაც არცერთ ქულას თითო, კინკილა ამჯობინა.

# ასათიანის პირველი

სამტრედია
6 მაისი
18 საათი
ეროსი მანჯგალაძე
1 000 (ტევადობა 14 000)

**იბერია 0:3 ტორპედო**

0:1 იონანიძე (27), 0:2 ჯანაშია (61), 0:3 ასათიანი (83)
**იბერია:** ვარდანიძე, ჟვანია, ბიწაძე, გეგეშიძე, მიქელთაძე (თ. მაღლაკელიძე 55), მ. ჯინჭარაძე, ხურციძე, ივეჩიანი, მუმლაძე (ნ. გიორგაძე 56), კ. ჯანაშია (დ. ნოზაძე 50), ს. გიგიაძე
*სათადარიგონი:* ა. ჩომახიძე; გედენიძე, ზ. მეტრეველი
**ტორპედო:** ჭანტურია, ახვლედიანი (თავბერიძე 56), მახვილაძე, ამისულაშვილი, ხვადაგიანი, კ. კვეტენაძე (ასათიანი 46), ვაჩიბერაძე, გოგიაშვილი, დ. ჯანაშია, მეგრელაძე, იონანიძე (იმედაძე 46)
*სათადარიგონი:* ზოიძე; შეყრილაძე, თურმანიძე, მ. ბობოხიძე
**მსაჯები:** ა. შილაკაძე; ი. შალამბერიძე, ვ. ჩოჩიშვილი (სამივე თბილისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. ამირეჯიბი

**იუზა კაციტაძე სამტრედიიდან**

**უჩვეულო** იყო, მაშ! გუნდებს მთავარი მწვრთნელების გარეშე მოუწიათ თამაში. „ტორპედოს“ და ეროვნული ნაკრების ერთ-ერთმა თავკაცმა დავით ყიფიანმა „ბათუმი“ — „დინამო“ ამჯობინა საცქერლად. „იბერიას“ დამრიგებელმა სოსო ფრუიძემაც შეგნებულად აარიდა გუნდს თავი, სახლში ოჯახთან ყოფნა არჩია. კაცია და ხასიათი. ისე, ერთს ან მეორეს მატჩის შედეგში ეჭვი ოდნავაც რომ შეჰპარვოდა, ალბათ, ასე არ მოიქცეოდა.

იმერულ დერბიში უპირატესობა, ბუნებრივია, სტუმრებს ენიჭებოდათ. „ტორპედო“ ლიდერი, ჩემპიონატის ყველაზე რეალური პრეტენდენტი, „იბერია“ კი „ა“ ზონის მაჩანჩალა. სამტრედიელები ქუთაისელებს ხელს ვერ შეუშლიდნენ. ეს დღესავით ნათელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ „ტორპედომ“ გადახალისებული შემადგენლობით ჩაატარა ეს მატჩი. თამაშდანატრებულთ — ვაჩიბერაძეს, ამისულაშვილს, თუ გნებავთ, ჭანტურიასაც, მეორე ტაიმში იმედაძეც შეემატათ.

სტუმრებმა თითქმის ნახევარი საათი მოანდომეს ანგარიშის გახსნას, თუმც ამის რამდენიმე კარგი შესაძლებლობა მანამდეც ჰქონდათ. მერვე, მეცხრე და მე-19 წუთებზე მეგრელაძეს შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ ტორპედოელს აშკარად არ გაუმართლა. ჯერ იყო და მარჯვნიდან ახვლედიანის ჩაწოდებულს გიამ თავური რომ შეაგება, ბურთმა ხარიხას წაჰკრა, მერე ანალოგიური მდგომარეობიდან ოდნავ ააცილა ძელს, მესამედ იყო და გოგიაშვილი — ჯანაშია — მეგრელაძის საუცხოოდ გათამაშებული კომბინაცია ამ უკანასკნელის მოხდენილი დარტყმით დაგვირგვინდა და... ამჯერადაც ხარიხამ იხსნა მასპინძლები. გოლი კი „იბერიას“ საჯარიმოში შექმნილ არეულობას მოჰყვა. იონანიძემ ისარგებლა მცველთა დაბნეულობით და ახლო მანძილიდან ზუსტად დაარტყა.

კაცმა რომ თქვას, არც მასპინძლები მჯდარან გულხელდაკრეფილნი, ეპიზოდურად ისინიც უტევდნენ. ბიწაძემ რომ კახა ჯანაშიას დაუგორა დასარტყმელად, ტორპედოელები ბედად გადაურჩნენ ხიფათს, ბურთმა ძელს ახლოს ჩაუქროლა. კიდევ ხურციძეს მიეცა კარგი შანსი, როცა ცენტრთან ახლო ამისულაშვილს დაუსხლტდა და, ფაქტობრივად, ჭანტურიასთან პირისპირ გავიდა, მაგრამ დარტყმა სუსტი გამოუვიდა და მეკარემ აუღო. ამასობაში ქუთაისელებმაც გაუშვეს ხელიდან გატანის სულ მცირე, სამი შესაძლებლობა. დავით ჯანაშიას, მეგრელაძეს და იონანიძეს გაუცუდდათ დარტყმები.

მიუხედავად იმისა, რომ ტორპედოელები სამეორეტაიმოდ იონანიძის და კახა კვეტენაძის გარეშე გავიდნენ სათამაშოდ და ათიოდე წუთში ახვლედიანსაც სათადარიგოთა სკამზე მოუწია დაჯდომა, შესვენების შემდეგ თამაშის სურათი უცვლელი დარჩა. ქუთაისელთა უპირატესობა მაინც დიდი იყო.

„იბერია“ იშვიათად სტუმრობდა „ტორპედოს“ ნახევარს, მაგრამ 53-ე წუთზე მალხაზ ჯინჭარაძემ მარჯვენა ფლანგიდან ქუთაისელთა საჯარიმოში ჩაწოდება დააპირა და ბურთი ისე მოეჭრა, ხარიხა რომ არა, ანგარიში გაყაიმდებოდა. ეს არ მოხდა და რვა წუთში მასპინძლებმა მეორეც გაუშვეს. ხვადაგიანის პასით დავით ჯანაშია დარჩა ვარდანიძესთან პირისპირ და ათი მეტრიდან ზუსტად გაგზავნა მეკარისგან მარჯვენა დაბალ კუთხეში.

ამის შემდეგ მეგრელაძეს და იმედაძეს ჰქონდათ ქუთაისელთა მეტად დაწინაურების შანსი, მაგრამ ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენეს, თუმც „ტორპედომ“ მაინც დიდი ანგარიშით მოიგო ეს მატჩი. საფინალო სასტვენამდე 7 წუთით ადრე იმედაძემ კარგად გაუჭრა ასათიანს, რომლის სვლაც მცველებმა ველარ შეაფერხეს და მალხაზმა ახლოდან ძლიერი და ზუსტი დარტყმით მესამედ შეარხია „იბერიას“ კარის ბადე.

ალსანიშნავია, რომ ეს გოლი პირველი გახლდათ ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების წევრისთვის ეროვნულ ჩემპიონატში და ამ პირველის გატანას მალხაზ ასათიანმა ცხრა მატჩი (თუმც არასრული — ასათიანი ჯერჯერობით მხოლოდ შემცვლელია) მოანდომა.



მამუკა დარჩია სამტრედიიდან

ტორპედოელი ზაზა ვაჩიბერაძე (მარცხნივ) და იბერიელი შალვა მუმლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# იყიდის ასკაროლლი სარბიელს?

სენაკი
6 მაისი
18 საათი
ეგრისი
300 (ტევადობა 3 000)

## ხობი 1:2 თბილისი

1:0 ვ. ჩიტაია (10), 1:1 ჩივაძე (39), 1:2 მანჭარაული (73)
ხობი: ნიქაბერიძე, ჯამბურია, მ. ტყებუჩავა (დ. ჩიტაია 80), ვ. ალანია, ზურაბ აიანადი, ხურცილავა, ვართაგავა, ქაშიბაძე, ოდიშარია ვ. ჩიტაია, ზაზა აიანადი (ჭიჭინაძე 46)
*სათადარიგონი:* რ. თოლორდავა; ა. ჯიქია, ლ. ბუკია, ლატარია
თბილისი: მამალაძე, ზამთარაძე, ძაგნიძე, ჩივაძე, ყუფარაძე, დ. ტყებუჩავა, ამაშუკელი, ბურდული, კოხრეიძე (მანჭარაული 58), ი. შენგელია, გონჩაროვი
*სათადარიგონი:* კოდალაევი; სალარეიშვილი, სულაქველიძე
გაფრთხილება: ზამთარაძე (11), ვართაგავა (49), ალანია (65), ალანია (69), კოხრეიძე (56), შენგელია (75)
გაძევება: ალანია (69)
მსაჯები: გ. ასკაროლლი; გ. მარლიშვილი (ორივე ქარელი), ლ. რაზმაძე, ზ. ანიაშვილი (ორივე გორი)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

თენგიზ ძოჩუა სენაკიდან

პარასკევს გამართული თსუ არსენალის შეხვედრის შემდეგ ხობი ოფიციალურად მეორელიგელი გახდა. „თბილისი“ კი ხობთან წაგების შემთხვევაში გაიზიარებდა მის ბედს. აქედან გამომდინარე, მას განსაკუთრებული მონდომებით მართებდა თამაში. „ხობსაც“ უნდა ეზრუნა პრესტიჟზე და მაყურებლის თვალწინ კიდევ ერთი სირცხვილი არ ეჭამა. ასე რომ, გუნდებს მოტივაცია ნამდვილად ჰქონდათ.

მატჩი მასპინძლების უპირატესობით დაიწყო. მათ პირველივე წუთებზე შეუტიეს, მაგრამ ვეფერს გამორჩნენ — სტუმართა დაცვა შეუვალი იყო. თითქოს თამაში უნდა დამშვიდებულიყო, როცა ხობელებმა ზუსტი გადაცემით ვლადიმერ ჩიტაია გაიყვანეს მეკარესთან პირისპირ. ჩიტაიამ ოდნავ კი დაახანა, მცველმაც მიუსწრო, მაგრამ გოლი მაინც გაიტანა. მამალაძე ჩიტაიას ზუსტ დარტყმას ვერ გაუმკლავდა.

მასპინძლებმა საკუთარი ძალები ირწმუნეს და კვლავ შეუტიეს, ბურთს ფლობდნენ, სიტუაციას აკონტროლებდნენ, მაგრამ კარში დარტყმას ვერ ახერხებდნენ. ვერც სტუმრებმა გამოიჩინეს თავი. მათი კონტრშეტევები ხობელებს არანაირ საფრთხეს, არ უქმნიდა.

პირველი ტაიმის მიწურულს ხობელთა ნახევარზე, მარჯვენა ფლანგზე ჯარიმა დაინიშნა. შენგელიამ საჯარიმოში ჩააწოდა ბურთი, რომლის აღება ვერც მეკარემ შეძლო და ვერც მცველებმა გაიტანეს სამშვიდობოს. ამ არეულობით ისარგებლა ჩივაძემ. მან 3 მეტრიდან მშვიდად დალაშქრა ხობელთა კარი — 1:1.

მეორე ტაიმიც პირველის მსგავსად დაიწყო, ოღონდ სტუმრებმა უფრო გამოიღეს ხელი, მაგრამ მათი შეტევები შორეული დარტყმებით მთავრდებოდა.

ტაიმის შუაწელში სტუმრები აშკარა გოლს გადაურჩნენ. მცველთა შეცდომა გამოიყენა მანუჩარ ტყებუჩავამ და მეკარესთან პირისპირ გავიდა. მან სცადა, მამალაძისთვის თავზე გადაეგდო ბურთი, რომელმაც მაღალი ტრაექტორია მოხაზა და... ხარიხას მოხვდა. ეს იყო და ეს. ხობელებს ღირებული მეტი არაფერი შეუქმნიათ.

58-ე წუთზე მანჭარაულის შესვლამ სულ სხვაგვარი გახადა თბილისელთა თამაში. სტუმართა მე-17 ნომერი ვერავინ შეაჩერა, მის გარღვევებსა და ზუსტ გადაცემებს ბოლო არ უჩანდა. მერე ის იყო, რომ მანჭარაულის გადაცემით პირისპირ გასული გონჩაროვის აკრძალული ილეთით შეჩერებისთვის ალანიამ წითელი ბარათი მიიღო, რაც გადამწყვეტი აღმოჩნდა ამ შეხვედრაში. ამის შემდეგ ხობელები სულ აირივნენ.

73-ე წუთზე ახლა უკვე გონჩაროვმა მიაწოდა პასი მანჭარაულს. მანაც არ დაახანა და კარისკენ ზურგით მდგომმა შემობრუნებისთანავე დაარტყა. 18 მეტრიდან გასროლილი ბურთი მეკარისგან მარჯვენა დაბალ კუთხეში გავიდა.

ამ მატჩში ერთი ფრიად საყურადღებო ფაქტიც მოხდა. მატჩს დისკვალიფიკაციამოხდილი გურამ ასკაროლლი სჯიდა. ეტყობა, კარგად მოხდენია დასვენება და კარგ მსაჯობას დაგვპირდა, ოღონდ „სარბიელს“ უსაყვედურა: „როცა რაიმეს ვაშავებ, სულ თვალში გხვდებათ და მლანძღავთ, კარგი მსაჯობისას ხმას რატომ არ იღებთ? სამშაბათის „სარბიელს“ რომ ვნახავ თუ კარგს წავიკითხავ ჩემზე, ვიყიდი, თუ არა და — არა. მაშინ რაღას იზამთ?!“ — დაგვემუქრა კიდეც შეწყალებული არბიტრი.

საინტერესოა, იყიდის ასკაროლლი „სარბიელს“?

# ერთი გოლისა და ერთი მერცხლის

წყალტუბო
6 მაისი
18 საათი
26 მაისი
500 (ტევადობა 12 000)

## სამგურალი 1:0 ლოკომოტივი

1:0 ქუთათელაძე (70)
სამგურალი: სტურუა, ჭელიძე, ჩხაბერიძე, ბერაძე, ფრანგიშვილი, ვოსკანოვი (ჭყონია 55), ფუტკარაძე (ხუნდაძე 46), გიორგობიანი, ნებიერიძე (ქუთათელაძე 46), დარსაძე, კვერნაძე
*სათადარიგონი:* ბოდოკია; გ. გოგოლაძე, ბაბუნაშვილი, ვადაჭკორია
ლოკომოტივი: ასლანაძე, ბალაშვილი, ბაქრაძე, სალუქვაძე, ვ. გველესიანი (აბრამიძე 6), ონიანი, კაციაშვილი, ლ. ჩხაიძე, დ. გოდერძიშვილი, ხუროძე, გულორდავა (ლ. მიქაძე 46)
*სათადარიგონი:* ლომაია; ძოძუაშვილი
მსაჯები: პ. დოგრაშვილი; გ. კიკაჩეიშვილი, კ. გაბრიაძე (ყველა ქუთაისი); თ. ლაცაბიძე (სურამი);
სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე

კონსტანტინე გოგიშვილი წყალტუბოდან

მოდით, სანამ უშუალოდ თამაშის სურათის აღწერას შევუდგებოდეთ, საამმატჩო თეზისები ჩამოვაყალიბოთ:

1. „ლოკომოტივი“ რომ ერთიანად თასზე გადაერთო და ჩემპიონატის შეხვედრებს დიდ მნიშვნელობას აღარ ანიჭებს, ეს ყველასთვის გასაგები უნდა იყოს;

2. ამ თამაშამდე არაერთი ამბობდა, „სამგურალი“ მოიგებსო და ისე ყველაფერი კარგი აგიხდეთ (ვთქვათ, ქართული გუნდი ჩემპიონთა ლიგაში);

3. „სამგურალს“ ჰაერივით სჭირდებოდა გამარჯვება, „ლოკომოტივს“ კი თავი ქუდში აქვს.

ახლა კი განვავრცოთ ეს ყველაფერი:

1. წყალტუბოური შეხვედრიდან ზუსტად სამ დღეში რკინიგზელებს დაჭრილი დათვივით „ბათუმთან“ შეხვედრა ელოდათ და ძოძუაშვილმა იმერეთში ერთიანად გადახალისებული შემადგენლობა ჩაიყვანა (ის კი არა, სულ თხუთმეტი კაცი იყო განაცხადში), თავად კი „ბათუმ“ — „დინამოს“ სანახავად აჭარას გასწია.

2. თსუ ხუთი ქულით უსწრებს „სამგურალს“, მაგრამ ეს ჯერაც არ არის ფინიშიო, სტუდენტებს პირველი ლიგიდან გავარდნის უფრო დიდი შანსი აქვთ, ვიდრე იასონ ბზიკაძის (და სხვათა) გუნდსო...

3. „სამგურალს“ გამარჯვება სჭირდება, არა მარტო ამ, არამედ ყველა დარჩენილ მატჩში, სხვანაირად თსუ-სთან ვერას გააწყობს.

ახლა კი მატჩზეც. შემადგენლობაგადახალისებული „ლოკომოტივი“ ცენტრშიღა ეჭიდავა მასპინძლებს, კომბინაციური და შემტევი სტილი კი როგორღაც გვერდზე დარჩათ რკინიგზელებს. დასტური? ახლავე — მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში ერთადერთხელ დაარტყეს მეტოქის მეკარისკენ ძოძუაშვილის ბიჭებმა და ისიც კარისგან კარგა შორს. თავი არც მეორე ტაიმში გამოუდვიათ „ლოკომოტივის“ ფეხბურთელებს და ერთ დარტყმულს სამი დაამატეს (კარში ორი წავიდა). აი, სულ ეს იყო თასის ნახევარფინალისტის მონაგარი ამ მატჩში.

რაც შეეხებათ წყალტუბოელებს, მათ უნდა მოეგოთ და მოიგეს. ეს, ალბათ, ყველაზე კარგი ფორმულაა მასპინძელთა იმდღევანდელი გარჯისა. ისინი მეტად ხისტები იყვნენ, უფრო მიზანსწრაფულად თამაშობდნენ და რომ არა ახალგაზრდა კვერნაძის გამოუცდელობა (დავარქვათ ასე), შეცვლაზე შესულ ქუთათელაძეს მეკარის საჯარიმოში ფეხის გამოდება არ დასჭირდებოდა (სამი ქულისთვის ხომ ერთი გოლიც სრულიად საკმარისია).

კვერნაძეს ქუთათელაძის გატანილის შემდეგაც ჰქონდა საგოლე მომენტები, მაგრამ ბოლოწამს ან მცველი ასწრებდა ბურთზე ფეხის გაკვრას, ანაც პასს ამჯობინებდა წყალტუბოელთა თავდამსხმელი და ასლანაძესაც მეტოქის დარტყმულის მაგიერ თავისიანის მიგორებული მისდიოდა. გატანილი ბურთის შემდეგ თამაში რიონივით დამღოვრდა და მაყურებელიც, თითქმის მთლიანად გაიკრიფა „26 მაისის“ ტრიბუნებიდან — ვითომ იცოდა ხალხმა, მეტი რომ არ გავიდოდა?

ფეხბურთში ჭიპმოჭრილი მამუკა ხუნდაძე იყო ერთადერთი ნათელი წერტილი ბოლო წუთებში — დარტყმა, პასი, შესრულების დონე... მაგრამ ერთი მერცხლისა არ იცით?



ივერიელი

# ბოლოსწინა ამოსუნთქვა

## ინგლისი

XXXVII ტური

### ლივერპული 0:0 საუთჰემპტონი

ლივერპული: ვესტერველდი, მატეო, ენჩოსი, ჰიიპია, სონგი (ჰამანი 77), ბერგერი, რედნაპი, კარაგერი, კამარა (მეიერი 80), ჰესკი, ფაულერი (ტომპსონი 59)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
საუთჰემპტონი: მოსი, ბრიჯი, რიჩარდსი, ელ ხალეჯი, დოდი, კაჩლული, სოლტვედტი, ტესემი, ოუკლი, დევისი, პახარსი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
გაფრთხილება: დოდი
მსაჯი: ოლკოკი
44 015 მაყურებელი

### არსენალი 2:1 ჩელსი

1:0, 2:0 ანრი (21, 48), 2:1 პოიეტი (79)
არსენალი: სიმენი, დიქსონი, ადამსი, გრიმანდი, სილვინიო, პარლოუ, ვიეირა, პეტი (ლუჟნი 77), ოვერმარსი (უინტერბერნი 46), ბერხკამპი (კანუ 68), ანრი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ჩელსი: დე გუი, ლამბური, ლებეფი (ტომე 40), დესაი, მელხიოტი, დი მატეო, უაიზი, მორისი (დეშამპი 60), ძოლა (პოიეტი 60), ვეა, ფლო
მწვრთნელი: ჯანლუკა ვიალი
გაფრთხილება: ანრი, ტომე, პოიეტი
მსაჯი: რიდი
38 119 მაყურებელი

### ქოვენთრი 4:1 შეფილდ უენსდი

1:0 მაკალისტერი (38), 2:0 ზუნიგა (67), 3:0 მაკალისტერი (70), 4:0 ჰაჯი (80), 4:1 დე ბილდე (81)
ქოვენთრი: ოგრიზოვიჩი, შოუ, უილიამსი, ბრინი, ტელფერი, მ. ჰაჯი, ველანი, მაკალისტერი, ჩიპო (ოსტიჩი 88), რობი კინი, ზუნიგა
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
შეფილდ უენსდი: პრესმენი, ნოლანი, აზერტონი, უოლკერი (ჰასლამი 53), ჰინჩკლიფი, იონკი, ჰორნი (სონერი 67), ე. ქუინი, ალექსანდერსონი (სიბონი 61), დე ბილდე, ბუტი
მწვრთნელი: პიტერ შრივსი
გაფრთხილება: ჩიპო, იონკი, აზერტონი
მსაჯი: ბენეტი
19 921 მაყურებელი

### დერბი ქაუნთი 0:0 ნიუკასლი

დერბი ქაუნთი: პოომი, ლაურსენი (ჯექსონი 90), კარბონარი, შნური, დორიგო, ბარლი, პაუელი, მიურეი (ბოჰინენი 58), ქინქლაძე (სტარიჯი 48), კრისტი, დ. ბარტონი
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
ნიუკასლი: გივენი, უ. ბარტონი, დაბიზასი, ა. ჰიუზი, სოლანო (გალაჰერი 65), დაიერი, ლი, სპიდი, პისტონე (დომი 12), შირერი, ქეცბაია (გავილანი 84)
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: კარბონარი, ლი
მსაჯი: უილი
32 724 მაყურებელი

### ლესტერი 3:0 ბრედფორდი

1:0, 2:0 ელიოტი (59, 63), 3:0 კოტი (68)
ლესტერი: არპეშადი, ფ. სინკლერი (ოუქსი 80), გაპი, ჯილკრისტი (უოლში 71), მ. ელიოტი, იმპი (ზაგორაკისი 71), იზეტი, ლენონი, სევიჯი, ედი, კოტი
მწვრთნელი: მარტინ ონილი
ბრედფორდი: კლარკი, ვეზეროლი, ჰალე, დრაიერი (ლოურენსი 60), ჯაკობსი (შარპი 10), მაკკოლი, ბიგრი (რანკინი 71), ობრაიენი, უინდასი, ბლეიქი, სონდერსი
მწვრთნელი: პოლ ჯუელი
გაფრთხილება: სინკლერი, ბიგრი, მაკკოლი
მსაჯი: დანი
21 103 მაყურებელი

### მანჩესტერი 3:1 ტოტენჰემი

1:0 სოლსკიაერი (5), 1:1 არმსტრონგი (20), 2:1 ბექემი (34), 3:1 შერინგემი (36)
მანჩესტერი: ვან დერ გოუ, ფ. ნევილი, სტამი (ბერგი 26), სილვესტრი, ირვინი, ბექემი, ბათი (გრინინგი 63), სქოულზი, გიგზი, შერინგემი, სოლსკიაერი (კრუიფი 79)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ტოტენჰემი: ი. უოქერი, კარი, სოლ კემპბელი, პერი, კლემენსი, ანდერტონი, ფროინდი, დევისი, ეზერინგტონი (კინგი 84), ივერსენი (კორსტენი 70), კ. არმსტრონგი (დოჰერტი 70)
მწვრთნელი: ჯორჯ გრემი
გაფრთხილება: სქოულზი, ფროინდი
მსაჯი: უილკი
61 629 მაყურებელი

### მიდლსბრო 1:1 უოტფორდი

1:0 სტოკდეილი (27), 1:1 უორდი (68)
მიდლსბრო: შვარცერი, სტოკდეილი, ფესტა, ვიკერსი, კუპერი, ფლემინგი, მასტო, ინსი, ჟუნინიო, რიკარდი, ე. კემპბელი (მარინელი 46)
მწვრთნელი: ბრაიან რობსონი
უოტფორდი: დეი, პეიჯი, უორდი, რობინსონი, კოქსი, პალმერი, ჰიდი, პერპეტუინი (მუნი 46), ჰელგუსონი, ტ. სმიტი, ფოლი (ვუტერი 46)
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
გაფრთხილება: რიკარდი, რობინსონი
მსაჯი: ჯონსი
32 930 მაყურებელი

### სანდერლენდი 1:0 ვესტ ჰემი

1:0 ფილიპსი (14)
სანდერლენდი: სორენსენი, მაკინი, პ. ბატლერი, კრადოკი, გრეი, სამერბელი, ტირლველი, რუა (ტ. ბატლერი 84), ოსტერი (ჰოლოვეი 89), ნ. ქუინი (დიჩიო 43), ფილიპსი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
ვესტ ჰემი: ბივატერი, პოტსი, შტიმაცი, რ. ფერდინანდი, ტ. სინკლერი, მონკუ, ფოე, კარიკი, კანო, ვანჩოპე, დი კანიო
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: ოსტერი, ფილიპსი, ტირლველი
მსაჯი: ბერი
41 684 მაყურებელი

### უიმბლდონი 2:2 ასტონ ვილა

1:0 ეჰიოგუ (15ს.კ.), 1:1 ჰენდრი (54), 1:2 დაბლინი (74), 2:2 ჰართსონი (90)
უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი (იუპი 29), ბლექველი, ჰრეიდარსონი, ტეტჩერი, ერდლი, იუელი, ანდერსენი, მაიკლ ჰიუზი (ფრანცისი 46), გეილი, კორტი (ჰართსონი 76)
მწვრთნელი: ტერი ბარტონი
ასტონ ვილა: ჯეიმსი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, ბერი, დილანი, მერსონი, ტომპსონი, ლ. ჰენდრი, ა. რაიტი (სამუელი 66), დაბლინი (ჯოუჩიმი 81), კარბონე
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
გაფრთხილება: დილანი, დაბლინი
მსაჯი: ჰელსი
19 188 მაყურებელი

### ლიდსი 1:1 ევერტონი

1:0 ბრიჯისი (30), 1:1 ბარმბი (60)
ლიდსი: მარტინი, გ. კელი, ვუდგეიტი, დაბერი, მილსი, ბოიერი, ბაკე, მაკფაილი, უილკოქსი (ჰაალანდი 54), კიუელი, ბრიჯისი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
ევერტონი: ჟერარი, ბოლი, ანსუორთი, კოლინზი, ბარმბი, ჰათჩისონი, პემბრიჯი (უორდი 79), ვეირი, დანი, ს. ჰიუზი, მ. ჰიუზი (კადამატერი 73)
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
გაფრთხილება: დაბერი, ბოლი, მ. ჰიუზი, ჰათჩისონი, ანსუორთი, ბარმბი, ს. ჰიუზი
გაძევება: დანი (50), დაბერი (54), ჰათჩისონი (87)
მსაჯი: დურსო
37 713 მაყურებელი



REUTERS ლონდონიდან

არსენალი — ჩელსი 2:1. ემანუელ პეტიმ (მარცხნივ) და მისმა გუნდმა ჯანფრანკო ძოლა და „ჩელსი" დაჩაგრეს

სეზონის ბოლო შეხვედრა „ოლდ ტრეფორდზე" ზეიმითა და სიმღერით დასრულდა. „მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტანმა როი კინმა ლიგის თასი აღმართა. „მანჩესტერმა" 3:1 მოუგო დავიდ ჟინოლას გარეშე მოთამაშე „ტოტენჰემს" და ლიგის მთავარი ჯილდო კვლავ შინ დაიტოვა.

ახლა ხშირად გაიგონებთ — სექტემბერ-ოქტომბერში რომ სხვანაირად ყოფილიყო „არსენალის" საქმე, „მანჩესტერი" ასე იოლად ვერ მოიგებდა ტიტულსო. ეგებ მართლაც ასე ყოფილიყო, რადგან მესამე თვეა მეთოფეებს ქულა არ დაუკარგავთ, მაგრამ შემოდგომაზე ჩაოხრებული საქმე ისე ველარ გამოასწორეს, რომ ჩემპიონობაზე გაქაჩულიყვნენ.

ამ ბოლოსწინა ტურში „არსენალმა" ზედიზედ მეთორმეტედ მოიგო. მორიგი მსხვერპლი „ჩელსი" იყო, რომელიც ეგრეც ვერ გაიმართა წელში „ბარსელონასთან" წაგების შემდეგ და ოფიციალურადაც გამოეთხოვა საგაისო ჩემპიონთა ლიგას. „ჩელსის" უსუსურ თამაშში მხოლოდ რამდენიმე წუთით, ისიც შეხვედრის მიწურულს გაკრთა ნაპერწკალი, როცა შეცვლაზე შემოსულმა გუსტავო პოიეტმა გოლი გაიტანა. მაგრამ პოიეტის ერთ საპასუხოს მხოლოდ სტატისტიკური მნიშვნელობაღა შერჩა: მანამდე მეთოფე ტიერი ანრის დუბლი შეესრულებინა.

„ლივერპულის" ბრწყინვალე საგაზაფხულო განავარდება და ლამის მოპოვებული ჩემპიონთა ლიგის საგზური კი ისე გაქრა, როგორც მუჭში ჩაგროვილი წყალი. მეოთხე ტურია, ჟერარ ულიეს ფეხბურთელებს გოლი ვერ გაუტანიათ. ბოლო ორ შეხვედრაში უფერულად მოთამაშე მაიკლ ოუენი „საუთჰემპტონის" წინააღმდეგ საერთოდაც შემადგენლობის გარეთ დარჩა, თუმცა, ამას მისმა ტრავმამაც შეუწყო ხელი. ულიეს უშიშრად შემოჰყავს მოედანზე თავდამსხმელები (ბოლოს ოთხი-ხუთიც მოგროვდებიან ხოლმე) მაგრამ ისინი კარში ვერ ურტყამენ და „ლივერპულს" ძალიან უჭირს. ასე იყო „საუთჰემპტონთან" მატჩშიც, შინ მოთამაშე „ლივერპული" მეკარე სანდერ ვესტერველდმა გადაარჩინა — თორემ ჯო ტესემი ისე იყო დაგეშილი, რომ არა, არა და გლენ ჰოდლის გუნდი სამ ქულას წაიღებდა „ენფილდიდან".

ცხრილის ბოლოში კი ვითარება კვლავ მწვავეა. „შეფილდ უენსდი" ქოვენთრიში განადგურდა და ამით საბოლოოდ გადაესვა ხაზი. მეჩვიდმეტე ადგილზე მდგომმა „ბრედფორდმა" დაცვითი თამაში არჩია ლესტერში სტუმრობისას, მაგრამ მეორე ტაიმში გატყდა და ცხრაწუთიან მონაკვეთში სამი გოლი გაუშვა. მეთვრამეტეზე მყოფმა „უიმბლდონმა" ზედიზედ რვა წაგების შემდეგ ქულა გამოგლიჯა „ასტონ ვილას". საფინალო სასტვენამდე წამით ადრე, შეცვლაზე შემოსულმა ჯონ ჰართსონმა თავურით გაათანაბრა ანგარიში და „ბრედფორდს" ადგილი გაუცვალა. ბოლო ტურში „ბრედფორდი" „ლივერპულს" მასპინძლობს, „უიმბლდონი" კი საუთჰემპტონში სტუმრობს.

„დერბი" — „ნიუკასლი" უგოლოდ დასრულდა. გიორგი ქინქლაძემ ცალი ტაიმი ითამაშა, თემურ ქეცბაია თამაშის მიწურულს შეცვალეს. თამაში იმითაც იყო საინტერესო, რომ ნულოვანი ფრეს შემდეგ გაირკვა — 1906 წლის შემდეგ ამ გუნდებს შორის უგოლო მატჩი არ ყოფილა. „სანდერლენდმა" „ვესტ ჰემს" სძლია, რა თქმა უნდა, კევინ ფილიპსის გოლით, „მიდლსბრო" — „უოტფორდის" ფრე კი მხოლოდ ცნობარებით თუ შემორჩება ინგლისური ფეხბურთის ისტორიას.

**ირაკლი გამყრელიძე**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მანჩესტერი | 37 | 27 | 7 | 3 | 96:45 | 51 | 88 | 19 | 15 | 4 | 0 | 59:16 | 43 | 49 | 18 | 12 | 3 | 3 | 37:29 | 8 | 39 |
| 2 | არსენალი | 36 | 22 | 6 | 8 | 68:36 | 32 | 72 | 18 | 14 | 2 | 2 | 39:14 | 25 | 44 | 18 | 8 | 4 | 6 | 29:22 | 7 | 28 |
| 3 | ლიდსი | 37 | 21 | 5 | 11 | 58:43 | 15 | 68 | 19 | 12 | 2 | 5 | 29:18 | 11 | 38 | 18 | 9 | 3 | 6 | 29:25 | 4 | 30 |
| 4 | ლივერპული | 37 | 19 | 10 | 8 | 51:29 | 22 | 67 | 19 | 11 | 4 | 4 | 28:13 | 15 | 37 | 18 | 8 | 6 | 4 | 23:16 | 7 | 30 |
| 5 | ჩელსი | 37 | 17 | 11 | 9 | 49:34 | 15 | 62 | 18 | 11 | 5 | 2 | 31:12 | 19 | 38 | 19 | 6 | 6 | 7 | 18:22 | -4 | 24 |
| 6 | ასტონ ვილა | 37 | 15 | 13 | 9 | 46:34 | 12 | 58 | 18 | 8 | 8 | 2 | 23:11 | 12 | 32 | 19 | 7 | 5 | 7 | 23:23 | 0 | 26 |
| 7 | სანდერლენდი | 37 | 16 | 10 | 11 | 56:53 | 3 | 58 | 19 | 10 | 6 | 3 | 28:17 | 11 | 36 | 18 | 6 | 4 | 8 | 28:36 | -8 | 22 |
| 8 | ლესტერი | 37 | 16 | 7 | 14 | 55:51 | 4 | 55 | 19 | 10 | 3 | 6 | 31:24 | 7 | 33 | 18 | 6 | 4 | 8 | 24:27 | -3 | 22 |
| 9 | ვესტ ჰემი | 37 | 15 | 9 | 13 | 52:53 | -1 | 54 | 18 | 11 | 4 | 3 | 32:23 | 9 | 37 | 19 | 4 | 5 | 10 | 20:30 | -10 | 17 |
| 10 | ევერტონი | 37 | 12 | 14 | 11 | 59:47 | 12 | 50 | 18 | 7 | 9 | 2 | 36:19 | 17 | 30 | 19 | 5 | 5 | 9 | 23:28 | -5 | 20 |
| 11 | ტოტენჰემი | 37 | 14 | 8 | 15 | 54:48 | 6 | 50 | 18 | 9 | 3 | 6 | 37:25 | 12 | 30 | 19 | 5 | 5 | 9 | 17:23 | -6 | 20 |
| 12 | ნიუკასლი | 37 | 13 | 10 | 14 | 59:52 | 7 | 49 | 18 | 9 | 5 | 4 | 38:18 | 20 | 32 | 19 | 4 | 5 | 10 | 21:34 | -13 | 17 |
| 13 | მიდლსბრო | 37 | 13 | 10 | 14 | 44:52 | -8 | 49 | 19 | 8 | 5 | 6 | 23:26 | -3 | 29 | 18 | 5 | 5 | 8 | 21:26 | -5 | 20 |
| 14 | ქოვენთრი | 37 | 12 | 8 | 17 | 47:53 | -6 | 44 | 19 | 12 | 1 | 6 | 38:22 | 16 | 37 | 18 | 0 | 7 | 11 | 9:31 | -22 | 7 |
| 15 | საუთჰემპტონი | 37 | 11 | 8 | 18 | 43:62 | -19 | 41 | 18 | 7 | 4 | 7 | 24:22 | 2 | 25 | 19 | 4 | 4 | 11 | 19:40 | -21 | 16 |
| 16 | დერბი | 37 | 9 | 11 | 17 | 44:53 | -9 | 38 | 19 | 6 | 3 | 10 | 22:25 | -3 | 21 | 18 | 3 | 8 | 7 | 22:28 | -6 | 17 |
| 17 | უიმბლდონი | 37 | 7 | 12 | 18 | 46:72 | -26 | 33 | 19 | 6 | 7 | 6 | 30:28 | 2 | 25 | 18 | 1 | 5 | 12 | 16:44 | -28 | 8 |
| 18 | ბრედფორდი | 37 | 8 | 9 | 20 | 37:68 | -31 | 33 | 18 | 5 | 8 | 5 | 25:29 | -4 | 23 | 19 | 3 | 1 | 15 | 12:39 | -27 | 10 |
| 19 | უენსდი | 36 | 7 | 6 | 23 | 31:67 | -36 | 27 | 18 | 5 | 3 | 10 | 17:23 | -6 | 18 | 18 | 2 | 3 | 13 | 14:44 | -30 | 9 |
| 20 | უოტფორდი | 37 | 5 | 6 | 26 | 34:77 | -43 | 21 | 18 | 4 | 4 | 10 | 23:31 | -8 | 16 | 19 | 1 | 2 | 16 | 11:46 | -35 | 5 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ფილიპსი (სანდერლენდი) | 30 |
| შირერი (ნიუკასლი) | 22 |
| იორკი (მანჩესტერი) | 20 |
| ე. კოული (მანჩესტერი) | 19 |
| ბრიჯისი (ლიდსი) | 19 |

### გამოტოვებული მატჩი

9 მაისი

| | |
|---|---|
| არსენალი | შეფილდი |

XXXVIII ტური

14 მაისი

| | |
|---|---|
| ასტონ ვილა | მანჩესტერი |
| ბრედფორდი | ლივერპული |
| ჩელსი | დერბი |
| ევერტონი | მიდლსბრო |
| ნიუკასლი | არსენალი |
| შეფილდი | ლესტერი |
| საუთჰემპტონი | უიმბლდონი |
| ტოტენჰემი | სანდერლენდი |
| უოტფორდი | ქოვენთრი |
| ვესტ ჰემი | ლიდსი |

## პირველი დივიზიონი

XLVI ტური

### ბარნსლი 0:2 ქრიუ

0:1 სორველი (55), 0:2 ჰალსი (79)

### ბირმინგემი 0:0 გრიმსბი

### ბლექბერნი 1:4 მანჩესტერ სიტი

1:0 იანსენი (42), 1:1 გოტერი (60), 1:2 დეილი (67ს.კ.), 1:3 კენედი (75), 1:4 დიკოვი (81)

### ბოლტონი 1:0 ნორვიჩი

1:0 ჰოლდსუორთი (72)

### ფულემი 3:0 ჰადერსფილდი

1:0, 2:0 კლარკი (33, 68პ), 3:0 გოლდბეკი (76)

### იფსვიჩი 2:0 უოლსოლი

1:0, 2:0 ჯონსონი (49, 80)

### პორტვეილი 0:1 ვულვზი

0:1 რობინსონი (85)

### პორტსმუთი 1:3 ქუინზ პარკი

0:1 ლონგლი (30), 1:1 ალენი (53), 1:2 გალენი (88), 1:3 მიერსი (89ს.კ.)

### შეფილდ იუნ. 2:2 სუინდონი

1:0 ქუინი (14), 1:1, 1:2 გრაციოლი (53, 55), 2:2 ბარლი (73)

### სტოკპორტი 2:3 ნოტინგემი

1:0 უილბრემი (4), 1:1 ბარტ-უილიამსი (33), 1:2 ტეილორი (37ს.კ.), 1:3 ფლინი (55ს.კ.), 2:3 უილბრემი (70)

### ტრანმერი 1:2 კრ. პალასი

0:1 მულინსი (34), 0:2 მორისონი (39), 1:2 ტეილორი (46)

### ვესტ ბრომვიჩი 2:0 ჩარლტონი

1:0 სნიკსი (65), 2:0 ტეილორი (70)

დრო იყო, „სარბიელის" ლამის ყველა ნომერში ამ გუნდს ვახსენებდით, ის კი ქვემოთ და ქვემოთ ჩადიოდა. ახლა „მანჩესტერ სიტიში" ქართველი აღარავინ თამაშობს. სამაგიეროდ, ქინქლაძის, ყაველაშვილის, შელიასა და ცხადაძის ყოფილმა გუნდმა ორ სეზონში ორი დივიზიონი გაიარა და პრემიერლიგას დაუბრუნდა.

...ბოლო ტური დრამატული გამოდგა. პირველი ტაიმების ანგარიშებით პრემიერლიგაში „იფსვიჩი" გადადიოდა — ის შინ „უოლსოლს" უგებდა, „სიტი" კი ბლექბერნში აგებდა. არც მეორე ტაიმის საწყისი წუთები უქადდა მანჩესტერულ გუნდს წარმატებას: „როვერსმა" 5 წუთში სამჯერ ბურთი მეტოქის კარის ძელს მოარტყა. მაგრამ ბოლო ნახევარ საათში „სიტიმ" ოთხი გოლის გატანა და ნაცნობ ლიგაში უდავიდარაბოდ გადასვლა მოახერხა.

პრემიერლიგის დარჩენილი ერთი საგზურისთვის კიდევ 5 მატჩი გაიმართება. ჯერ „იფსვიჩი" შეხვდება „ბოლტონს" ორმატჩიან პლეი-ოფში, ისევე როგორც „ბარნსლი" „ბირმინგემს", შემდეგ კი ამ ორი წყვილის გამარჯვებულები „უემბლიზე" გაარკვევენ მესამე იღბლიანს.

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩარლტონი | 46 | 27 | 10 | 9 | 79:45 | 91 |
| სიტი | 46 | 26 | 11 | 9 | 78:40 | 89 |
| იფსვიჩი | 46 | 25 | 12 | 9 | 71:42 | 87 |
| ბარნსლი | 46 | 24 | 10 | 12 | 88:67 | 82 |
| ბირმინგემი | 46 | 22 | 11 | 13 | 65:44 | 77 |
| ბოლტონი | 46 | 21 | 13 | 12 | 69:50 | 76 |
| ვულვზი | 46 | 21 | 11 | 14 | 64:48 | 74 |
| ჰადერსფილდი | 46 | 21 | 11 | 14 | 62:49 | 74 |
| ფულემი | 46 | 17 | 16 | 13 | 49:41 | 67 |
| ქუინზ პარკი | 46 | 16 | 18 | 12 | 62:53 | 66 |
| ბლექბერნი | 46 | 15 | 17 | 14 | 55:51 | 62 |
| ნორვიჩი | 46 | 14 | 15 | 17 | 45:50 | 57 |
| ტრანმერი | 46 | 15 | 12 | 19 | 57:68 | 57 |
| ნოტინგემი | 46 | 14 | 14 | 18 | 53:55 | 56 |
| კრ. პალასი | 46 | 13 | 15 | 18 | 57:67 | 54 |
| შეფილდ იუნ. | 46 | 13 | 15 | 18 | 59:71 | 54 |
| სტოკპორტი | 46 | 13 | 15 | 18 | 55:67 | 54 |
| პორტსმუთი | 46 | 13 | 12 | 21 | 55:66 | 51 |
| ქრიუ | 46 | 14 | 9 | 23 | 46:67 | 51 |
| გრიმსბი | 46 | 13 | 12 | 21 | 41:67 | 51 |
| ვესტ ბრომვიჩი | 46 | 10 | 19 | 17 | 43:60 | 49 |
| უოლსოლი | 46 | 11 | 13 | 22 | 52:77 | 46 |
| პორტვეილი | 46 | 7 | 15 | 24 | 48:69 | 36 |
| სუინდონი | 46 | 8 | 12 | 26 | 38:77 | 36 |

## მეორე დივიზიონი

46-ე ტური. ბლექპული — ჩესტერფილდი 2:2; ბორნმუთი — უიგანი 2:2; ბრენტფორდი — კოლჩესტერი 0:0; ბრისტოლი — პრესტონი 0:2; კემბრიჯი — უიკომბი 1:2; კარდიფი — როვერსი 1:0; ლუთონი — ოლდემი 1:1; მილუოლი — ოქსფორდი 1:0; ნოტსი — ბერი 2:2; რედინგი — სტოკი 1:0; სკანთორპი — ბარნლი 1:2; რექსჰემი — ჯილინგემი 1:0

## მესამე დივიზიონი

46-ე ტური. ბრაიტონი — კარლაილი 1:0; ჩესტერი — პიტერბრო 0:1; დარლინგტონი — ლინკოლნი 2:0; ექსეტერი — შრიუსბერი 1:2; ჰალიფაქსი — მაკლსფილდი 0:1; ჰალი — ჰარტლპული 0:3; ლეიტონი — იორკი 0:0; მენსფილდი — პლიმუთი 2:2; როჩდეილი — ბარნეტი 1:1; როტერჰემი — სუონსი 1:1; საუთენდი — ჩელტენემი 2:1; ტორკი — ნორთჰემპტონი 1:2

# 1964, 1998 და 2000 წლის ჩემპიონატის ბოლო ტური


REUTERS ტურინიდან

იუვენტუსი — პარმა 1:0. ტურინელი ზინედინ ზიდანი (№21) და პარმელი დინო ბაჯო

## იტალია

XXXIII ტური

### იუვენტუსი 1:0 პარმა

1:0 დელ პიერო (60)
იუვენტუსი: ვან დერ სარი, ფერარა, მონტერო, იულიანო (ტუდორი 68), კონტე, ტაკინარდი (ძამბროტა 84), დავიდსი, პესოტო, ზიდანი, დელ პიერო, ფ. ინძაგი (კოვაჩევიჩი 87)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
პარმა: ბუფონი, სარტორი, ტურამი, კანავარო, ფუზერი (სტანიჩი 46), ბოლანო, დ. ბაჯო, ბენარივო (დი ვაიო 67), ვანოლი, კრესპო, ამოროზო
მწვრთნელი: ალბერტო მალესანი
გაფრთხილება: ტუდორი, ბოლანო
მსაჯი: დე სანტისი
55 000 მაყურებელი

### ბოლონია 2:3 ლაციო

0:1 სერჟიო კონსეისაო (25), 1:1 სინიორი (39), 1:2 სიმეონე (63), 1:3 სალასი (75), 2:3 სინიორი (89)
ბოლონია: პალიუკა, ფალკონე, ბია, პაგანინი (გამბერინი 86), დალ კანტო, ბინოტო (გორეტი 70), ინგესონი, მაროკი (კოლივანოვი 91), ნერვო, კ. ანდერსონი, სინიორი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
ლაციო: მარკეჯანი (ბალოტა 3), ნეგრო, ნესტა, ფერნანდო კოუტუ, პანკარო, სერჟიო კონსეისაო (რავანელი 46), სიმეონე (სენსინი 86), ვერონი, ნედვედი, სალასი, რ. მანჩინი
მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი
გაფრთხილება: ფალკონე, ბია; ნესტა, რავანელი
მსაჯი: მესინა
37 000 მაყურებელი

### რომა 1:1 მილანი

1:0 ძაგო (11), 1:1 შევჩენკო (82პ)
რომა: ანტონიოლი, რინალდი, ალდაირი, ძაგო, კაფუ, ტომაზი, მარკოს ასუნსაო, დი ფრანჩესკო, ტოტი, მონტელა (კ. ძანეტი 73), დელვეკიო
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
მილანი: აბიატი, შამოტი, კოსტაკურტა, ვესტი, გატუზო, ჯუნტი, ამბროზინი (სერჟინიო 58), ჰელვეგი (გულიელმინპიეტრო 70), ლეონარდო, შევჩენკო, ხოსე მარი (ბირჰოფი 80)
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
გაფრთხილება: დი ფრანჩესკო, მარკოს ასუნსაო, რინალდი, ჰელვეგი, შამოტი, კოსტაკურტა
მსაჯი: ტრენტალანჯე
64 058 მაყურებელი

### ინტერი 0:4 ფიორენტინა

0:1, 0:2 კიეზა (31, 46), 0:3 ბატისტუტა (70), 0:4 ბრესანი (87)
ინტერი: პერუცი, სიმიჩი (სამორანო 46), ბლანი, კორდობა, ხ. ძანეტი, კოე, დი ბიაჯო, ზეედორფი, სერენა, რ. ბაჯო (მუტუ 55), რეკობა
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
ფიორენტინა: ტოლდო, რეპკა, ადანი, პიერინი, ტაროცი, როსიტო, რუი კოშტა (ბალბო 75), კოისი (ბრესანი 71), დი ლივიო, ბატისტუტა, კიეზა (კ. ამორუზო 61)
მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი
გაფრთხილება: ტაროცი, დი ლივიო
მსაჯი: ბრასკი
52 610 მაყურებელი

### უდინეზე 2:1 პერუჯა

1:0 ვარლეი (37), 1:1 ამორუზო (41), 2:1 მარჯოტა (60)
უდინეზე: ტურჩი, ძანკი, სოტილი, ბერტოტო, ბისგაარდი (იორგენსენი 55), ჯანიკედა, ფიორე, ვან დერ ვეგტი, ლოკატელი (პინედა 70), მარჯოტა, ვარლეი (კამარა 88)
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
პერუჯა: მაცანტინი, მონაკო, კალორი, მატერაცი, ესპოზიტო, კამპოლო (ტედესკო 70), ბიზოლი (ოლივე 70), მილანეზე, ალენიჩევი (მელი 77), ნ. ამორუზო, რაპაიჩი
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: ვარლეი, მონაკო, კამპოლო, მილანეზე
მსაჯი: ბოლონინო
15 584 მაყურებელი

### ვენეცია 0:1 ბარი

0:1 ინოჩენტი (77)
ვენეცია: ბენუსი, ბილიკა, პავანი, ნგოტი, მალდონადო, ბერგი (მარანგონი 81), ვოლპი, ნანამი, ჯინესტრა (მანიერო 84), განცი, ვალტოლინა
მწვრთნელი: ფრანჩესკო ოდო
ბარი: ფ. მანჩინი, ნექროიზი, დელ გროსო, ინოჩენტი, ფერარი, ბელავისტა, მარკიჩი, დ. ანდერსონი, მადსენი (სპინეზი 63), კასანო (პეროტა 71), ოსმანოვსკი
მწვრთნელი: ეუჯენიო ფაკეტი
გაფრთხილება: ნგოტი, ვალტოლინა, ბილიკა, ინოჩენტი
მსაჯი: პელეგრინო
7 410 მაყურებელი

### რეჯინა 1:1 ვერონა

1:0 ბოგდანი (26), 1:1 კამარატა (58)
რეჯინა: ტაიბი, ოშადოგანი, სტოვინი, ჯაკეტა, ფოლიო (ბერნინი 60), ბრევი, ვარგასი, კოცა, მორაბიტო, ბოგდანი (პოსანცინი 46), კალონი (სბალია 87)
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
ვერონა: ფრეი, ფილიპინი (ანასტაზი 33), აპოლონი, ფრანჩესკეტი, ფალსინი, დიანა, იტალიანო, კოლუჩი, მელისი (სერიჩი 82), კამარატა (კოსატო 65), ადაილტონი
მწვრთნელი: კლაუდიო პრანდელი
გაფრთხილება: ფრანჩესკეტი, ანასტაზი
მსაჯი: ბაცოლი
21 889 მაყურებელი

### პიაჩენცა 1:1 კალიარი

0:1 სუაზო (19), 1:1 ვილა (14ს.კ.)
პიაჩენცა: ნიკოლეტი, ლამაკი, ა. ლუკარელი, დელი კარი, გაუტიერი (კრისტალინი 59), ტალიაფერი, სტატუტო, მორონე, მანიგეტი (მაჩანი 46), ჯილარდინო (რიციტელი 71), რასტელი
მწვრთნელი: დანიელე ბერნაცანი
კალიარი: სკარპი, ვილა, ლოპესი, ძებინა, მაიელე (მელისი 46), ბერეტა, კონტი (კარუსი 50), დე პატრე, მაჩელარი, მბომა, სუაზო (კორადი 77)
მწვრთნელი: რენცო ულივიერი
გაფრთხილება: მანიგეტი, დე პატრე, მბომა
მსაჯი: სერენა
2 000 მაყურებელი

### ლეჩე 2:1 ტორინო

1:0 სესა (55), 1:1 ფერანტე (77პ), 2:1 კონტიკიო (79)
ლეჩე: კიმენტი, ხუარესი, ვიალი, სავინო, ბალერი, კონტიკიო, ლიმა, პიანჯერელი (პივოტო 46), კოლონელო (ტრავერსა 55), სესა, კ. ლუკარელი (ბონომი 77)
მწვრთნელი: ალბერტო კავასინი
ტორინო: ბუჩი, ბონომი, მენდესი, მალტალიატი, ტრიკარიკო (ივიჩი 46), გალანტე, ბრამბილა (პეკია 77), სკარჩილი (კალაიო 58), სომეზე, პინგა, ფერანტე
მწვრთნელი: ემილიანო მონდონიკო
გაფრთხილება: ხუარესი, კონტიკიო, ლიმა, პინგა, მენდესი, ივიჩი
გაძევება: კავასინი (69), სომეზე (80), მენდესი (83)
მსაჯი: კოლინა
26 000 მაყურებელი

„ზედიზედ მეორე სეზონია, ჩვენი ამბავი ბოლო ტურში უნდა გადაწყდეს" — თქვა „ლაციოს" მწვრთნელმა, სვენ გორან ერიკსონმა ბოლონიაში 3:2 გამარჯვების შემდეგ და დასძინა — „ფარ-ხმალს არ დავყრით".

შეგახსენებთ, რომ ერთი წლის წინ საკითხი ასე იდგა: „ლაციო" თუ „მილანი"? ახლა ასეა: „ლაციო" თუ „იუვენტუსი"? ერთი წლის წინ დავა რომაელთა კონკურენტის სასარგებლოდ გადაწყდა და ახლაც ასეთი პირი უჩანს.

საქმე ის გახლავთ, რომ „იუვენტუსმა" შინ „პარმას" სძლია 1:0 და მდევართან ორქულიანი უპირატესობა შეინარჩუნა.

„იუვენტუს" — „პარმას" შეხვედრაში ერთადერთი (ჩათვლილი) გოლი ალესანდრო დელ პიერომ გაიტანა. დელ პიერომ გადამწყვეტ მომენტში თავით დაარტყა და 1998 წლის 25 ოქტომბრის შემდეგ პირველად მიაღწია მიზანს საჯარიმო და თერთმეტმეტრიანი დარტყმის გარეშე.

ზემოთ ჩათვლილი გოლი იმიტომ ვახსენეთ, რომ იმავე მატჩში იყო ერთი არჩათვლილი გოლიც, რომელიც შეხვედრის დამთავრებამდე წუთით ადრე პარმელმა ერნან კრესპომ „იუვენტუსის" კარში შეაგდო, მაგრამ სრულიად გაუგებარ მიზეზთა გამო მსაჯმა არ ჩათვალა.

ახლა, ბოლო ტურში, ტურინელები პერუჯაში მიდიან, ხოლო „ლაციო" „რეჯინას" მასპინძლობს — როგორც „პერუჯა", ასევე „რეჯინა" ინტერტოტოს თასზე მოსახვედრად იბრძვიან.

იმ შემთხვევაში, თუ „იუვენტუსი" ფრედ ითამაშებს, ხოლო „ლაციო" გაიმარჯვებს, კონკურენტები ქულათა თანაბარ რაოდენობას დააგროვებენ და მაშინ, „სკუდეტოს" ბედი, პირველად 1964 წლის შემდეგ, დამატებით შეხვედრაში გადაწყდება. 1964-ში „ბოლონიამ" „ინტერს" მოუგო.

„ინტერი" ახლა მძიმე დროებას ებრძვის, 92 წლიან ისტორიაში „სან სიროზე" ყველაზე დიდი მარცხი იწვნია — 0:4. მილანელებს „ფიორენტინამ" სძლია, მაგრამ მაინც მეოთხე ადგილზე დარჩა, „პარმასთან" ტოლი ქულებით, ხოლო „მილანთან" სამქულიანი ჩამორჩენით.

სერია A-ს ბოლოსწინა ტურმა ოთხივე გავარდნილი გუნდის ვინაობაც გაარკვია. „ლეჩესთან" 1:2 დამარცხებულმა „ტორინომ" „ვენეციასთან", „კალიარისთან" და „პიაჩენცასთან" ერთად გაისად ქვედა ლიგაში უნდა იასპარეზოს, თუმცა დავუბრუნდეთ „სკუდეტოსათვის" მებრძოლთა.

„დელ პიერო გოლის გასატანად უკეთეს დროს ვერ შეარჩევდა. მის ნავსიან პერიოდს სიმშვიდით ვეგებებოდით და აი, დღეს დაგვიფასდა" — განაცხადა „იუვენტუსის" მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ — „მართალია „ლაციომ" ჩემპიონატის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე ზეიმის საშუალება არ მოგვცა, მაგრამ არ დავნებდებით და ბოლო დღეს ვიზეიმებთ".

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ზეიმი კი არა, არბიტრს კრესპოს გოლი რომ ჩაეთვალა, დღეს „ლაციო" და „იუვენტუსი" სრულიად სამართლიანად ცხრილის სათავეში ქულათა თანაბარი რაოდენობით იქნებოდნენ, მაგრამ უამრავჯერ ნახსენებმა „იუვენტუსის" ფაქტორმა, რომელიც მსაჯებს, პირობითად რომ ვთქვათ, ამ გუნდის კარში ბოლო წუთზე გატანილი გოლის ჩათვლაში ზღუდავს, ამჯერადაც იმუშავა.

ამ მომენტის შემდეგ „პარმას" კარისკენ განვითარებული შეტევა კინაღამ გოლით და 2:0-ით დასრულდა: ედგარ დავიდსის დარტყმული ბურთი ძელმა აისხლიტა, ხოლო წაქცეული ზიდანის აკრობატული დამატება მიზანს აცდა.

დაბოლოს, ისევ „ინტერი": „მეორე გოლმა ფსიქოლოგიურად გაგვტეხა, არადა პირველ ტაიმში ცუდად არ გვითამაშია" — თქვა მილანელთა გაწბილებულმა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ.

**პაპუნა ძედია**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | იუვენტუსი | 33 | 21 | 8 | 4 | 46:19 | 27 | 71 | 17 | 14 | 2 | 1 | 28:8 | 20 | 44 | 16 | 7 | 6 | 3 | 18:11 | 7 | 27 |
| 2 | ლაციო | 33 | 20 | 9 | 4 | 61:33 | 28 | 69 | 16 | 12 | 4 | 0 | 37:15 | 22 | 40 | 17 | 8 | 5 | 4 | 24:18 | 6 | 29 |
| 3 | მილანი | 33 | 15 | 13 | 5 | 61:40 | 21 | 58 | 16 | 9 | 6 | 1 | 36:18 | 18 | 33 | 17 | 6 | 7 | 4 | 25:22 | 3 | 25 |
| 4 | ინტერი | 33 | 16 | 7 | 10 | 56:36 | 20 | 55 | 17 | 10 | 4 | 3 | 40:16 | 24 | 34 | 16 | 6 | 3 | 7 | 16:20 | -4 | 21 |
| 5 | პარმა | 33 | 15 | 10 | 8 | 48:36 | 12 | 55 | 16 | 9 | 4 | 3 | 27:15 | 12 | 31 | 17 | 6 | 6 | 5 | 21:21 | 0 | 24 |
| 6 | რომა | 33 | 14 | 11 | 8 | 55:32 | 23 | 53 | 17 | 10 | 5 | 2 | 34:14 | 20 | 35 | 16 | 4 | 6 | 6 | 21:18 | 3 | 18 |
| 7 | უდინეზე | 33 | 13 | 11 | 9 | 55:41 | 14 | 50 | 17 | 9 | 4 | 4 | 36:23 | 13 | 31 | 16 | 4 | 7 | 5 | 19:18 | 1 | 19 |
| 8 | ფიორენტინა | 33 | 12 | 12 | 9 | 45:38 | 7 | 48 | 16 | 9 | 5 | 2 | 27:17 | 10 | 32 | 17 | 3 | 7 | 7 | 18:21 | -3 | 16 |
| 9 | ვერონა | 33 | 10 | 12 | 11 | 38:43 | -5 | 42 | 16 | 8 | 5 | 3 | 21:12 | 9 | 29 | 17 | 2 | 7 | 8 | 17:31 | -14 | 13 |
| 10 | რეჯინა | 33 | 9 | 13 | 11 | 31:39 | -8 | 40 | 17 | 6 | 7 | 4 | 16:18 | -2 | 25 | 16 | 3 | 6 | 7 | 15:21 | -6 | 15 |
| 11 | ლეჩე | 33 | 10 | 10 | 13 | 32:45 | -13 | 40 | 17 | 9 | 5 | 3 | 18:11 | 7 | 32 | 16 | 1 | 5 | 10 | 14:34 | -20 | 8 |
| 12 | ბოლონია | 33 | 9 | 12 | 12 | 31:38 | -7 | 39 | 17 | 8 | 5 | 4 | 18:12 | 6 | 29 | 16 | 1 | 7 | 8 | 13:26 | -13 | 10 |
| 13 | პერუჯა | 33 | 11 | 6 | 16 | 35:52 | -17 | 39 | 16 | 6 | 4 | 6 | 21:25 | -4 | 22 | 17 | 5 | 2 | 10 | 14:27 | -13 | 17 |
| 14 | ბარი | 33 | 10 | 8 | 15 | 33:47 | -14 | 38 | 16 | 6 | 8 | 2 | 19:13 | 6 | 26 | 17 | 4 | 0 | 13 | 14:34 | -20 | 12 |
| 15 | ტორინო | 33 | 7 | 12 | 14 | 33:46 | -13 | 33 | 16 | 5 | 5 | 6 | 19:22 | -3 | 20 | 17 | 2 | 7 | 8 | 14:24 | -10 | 13 |
| 16 | ვენეცია | 33 | 6 | 8 | 19 | 30:57 | -27 | 26 | 17 | 6 | 5 | 6 | 18:19 | -1 | 23 | 16 | 0 | 3 | 13 | 12:38 | -26 | 3 |
| 17 | კალიარი | 33 | 3 | 13 | 17 | 29:52 | -23 | 22 | 16 | 3 | 7 | 6 | 15:18 | -3 | 16 | 17 | 0 | 6 | 11 | 14:34 | -20 | 6 |
| 18 | პიაჩენცა | 33 | 4 | 9 | 20 | 18:43 | -25 | 21 | 17 | 3 | 7 | 7 | 12:19 | -7 | 16 | 16 | 1 | 2 | 13 | 6:24 | -18 | 5 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 23 |
| კრესპო (პარმა) | 21 |
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 20 |
| მონტელა (რომა) | 17 |
| ფერანტე (ტორინო) | 16 |
| ფ. ინძაგი (იუვენტუსი) | 15 |

### XXXIV ტური

14 მაისი

| | |
|---|---|
| ბარი | ბოლონია |
| კალიარი | ინტერი |
| პერუჯა | იუვენტუსი |
| პარმა | ლეჩე |
| ტორინო | პიაჩენცა |
| ლაციო | რეჯინა |
| ვერონა | რომა |
| მილანი | უდინეზე |
| ფიორენტინა | ვენეცია |

## სერია B

XXXIII ტური

### სამპდორია 3:1 ვიჩენცა

1:0 პალმიერი (60), 2:0 ვაზარი (70), 2:1 ბუჩი (85), 3:1 ფლაკი (87)

### კიევო 1:1 ატალანტა

0:1 დუნდიერსკი (22), 1:1 მარაზინა (73)

### ალძანო 2:2 ტრევიზო

1:0 სოლიმენო (24), 1:1 ბორტოლუცი (39), 2:1 მადონა (54), 2:2 ბეგეტო (62)

### სალერნიტანა 4:1 კოზენცა

0:1 ტატი (52), 1:1, 2:1 დი მიკელე (60პ, 68), 3:1 დე ჩეზარე (78), 4:1 გვიდონი (86)

### ფერმანა 2:1 ჯენოა

0:1 ფრანკიოზო (43), 1:1 ფანეზი (63), 2:1 კიანეზე (93)

### სავოია 1:2 მონცა

0:1 ბრნჩიჩი (30), 1:1 კანიენგელე (31), 1:2 ლანტინიოტი (88პ)

### რავენა 2:1 პესკარა

1:0 რომეუ (5), 1:1 მ. როსი (35), 2:1 დელ ანო (79)

### ბრეშა 1:1 ჩეზენა

0:1 ტალდო (19), 1:1 ილანა (31)

### პისტოიეზე 3:2 ტერნანა

1:0 კარბონე (27), 1:1 ბორგობელო (33), 1:2 მიკოლი (46), 2:2 ბანკელი (48), 3:2 ბენინი (64)

### ემპოლი — ნაპოლი

იხილეთ ბოლო გვერდი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიჩენცა | 33 | 17 | 6 | 10 | 58:37 | 57 |
| ბრეშა | 33 | 14 | 13 | 6 | 47:30 | 55 |
| ატალანტა | 33 | 15 | 9 | 9 | 43:31 | 54 |
| ნაპოლი | 32 | 14 | 11 | 7 | 44:34 | 53 |
| სამპდორია | 33 | 13 | 11 | 9 | 36:31 | 50 |
| სალერნიტანა | 33 | 13 | 10 | 10 | 50:45 | 49 |
| ტრევიზო | 33 | 12 | 10 | 11 | 43:39 | 46 |
| ჯენოა | 33 | 13 | 7 | 13 | 40:36 | 46 |
| რავენა | 33 | 10 | 13 | 10 | 32:30 | 43 |
| კიევო | 33 | 10 | 12 | 11 | 40:42 | 42 |
| ჩეზენა | 33 | 8 | 17 | 8 | 38:35 | 41 |
| მონცა | 33 | 8 | 17 | 8 | 36:37 | 41 |
| პესკარა | 33 | 8 | 16 | 9 | 49:44 | 40 |
| კოზენცა | 33 | 9 | 13 | 11 | 28:35 | 40 |
| ტერნანა | 33 | 8 | 15 | 10 | 35:41 | 39 |
| პისტოიეზე | 33 | 11 | 9 | 13 | 33:37 | 38 |
| ალძანო | 33 | 9 | 11 | 13 | 31:41 | 38 |
| ემპოლი | 32 | 9 | 11 | 12 | 29:45 | 38 |
| სავოია | 33 | 6 | 11 | 16 | 31:50 | 29 |
| ფერმანა | 33 | 6 | 10 | 17 | 32:55 | 28 |

## სერია C1/A

33-ე ტური. ბრეშელო – კარარეზე 0:0; ჩიტადელა – კრემონეზე 4:0; კომო – სპალ 1:0; ლივორნო – რეჯანა 3:1; ლუკეზე – პიზა 1:1; ლუმეცანე – ალბინოლეფე 1:0; მოდენა – ლეკო 0:1; სიენა – სანდონა 2:0; ვარეზე – მონტევარკი 1:0

## სერია C1/B

33-ე ტური. ანკონა – კატანია 2:1; არეცო – ასკოლი 1:1; ატლეტიკო – აველინო 1:2; დი სანგრო – მარსალა 2:1; ფ. ანდრია – კროტონე 4:3; გუალდო – ჯულიანოვა 1:1; სტაბია – ლოდიჯანი 0:2; ნოჩერინა – პალერმო 1:0; ვიტერბეზე – ბენევენტო 1:0

# ვან გაალის კურდღელი



REUTERS ლა კორუნიადან

დეპორტივო — სარაგოსა 2:2. სარაგოსელი ტორო აკუნია და აგუადო (№6) ლაკორუნიელი ფრანის შეჩერებას ცდილობენ

## ესპანეთი

XXXVI ტური

### დეპორტივო 2:2 სარაგოსა

0:1 ხუანელე (55), 1:1 მაკაი (60), 2:1 ჯალმინია (78), 2:2 აგუადო (84)
დეპორტივო: კოუბა, დონატო, რომერო, ნაიბეტი, მანუელ პაბლო, ფრანი (პაულეტა 85), ჯალმინია, მაურო სილვა, ფლავიო კონსეისაო, მაკაი (სკალონი 79), ვიქტორ სანჩესი (ტურუ ფლორესი 57)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
სარაგოსა: ხუანმი, ლანა, აგუადო, პაკო ხემესი, კუარტერო, გარიტანო, მარკოს ვალესი, არაგონი (იორდი 76), ტორო აკუნია, მილოშევიჩი, ხუანელე (ველისკა 73)
მწვრთნელი: ხოსე ფრანსისკო როხო
გაფრთხილება: არაგონი, მაურო სილვა, პაკო ხემესი, ჯალმინია, ხუანელე, გარიტანო
გაძევება: ჯალმინია (78)
მსაჯი: იტურალდე გონსალესი
35 000 მაყურებელი

### ბარსელონა 0:2 რაიო

0:1 ბოლო (9), 0:2 ლუის სემბრანოსი (86)
ბარსელონა: ჰესპი, პუიოლი, ფ. დე ბური (სერხი 71), აბელარდო, სიმაო, გვარდიოლა, კოკუ, ზენდენი (დანი 57), ლიტმანენი, რივალდო, კლუივერტი
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი
რაიო ვალეკანო: ლოპეტეგი, ლორენსი (მიჩელ I 87), პაბლო სანსი (ფერონი 88), ალკასარი, ამაია, კოტა, ჰელდერი, ერნანდესი, პოშნერი, ბოლო, კანაბალი (ლუის სემბრანოსი 63)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: ალკასარი, ლორენსი
მსაჯი: ანსუატეგი როჩა
55 000 მაყურებელი

### რეალი 0:1 ალავესი

0:1 ასკოიტია (87)
რეალი: კასილიასი, ჟულიო სეზარი, მიჩელ სალგადო, რობერტო კარლოსი, კარანკა, კარემბუ, ი. ელგერა, ბალიჩი (მეკა 77), მაკმანამანი (ოგნიენოვიჩი 67), სავიო, ანელკა
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
ალავესი: ერერა, ტელიესი, კონტრა, მორალესი, ტორეს მესტრე, კარმონა, ნან რივერა (იბონ ბეგონია 7), დესიო, ხავი მორენო (ასკოიტია 59), მაგნო (კოდრო 70), ასტუდილიო
მწვრთნელი: ხოსე მანუელ მანე
გაფრთხილება: ტელიესი, კონტრა, მორალესი, იბონ ბეგონია, დესიო, მიჩელ სალგადო, რობერტო კარლოსი
მსაჯი: ბუენო ხრიმალი
60 000 მაყურებელი

### ვალენსია 4:0 სოსიედადი

1:0 ანგულო (18), 2:0 კლაუდიო ლოპესი (50), 3:0 კარბონი (79), 4:0 მენდიეტა (88)
ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო, ჯუკიჩი, კარბონი, ანგლომა (ხერარდო 36), ალბელდა, ფარინოსი, ანგულო, მენდიეტა, კილი გონსალესი (მიია 68), კლაუდიო ლოპესი (ილიე 65)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
სოსიედადი: ალბერტო, არანსაბალი, პიკაბეა, გურუჩაგა, ფუენტესი, იდიაკესი, ხოხლოვი, არამბურუ (ხაურეგი 72), გომესი (დე პედრო 51), სა პინტუ, იანკაუსკასი
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
გაფრთხილება: კლაუდიო ლოპესი, ხოხლოვი, იდიაკესი, კარბონი
მსაჯი: ტურიენსო ალვარესი
40 000 მაყურებელი

### ვალიადოლიდი 0:3 ბეტისი

0:1 გალვესი (45), 0:2 დენილსონი (70), 0:3 ფინიდი (71)
ვალიადოლიდი: სესარი, მარკოსი, გარსია კალვო, ჰაინცე, სანტამარია (კონგო 70), პენია, ტორეს გომესი, შოჯიჯო (ალბერტო 57), კამინერო, ვიქტორი, როდრიგო (ვისკაინო 46)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
ბეტისი: ტონი პრატსი, ლუის ფერნანდესი, ვიდაკოვიჩი, ოტერო, ალექსისი, ბენჟამინი (რომერო 66), ფილიპესკუ, გალვესი (მერინო 60), დენილსონი (ბორნესი 73), ალფონსო, ფინიდი
მწვრთნელი: ფარუკ ჰაჯიბეგიჩი
გაფრთხილება: ალბერტო, დენილსონი, ბენჟამინი
მსაჯი: პერეს ლასა
16 000 მაყურებელი

### ბილბაო 2:2 რასინგი

1:0 ლაკრუსი (10), 2:0 ეჩებერია (30), 2:1 ესპინია (41), 2:2 სალვა (43პ)
ბილბაო: ლაფუენტე, ლარასაბალი, ფელიპე (სივორი 77), ალკორტა, ი. გერერო, ხოსე მარი (კარლოს გარსია 81), იმასი (ხავი გონსალესი 58), ლაკრუსი, ოსკარ ვალესი, ურსაისი, ხ. ეჩებერია
მწვრთნელი: ლუის ფერნანდესი
რასინგი: ლემენსი, სიეტესი, არსენო, ჩემა, მელბერგი, შუსტიკოვი (ისმაელი 63), ვივარ დორადო (ბესჩასტნიხი 78), ესპინია, სალვა, მუნიტისი, მანხარინი (ნერუ 91)
მწვრთნელი: გუსტავო ბენიტესი
გაფრთხილება: კარლოს გარსია, მელბერგი, სივორი, მუნიტისი, გერერო
გაძევება: მელბერგი (90)
მსაჯი: მედინა კანტალეხო
20 000 მაყურებელი

### მალაგა 0:1 სელტა

0:1 გუსტავო ლოპესი (16)
მალაგა: კონტრერასი, ვალკარსე, ფერნანდო სანსი, ლარაინსარი, კიკი მუსამპა (სანდრო 61), დე ლოს სანტოსი, მოვილია, რუფეტე, რუანო (აგოსტინო 61), კატანია, დარიო სილვა (ლუკე 75)
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო
სელტა: პინტო, ვივასი, სერხიო, კასერესი, კოირა, სელადესი, ჯოვანელა, კარპინი (მაზინიო 82), ბენი მაკკარტი, რევივო (ტურდო 66), გუსტავო ლოპესი (ტომასი 51)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: რუფეტე, კარპინი, ჯოვანელა, კიკი მუსამპა, კასერესი
გაძევება: ლუკე (90), ბენი მაკკარტი (90)
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
20 000 მაყურებელი

### ოვიედო 2:2 ატლეტიკო

1:0 ლოსადა (25), 2:0 პაულო ბენტუ (67), 2:1 კაპდევილა (72), 2:2 ჰასელბაინკი (77)
ოვიედო: ესტებანი, რაბარივონი, ბორისი, ონოპკო, ესკურსა (დანჟუ 69), პომპეი, პაულო ბენტუ, ნადი (ხაიმე 52, პინტო 81), კეიტა, ლოსადა, დუბოვსკი
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
ატლეტიკო: მოლინა, აგილერა, კაპდევილა, გამარა, გასპარი (ვალერონი 27), ს. აიალა, სოლარი (ლუკე 46), უგო ლეალი, ბეიბლი (ბარახა 62), ჰასელბაინკი, კიკო ნარვაესი
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
გაფრთხილება: რაბარივონი, ლუკე, ბარახა, კაპდევილა, ბეიბლი, აიალა
მსაჯი: პრადოს გარსია
14 200 მაყურებელი

### სევილია 0:4 მალიორკა

0:1, 0:2 დიეგო ტრისტანი (35, 55), 0:3, 0:4 კარლოსი (84, 92)
სევილია: ოლსენი, ნანდო, ექტორი, მარჩენა, ოტერო (ზალაიეტა 60), ანხელი, იურიჩი, ფრანსისკო, კევედო, ოლივერა, ლორენი (ბაკერო 60)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპარესი
მალიორკა: ლეო ფრანკო, არმანდო, მიგელ სოლერი, ოლაიზოლა, იბაგასა, ი. სტანკოვიჩი, ჩიჩი სოლერი, ლორენი, ენგონგა (პაკო სანსი 87), დიეგო ტრისტანი, ეტოო (კარლოსი 63)
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
გაფრთხილება: ენგონგა, მიგელ სოლერი
გაძევება: ნანდო (28)
მსაჯი: ფერნანდეს მარინი
15 000 მაყურებელი

### ნუმანსია 2:0 ესპანიოლი

1:0 ბარბუ (22), 2:0 ოხედა (52)
ნუმანსია: ნუნიესი, ოქტავიო, სორია, მუნისი, პაჩეტა (მორანი 88), კასტანიო, ნაგორე, ბარბუ, რუბენ ნავარო (დელგადო 92), ინიაკი, ოხედა (რივერა 74)
მწვრთნელი: ანდონი გოიკოეჩეა
ესპანიოლი: კავალიერო, ნანდო, კრისტობალი (კატალა 43), პოჩეტინიო, მაურო ნავასი, არტეაგა, დე ლუკასი, სერხიო, მოლნარი (სერანო 63), მარტინ პოსე (მანელი 77), ტამუდო
მწვრთნელი: პაკო ფლორესი
გაფრთხილება: კასტანიო, ნანდო, ოქტავიო, სერხიო, პაჩეტა, მოლნარი, ოხედა, პოჩეტინიო
მსაჯი: კარმონა მენდესი
9 700 მაყურებელი

29 გოლი, 40 გაფრთხილება, 5 გაძევება, გამოუყენებელი პენალტი — ასეთია 36-ე ტურის სტატისტიკური მონაცემები. თუმცა ციფრებს მიღმა უფრო საინტერესო რამეები იმალება.

ბოლო დრომდე ჩემპიონად გახდომის შესაძლებლობა (თუნდაც თეორიული) ექვს გუნდს ჰქონდა. ახლა მათ მადრიდის „რეალი" გამოაკლდა. დედაქალაქელებმა დარჩენილი მატჩები რომ მოიგონ, ხოლო მათ წინ მყოფები დამარცხდნენ, „რეალი" და „დეპორტივო" ქულათა ერთნაირ რაოდენობას მოაგროვებენ. ამ შემთხვევაში კი დებულების ის მუხლი ამოქმედდება, რომლის თანახმადაც უპირატესობა ურთიერთშეხვედრების შედეგებს ენიჭება. ამ მხრივ კი უკეთესი მაჩვენებელი ლაკორუნიელებს აქვთ. თუმცა „რეალს" „ალავესთან" წაგებამდეც ჩემპიონობის მოპოვების მიზერული შანსი ჰქონდა და ამ თვალსაზრისით ბევრი არაფერი დაუკარგავს. თანაც გუნდს ტრადიცია არ დაურღვევია — ვისენტე დელ ბოსკეს ბიჭებმა ჩემპიონთა ლიგაში მოგებული მატჩის შემდეგ უცილობლად უნდა წააგონ. მაგრამ მომავალ სეზონში უპირველეს ევროტურნირზე მოსახვედრი ადგილი? გათამაშების ცხრილში დღევანდელი მეექვსე პოზიცია ამისთვის საკმარისი არ არის. რაღა რჩება? ბოლო ორ ტურში თავის დადება ან ჩემპიონთა თასის აღება. ისე, ბედი გვაქვსო, ვიტორიელებმა უნდა თქვან — 87-ე წუთზე იკერ კასილიასს ერთადერთი გოლი გაუტანეს და სულ მცირე უეფას თასის საგზურს დაეუფლნენ, მეტი რაღა უნდათ?

თუ „რეალის" მარცხი მოულოდნელობა იყო, „ბარსელონასი" — პირველხარისხოვანი სენსაცია. მერამდენედ უნდა დაკარგოს კატალონიურმა კლუბმა პირველ ადგილზე ანაცვლების საუკეთესო შანსი? თუმცა...

ლუის ვან გაალი: „გამუდმებით იმაზე ვფიქრობ, რა მოვუხერხოთ „ვალენსიას" საპასუხო მატჩში." მწვრთნელის ეს სიტყვები შემდეგს უნდა ნიშნავდეს — ორი კურდღლის მადევარი ერთსაც ვერ დაიჭერს. ამიტომ „რაიო" თავის ნებაზე მივუშვით და „ვალენსიას" გამოვედევნებითო. თუმცა ახლოს მყოფი კურდღლის ნაცვლად კარგა შორს გაქცეულს ხომ არ მისდევს ჰოლანდიელი? ერთი ანეგდოტისა არ იყოს, ხომ არ აჯობებდა, ქვეყნის პირველობისთვის მიეხედათ, თორემ „ვალენსია"...? ნუთუ იმის იმედად არიან, ექტორ რაულ კუპერი ჯანლუკა ვიალისთვის ჩატარებული გაკვეთილიდან დასკვნებს ვერ გამოიტანს? აღდგომა და ხვალეო. ჩვენც დაველოდოთ, ლიგის საპასუხო ნახევარფინალურ მატჩამდე სულ ცოტა დრო დარჩა. ისე, ვიღაც იმასაც გაიფიქრებს, ვან გაალის ამგვარი განცხადება თავის მართლების უხეირო მცდელობა არისო.

„ვალენსია" კი კვლავ განაგრძობს ტრიუმფალურ სვლას. „ბარსელონასთან" შეხვედრის გმირებმა — მიგელ ანხელ ანგულომ, კლაუდიო ლოპესმა და გაისკა მენდიეტამ ამჯერადაც ისახელეს თავი. მათ ამადეო კარბონიმაც აუბა მხარი და „სოსიედადი" შინ შერცხვენილი გაბრუნდა. ბასკებს სანუგეშო ისღა აქვთ, რომ „მესტალას" სტადიონზე უფრო სახელოვან კლუბებსაც იგივე დამართიათ.

რაზეც აქამდე ვისაუბრეთ, შაბათს მოხდა, კვირას კი „დეპორტივო" „სარაგოსას" მასპინძლობდა. მოგების შემთხვევაში გალისიელები ხუთი ქულით გაიჭრებოდნენ წინ, მარაგში „რასინგთან" და „ესპანიოლთან" მატჩები ექნებოდათ და ჩემპიონობასაც სასწაული თუ დააკარგვინებდათ. მაგრამ ოცნების ასრულება გადაიდო. დამნაშავე ორია — სარაგოსელი ხავი აგუადო და... ჯალმინიას მაისურა. 78-ე წუთზე ჯალმინიამ მეტოქეს მეორე გოლი გაუტანა და სიხარული მაისურის გახდით აღნიშნა. მსაჯი მამაკაცთა სტრიპტიზის მოყვარული არ აღმოჩნდა და ფეხბურთელი ყვითელი ბარათით დასაჯა. ჯალმინია აქამდეც გაფრთხილებული იყო და მოედნის დატოვება მოუხდა. შემდეგ ხავი აგუადომ ანგარიში გაათანაბრა.

საეჭვოა, სხვაგვარად მომხდარიყო, მაგრამ ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკის გაფუჭებულმა პენალტმა „ატლეტიკოს" მეორე დივიზიონში გავარდნა დააჩქარა. გუნდი, რომელიც ოთხი წლის წინ ესპანეთის ჩემპიონობას და თასს დაეუფლა, უძლიერესთა მიღმა დარჩა.

გადარჩენის იმედი შეინარჩუნა „ბეტისმა". მწვრთნელგამოცვლილმა სევილიელებმა სტუმრად „ვალიადოლიდს" 3:0 მოუგეს.

**გიორგი დარჯანია**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | დეპორტივო | 36 | 20 | 5 | 11 | 64:44 | 20 | 65 | 18 | 15 | 1 | 2 | 45:19 | 26 | 46 | 18 | 5 | 4 | 9 | 19:25 | -6 | 19 |
| 2 | ბარსელონა | 36 | 19 | 5 | 12 | 68:44 | 24 | 62 | 18 | 13 | 1 | 4 | 40:16 | 24 | 40 | 18 | 6 | 4 | 8 | 28:28 | 0 | 22 |
| 3 | სარაგოსა | 36 | 15 | 15 | 6 | 56:36 | 20 | 60 | 18 | 10 | 7 | 1 | 33:15 | 18 | 37 | 18 | 5 | 8 | 5 | 23:21 | 2 | 23 |
| 4 | ვალენსია | 36 | 17 | 9 | 10 | 57:38 | 19 | 60 | 18 | 11 | 4 | 3 | 38:15 | 23 | 37 | 18 | 6 | 5 | 7 | 19:23 | -4 | 23 |
| 5 | ალავესი | 36 | 17 | 9 | 10 | 38:33 | 5 | 60 | 18 | 10 | 3 | 5 | 21:16 | 5 | 33 | 18 | 7 | 6 | 5 | 17:17 | 0 | 27 |
| 6 | რეალი | 36 | 15 | 14 | 7 | 56:47 | 9 | 59 | 18 | 9 | 4 | 5 | 31:26 | 5 | 31 | 18 | 6 | 10 | 2 | 25:21 | 4 | 28 |
| 7 | მალიორკა | 36 | 14 | 9 | 13 | 50:41 | 9 | 51 | 18 | 11 | 4 | 3 | 32:18 | 14 | 37 | 18 | 3 | 5 | 10 | 18:23 | -5 | 14 |
| 8 | სელტა | 36 | 15 | 6 | 15 | 43:41 | 2 | 51 | 18 | 10 | 4 | 4 | 31:20 | 11 | 34 | 18 | 5 | 2 | 11 | 12:21 | -9 | 17 |
| 9 | რაიო | 36 | 14 | 7 | 15 | 47:49 | -2 | 49 | 18 | 8 | 3 | 7 | 27:22 | 5 | 27 | 18 | 6 | 4 | 8 | 20:27 | -7 | 22 |
| 10 | მალაგა | 36 | 11 | 14 | 11 | 53:47 | 6 | 47 | 18 | 7 | 6 | 5 | 25:14 | 11 | 27 | 18 | 4 | 8 | 6 | 28:33 | -5 | 20 |
| 11 | ვალიადოლიდი | 36 | 12 | 11 | 13 | 33:43 | -10 | 47 | 18 | 10 | 3 | 5 | 24:19 | 5 | 33 | 18 | 2 | 8 | 8 | 9:24 | -15 | 14 |
| 12 | ესპანიოლი | 36 | 12 | 10 | 14 | 51:46 | 5 | 46 | 18 | 8 | 6 | 4 | 31:20 | 11 | 30 | 18 | 4 | 4 | 10 | 20:26 | -6 | 16 |
| 13 | ბილბაო | 36 | 11 | 13 | 12 | 45:56 | -11 | 46 | 18 | 7 | 8 | 3 | 27:25 | 2 | 29 | 18 | 4 | 5 | 9 | 18:31 | -13 | 17 |
| 14 | რასინგი | 36 | 10 | 14 | 12 | 52:50 | 2 | 44 | 18 | 3 | 12 | 3 | 25:22 | 3 | 21 | 18 | 7 | 2 | 10 | 27:28 | -1 | 23 |
| 15 | ნუმანსია | 36 | 11 | 11 | 14 | 44:55 | -11 | 44 | 18 | 9 | 6 | 3 | 29:16 | 13 | 33 | 18 | 2 | 5 | 11 | 15:39 | -24 | 11 |
| 16 | სოსიედადი | 36 | 10 | 13 | 13 | 41:49 | -8 | 43 | 18 | 9 | 6 | 3 | 28:19 | 9 | 33 | 18 | 1 | 7 | 10 | 13:30 | -17 | 10 |
| 17 | ოვიედო | 36 | 10 | 12 | 14 | 42:58 | -16 | 42 | 18 | 9 | 7 | 2 | 23:12 | 11 | 34 | 18 | 1 | 5 | 12 | 19:46 | -27 | 8 |
| 18 | ბეტისი | 36 | 10 | 9 | 17 | 31:53 | -22 | 39 | 18 | 8 | 6 | 4 | 19:16 | 3 | 30 | 18 | 2 | 3 | 13 | 12:37 | -25 | 9 |
| 19 | ატლეტიკო | 36 | 8 | 10 | 18 | 45:62 | -17 | 34 | 18 | 5 | 7 | 6 | 25:24 | 1 | 22 | 18 | 3 | 3 | 12 | 20:38 | -18 | 12 |
| 20 | სევილია | 36 | 5 | 12 | 19 | 39:63 | -24 | 27 | 18 | 5 | 6 | 7 | 23:24 | -1 | 21 | 18 | 0 | 6 | 12 | 16:39 | -23 | 6 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| სალვა (რასინგი) | 27 |
| კატანია (მალაგა) | 24 |
| ჰასელბაინკი (ატლეტიკო) | 24 |
| მაკაი (დეპორტივო) | 21 |
| მილოშევიჩი (სარაგოსა) | 19 |

### XXXVII ტური

14 მაისი

| | |
|---|---|
| ვალიადოლიდი | მალიორკა |
| ბეტისი | რეალი |
| ალავესი | ნუმანსია |
| ესპანიოლი | ბილბაო |
| რასინგი | დეპორტივო |
| სარაგოსა | მალაგა |
| სელტა | ვალენსია |
| სოსიედადი | ბარსელონა |
| რაიო ვალეკანო | ოვიედო |
| ატლეტიკო | სევილია |

## მეორე დივიზიონი

XXXVIII ტური

### კორდობა 1:1 ეიბარი

0:1 აგირე (38), 1:1 სორია (42)

### ატლეტიკო B 2:1 ტენერიფე

1:0 ოსკარი (27), 1:1 ბარატა (42), 2:1 პეპე დომინგო (52)

### ლეიდა 2:2 ალბასეტე

1:0 ხოსემი (22პ), 1:1 ბასტი (33), 1:2 როკი (42), 2:2 კალდერონი (78)

### ლას პალმასი 2:0 ხეტაფე

1:0, 2:0 იარნი (36, 81)

### ლეგანესი 2:0 ლევანტე

1:0 ბარბარინი (30), 2:0 პაჩი პუნიალი (79პ)

### სალამანკა 2:1 ესტრემადურა

1:0 კიკე მარტინი (38), 2:0 ბონილია (47), 2:1 მანუელი (62)

### კომპოსტელა 1:1 ელჩე

1:0 გუდელი (3), 1:1 კანიადასი (53)

### ოსასუნა 3:1 ვილიარეალი

1:0 პალასიოსი (19), 2:0 ანხელ ლუისი (45), 3:0 ივან როსადო (59), 3:1 კალიეხა (74)

### ტოლედო 0:2 უელვა

0:1 გრეგორიო (13), 0:2 ფრანი (89)

### ლოგრონიესი 2:0 ბადახოსი

1:0 რიანიო (77), 2:0 სანდრო (87ს.კ.)

### მერიდა 1:0 სპორტინგი

1:0 დავიდი (44)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლას პალმასი | 38 | 18 | 11 | 9 | 52:34 | 65 |
| ვილიარეალი | 38 | 17 | 10 | 11 | 55:41 | 61 |
| ოსასუნა | 38 | 18 | 6 | 14 | 41:32 | 60 |
| ესტრემადურა | 38 | 16 | 12 | 10 | 45:39 | 60 |
| სალამანკა | 38 | 16 | 11 | 11 | 47:38 | 59 |
| ლეიდა | 38 | 16 | 8 | 14 | 5848 | 56 |
| სპორტინგი | 38 | 16 | 7 | 15 | 4843 | 55 |
| ლევანტე | 38 | 14 | 13 | 11 | 4845 | 55 |
| მერიდა | 38 | 14 | 13 | 11 | 36:33 | 55 |
| კორდობა | 38 | 14 | 12 | 12 | 41:39 | 54 |
| ლეგანესი | 38 | 14 | 13 | 11 | 39:39 | 52 |
| ტენერიფე | 38 | 13 | 11 | 14 | 45:44 | 50 |
| ალბასეტე | 38 | 12 | 14 | 12 | 45:50 | 50 |
| ბადახოსი | 38 | 9 | 21 | 8 | 33:33 | 48 |
| ეიბარი | 38 | 11 | 15 | 12 | 40:46 | 48 |
| ელჩე | 38 | 10 | 17 | 11 | 41:47 | 47 |
| ატლეტიკო B | 38 | 12 | 9 | 17 | 40:53 | 45 |
| ხეტაფე | 38 | 12 | 8 | 18 | 35:43 | 44 |
| კომპოსტელა | 38 | 9 | 16 | 13 | 44:50 | 43 |
| ლოგრონიესი | 38 | 10 | 12 | 16 | 4851 | 42 |
| უელვა | 38 | 11 | 9 | 18 | 3848 | 42 |
| ტოლედო | 38 | 8 | 8 | 22 | 2851 | 32 |

# სუპერგუნდის დაბრუნება

## გერმანია

### თასის ფინალი

**ბაიერნი 3:0 ვერდერი**

1:0 ელბერი (57), 2:0 პაულო სერჟიო (83), 3:0 შოლი (90)

ბაიერნი: კანი, ბაბელი, კუფური, პ. ანდერსონი, ტარნატი, იერემისი, ეფენბერგი (ფინკი 81), სალიჰამიჯიჩი, პაულო სერჟიო, იანკერი (სანტა კრუზი 72), ელბერი (შოლი 84)

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

ვერდერი: ფ. როსტი, ფრინგსი, ბარტენი, ფ. ბაუმანი, ვიდნერი (სკრიპნიკი 15), ტრარესი (ვიკი 68), აილტსი (ფლოკი 65), ა. ჰერცოგი, მ. ბოდე, აილტონი, პიზარო

მწვრთნელი: თომას შააფი

გაფრთხილება: იერემისი, ეფენბერგი, სალიჰამიჯიჩი, ელბერი, როსტი, ფრინგსი, ვიდნერი, ტრარესი, ჰერცოგი, აილტონი

მსაჯი: ალფონს ბერგი

76 000 მაყურებელი




REUTERS ბერლინიდან

მიუნხენის „ბაიერნი" წლეულს პირველი ჯილდოს მოგებას ზეიმობს

„ДღЕს ისე ვითამაშეთ, როგორც ნამდვილ სუპერგუნდს შეეფერება. დამსახურებულადაც გავიმარჯვეთ. მატჩამდე ისეთი აზრი შეიქმნა, თითქოს ჩვენთვის სულერთი იყო, ქვეყნის თასს მოვიპოვებდით თუ არა. დღეს საპირისპირო დავამტკიცეთ. რამდენად მნიშვნელოვანი იყო ამ ჯილდოს მოგება „ბაიერნისთვის", გუნდის თამაშიდან გამომდინარე, თავად განსაჯეთ" — განუცხადა გახარებულმა და გამოჯანმრთელებულმა შტეფან ეფენბერგმა მასმედიას შაბათ საღამოს, მას შემდეგ, რაც ქვეყნის თასის ფინალში მისმა „ბაიერნმა" ისე ითამაშა, ბევრი რომ არ ელოდა. ბოლო მატჩების შემყურე მიუნხენელებს მორიგ მარცხს უწინასწარმეტყველებდნენ, თუმცა...

„ეფენბერგი გუნდის თავია. იგი დიდი ფეხბურთელია" — „ბაიერნის" ბრწყინვალე თამაში ამ კლუბის პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა კაპიტნის, ბოლო დროს ტრავმებით გატანჯული შტეფან ეფენბერგის დაბრუნებას დაუკავშირა.

ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში მადრიდის „რეალთან" სტუმრად 0:2 წაგების შემდეგ მიუნხენელთა ოპტიმისტი ქომაგებიც კი პესიმისტურად განეწყვნენ, თუმცა შაბათის შემდეგ ბავარიაში „რეალთან" ანგარიშსწორებას ითხოვენ.

„ბაიერნმა" მართლაც ჩინებულად ითამაშა. მიუნხენელებმა თავიდანვე დიდი ტერიტორიული უპირატესობა მოიპოვეს და მწვავედ შეუტიეს მეტოქეს. პირველი რეალური შანსი მათ მე-5 წუთზე მიეცათ — პაულო სერჟიოს ფლანგურ ჩაწოდებას ელბერის დარტყმა მოჰყვა. „ვერდერი" მეკარე ფრანკ როსტმა იხსნა. მალე იანკერს შეეძლო გატანა, მაგრამ ოდნავ ააცილა მიზანს. მერე ელბერს ჰქონდა ანგარიშის გახსნის ზედიზედ ორი შესაძლებლობა: მე-16 წუთზე მისი დარტყმული როსტმა კუთხურზე გადააგდო, წუთის შემდეგ კი მიუნხენელმა სანტიმეტრებით ააცილა ბურთი კარს. პირველ ტაიმში, ისევე, როგორც მეორეში, „ვერდერმა" სულ ერთხელ შექმნა საგოლე მომენტი, მაშინაც აილტონმა კარს ზემოთ დაარტყა. პირველი ნახევრის ბოლო წუთზე კი სალიჰამიჯიჩი ვალდებული იყო, გაეტანა — კარის სიახლოვეს ბრემენელებისგან მიტოვებულმა ბოსნიელმა იჩქარა და მცირე მანძილით ააცილა.

გოლი მანამ არ გავიდა, სანამ ეფენბერგი არ ათამაშდა თავისებურად. არა, „ეფე" პირველ ტაიმშიც ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურა იყო მინდორზე, მაგრამ მეორეში „ბაიერნის" კაპიტანი შეუდარებელი გახლდათ. 57-ე წუთზე მისი პასით ჯოვანი ელბერი დარჩა ხელსაყრელ მდგომარეობაში, ბრაზილიელმაც მეოთხე შანსი ხელიდან აღარ გაუშვა, მარცხენა ფეხით როსტს ცხრიანში აუღებელი დაურტყა — 1:0. მოედანზე მდგომარეობა არც ამის შემდეგ შეიცვალა. „ვერდერი" კანის კართან მიახლოებასაც ვერ ახერხებდა. მხოლოდ ერთხელ შეცდა მიუნხენელთა დაცვა, მაშინაც აილტონმა თავით არაზუსტად დაარტყა. ამის შემდეგ ერთგვარმა სიმშვიდემ დაისადგურა, რომელმაც 83-ე წუთამდე გასტანა, მერე კი ბრემენელთა კართან ქარიშხალი ამოვარდა, რომელიც შვიდ წუთს გაგრძელდა და მსაჯის საფინალო სასტვენმალა გააჩერა. ამ შვიდ წუთში კი „ბაიერნმა" ორი გოლის გატანა მოასწრო. ჯერ პაულო სერჟიომ დააფასა ყმაწვილი როკე სანტა კრუზის გარჯა, ბოლოს კი შოლმა როსტს თავზე გადაუგდო ბურთი. თამაშიც 3:0 დასრულდა.

„ცუდია, რომ წავაგეთ, თუმცა „ბაიერნმა" დღეს საუცხოოდ ითამაშა. გამარჯვება არ ძალგვიძდა, ამიტომ ძალიან არ ვნანობ" — გულწრფელად აღიარა ნამატჩევს ბრემენელთა კაპიტანმა დიტერ აილტსმა. როსტმაც შეაქო მიუნხენელები, დღეს ეს გუნდი ვერ ვიცანიო...

ასე რომ, რევანში შედგა. „ბაიერნი" გერმანიის თასის შარშანდელ ფინალში მარცხისთვის სრულად გაუსწორდა „ვერდერს". შეგახსენებთ, შარშან ბრემენელებმა მიუნხენელებს პენალტების სერიაში მოუგეს და თასსაც დაეპატრონნენ. „ვერდერს" წლეულსაც გამარჯვების დიდი იმედი ჰქონდა, მაგრამ ყველაფერი მწვრთნელ ოტმარ ჰიცფელდის სიტყვამ გადაწყვიტა. გემახსოვრებათ, კლუბის ხელმძღვანელობა ამ მატჩს მეორეხარისხოვანს უწოდებდა, ისიც კი ითქვა, სათადარიგო შემადგენლობით ვითამაშებთო, თუმცა ჰიცფელდი კატეგორიული გახლდათ. „ჩვენ გულშემატკივრებს პატივს ვცემთ, ამიტომ მინდორზე გუნდის საუკეთესო ფეხბურთელები გავლენ" — განაცხადა მან მატჩამდე და აასრულა კიდეც. ეს კი დღეს იქნებ ძვირად დაუჯდეს. „რეალთან" საპასუხო შეხვედრაში ბეკენბაუერი და კომპანია ჰიცფელდისგან მხოლოდ თასის ფინალში გასვლას ითხოვენ. მწვრთნელსაც სჯერა შეგირდების: „ეს მოგება ფსიქოლოგიურად ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ჩვენს ძალებს ვირწმუნებთ, ეს კი ბოლო დროს ყველაზე მეტად გვაკლდა. „რეალთან" ეფენბერგიც გვეყოლება, ამას გუნდის ხასიათიც დაუმატეთ და..."

**ვანო ოქროპირიძე**

## მეორე ბუნდესლიგა

### XXX ტური

**ალემანია 1:0 კოტბუსი**

1:0 ვანდერბროეკი (83)

**კარლსრუე 0:0 ზანქტ პაული**

**ფორტუნა 2:3 ბოხუმი**

0:1 ა. ვებერი (34), 0:2 ბასტურკი (53), 0:3 პეშელი (6:), 1:3 იბრაჰიმი (70), 2:3 კატიკი (85)

**ნიურნბერგი 2:2 ფიურტი**

1:0 დრილერი (23), 1:1 რაიხელი (33), 2:1 დრილერი (36), 2:2 ტიური (38)

**მაინცი 2:0 კიკერსი**

1:0, 2:0 ნოიშტადტერი (65, 90)

**ქემნიცი 1:1 ობერჰაუზენი**

1:0 შკელა (60), 1:1 ობადი (66)

**ოფენბახი 2:1 ბერლინი**

1:0 ბეკერი (13), 2:0 როტი (89), 2:1 უაკილი (90)

**ვალდჰოფი — გლადბახი**

*გაიმართება 10 მაისს*

**ჰანოვერი — კიოლნი**

*იხილეთ ბოლო გვერდი*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 29 | 16 | 8 | 5 | 54:28 | 56 |
| ბოხუმი | 30 | 16 | 6 | 8 | 5843 | 54 |
| კოტბუსი | 30 | 14 | 4 | 12 | 52:37 | 46 |
| ნიურნბერგი | 30 | 12 | 10 | 8 | 46:43 | 46 |
| გლადბახი | 29 | 11 | 12 | 6 | 49:37 | 45 |
| ალემანია | 30 | 12 | 9 | 9 | 42:45 | 45 |
| ჰანოვერი | 29 | 12 | 7 | 10 | 47:42 | 43 |
| ბერლინი | 30 | 10 | 10 | 10 | 39:42 | 40 |
| ობერჰაუზენი | 30 | 9 | 12 | 9 | 34:32 | 39 |
| ვალდჰოფი | 29 | 9 | 12 | 8 | 43:44 | 39 |
| ფიურტი | 30 | 8 | 15 | 7 | 34:35 | 39 |
| მაინცი | 30 | 8 | 12 | 10 | 35:35 | 36 |
| ქემნიცი | 30 | 9 | 9 | 12 | 38:43 | 36 |
| ზტ. პაული | 30 | 7 | 14 | 9 | 29:34 | 35 |
| კიკერსი | 30 | 9 | 7 | 14 | 45:52 | 34 |
| ოფენბახი | 30 | 7 | 11 | 12 | 30:49 | 32 |
| ფორტუნა | 30 | 5 | 11 | 14 | 28:45 | 26 |
| კარლსრუე | 30 | 4 | 11 | 15 | 32:49 | 23 |

## საფრანგეთი

### თასის ფინალი

**ნანტი 2:1 კალე**

0:1 დუტიტრე (34), 1:1, 2:1 სიბიერსკი (50, 90პ)

ნანტი: ლანდრო, შანელე, ფაბრი, ჟილე, ოლემბე, ბერსონი, კარიერი, სიბიერსკი, დევინო (მონტერუბიო 69), და როშა, ტურე (კაველია 73)

მწვრთნელი: რეინალდ დენიო

კალე: შილე, მერლენი, დესვარტე, ბარონი, ბოსკე, იანდაუ, ლეფევრი (შანუ 54), ჰოგარი, დუტიტრე (მილიენი 54, ლესტაველი 90), ვასერი, ჟერარი

მწვრთნელი: ლადისლას ლოსანო

მსაჯი: კლოდ კოლომბო

78 717 მაყურებელი

**საფრანგეთის** თასი ზედიზედ მეორედ „ნანტმა" მოიგო. საოცარია, მაგრამ ტიტულის შარშანდელ მფლობელს მეოთხედივიზიონელი „კალეს" დამარცხება ერთობ გაუჭირდა და მხოლოდ შეხვედრის ბოლო წუთზე გატანილი პენალტით მიაღწია მიზანს.

ისიც გასაკვირია, რომ მეოთხედივიზიონელმა კლუბმა „სტად დე ფრანსზე" 79 ათასამდე გულშემატკივარი შეკრიბა. ტრიბუნები პირთამდე შეივსო. ზოგმა საყვარელი გუნდის საქომაგოდ, ზოგმაც ამოუცნობი გუნდის სანახავად მიაშურა სტადიონს.

„კალე" მაყურებელთა სიმრავლემ სულაც არ შეაცბუნა, პირიქით, ბოლომდე იბრძოლა, ბევრად გამოცდილ მეტოქეს ტოლი არ დაუდო და რომ არა შეხვედრის ბოლო წუთზე დანიშნული თერთმეტმეტრიანი, ვინ იცის, საბოლოოდ ვის გაუმართლებდა.

„როცა მსაჯი ჯარიმას ან პენალტს ნიშნავს, მის გადაწყვეტილებას უნდა დაეთანხმო — განაცხადა „კალეს" მწვრთნელმა ლადისლას ლოსანომ — თუმცა გამოგიტყდებით, მატჩის ბოლო წუთმა მართლაც გული დაგვწყვიტა".

„ნანტის" თავკაცი რეინალდ დენიო: „თერთმეტმეტრიანზე მსჯელობა არ მსურს. ერთს დავძენ, მოგებას ნამდვილად ვიმსახურებდით. გოლის გატანა არაერთხელ შეგვეძლო, მაგრამ რამდენჯერმე არ გაგვიმართლა. გამარჯვებით ძალიან გავიხარე".

„კალემ" ფრანგული ფეხბურთის ისტორიაში თავისი სახელი დატოვა. მეოთხედივიზიონელმა გუნდმა გზად ფინალამდე მოქმედი ჩემპიონი „ბორდო" დაამარცხა. მთავარ მატჩში კი, 79 ათასი ქომაგის თვალწინ, თავდადებით იბრძოლა.

ენით არ გამოითქმის, რასაც განვიცდით — ამბობს „კალეს" ნახევარმცველი მეტიუ მილიენი — თავიდან ვიგებდით, შემდეგ „ნანტმა" გაათანაბრა, ბოლო წუთზე კი პენალტით წავაგეთ. დამერწმუნებით, ჩვენს გუნდში ასეთი რამ ყოველდღე არ ხდება".

„ნანტს", რომელმაც თასის მოგებით უეფას საგზური უკვე მოიპოვა, საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში სერიოზული გამოცდა ელის. მომავალ შაბათს გუნდი „ლე ავრს" სტუმრობს და მოგება სჭირდება, რათა უშუალო კონკურენტების შედეგს არ დაელოდოს და უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნოს.

— პირველი დივიზიონი „უნანტოდ" ვერ წარმომიდგენია — აცხადებს მეკარე და გუნდის კაპიტანი მიკაელ ლანდრო — დღევანდელი წარმატება ფსიქოლოგიურად დაგვეხმარება, რათა ბოლო ტურში ძალა მოვიკრიბოთ და მეორე დივიზიონში არ აღმოვჩნდეთ.

„ნანტმა" საფრანგეთის თასი სამჯერ მოიგო და ფინალში სამჯერვე ქვედა დივიზიონის გუნდი დაამარცხა. შარშან ნანტელებმა „სედანს" სძლიეს, ოცდაერთი წლის წინათ კი „ოსერს". ეს გუნდები იმხანად დაბალ ლიგაში თამაშობდნენ.




REUTERS სენ დენიდან

„ნანტი" საფრანგეთის თასით ხარობს

## მეორე დივიზიონი

XXXVI ტური. ნიორი — ტულუზი 1:1; კანი — აიაჩო 2:0; ლილი — ამიენი 1:0; კაენი — შატორუ 4:1; სოშო — გენგამი 1:1; გენიონი — ლავალი 1:1; ვალანსი — ნიცა 2:0; ლორიანი — ნიმი 0:1; კრეტეი — ვასკეალი 1:1; ლე მანი — ლუანი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 36 | 24 | 7 | 5 | 56:24 | 79 |
| გენგამი | 36 | 18 | 11 | 7 | 61:40 | 65 |
| ტულუზი | 36 | 17 | 8 | 11 | 48:30 | 59 |
| სოშო | 36 | 16 | 8 | 12 | 49:40 | 56 |
| გენიონი | 36 | 12 | 17 | 7 | 46:30 | 53 |
| ლე მანი | 36 | 12 | 15 | 9 | 44:41 | 51 |
| ლავალი | 36 | 13 | 15 | 9 | 40:37 | 51 |
| აიაჩო | 36 | 14 | 8 | 14 | 35:39 | 50 |
| კაენი | 36 | 11 | 16 | 9 | 46:36 | 49 |
| ნიმი | 36 | 12 | 11 | 13 | 41:41 | 47 |
| შატორუ | 36 | 12 | 11 | 13 | 39:44 | 47 |
| ნიორი | 36 | 10 | 15 | 11 | 41:44 | 45 |
| კანი | 36 | 11 | 12 | 13 | 31:34 | 45 |
| ნიცა | 36 | 8 | 20 | 8 | 27:32 | 44 |
| ლორიანი | 36 | 11 | 11 | 14 | 30:36 | 44 |
| ვასკეალი | 36 | 8 | 16 | 12 | 31:39 | 40 |
| კრეტეი | 36 | 10 | 10 | 16 | 33:51 | 40 |
| ამიენი | 36 | 7 | 14 | 15 | 30:43 | 35 |
| ვალანსი | 36 | 6 | 14 | 16 | 34:51 | 32 |
| ლუანი | 36 | 5 | 9 | 22 | 31:61 | 24 |

## ჩეხეთი

XXVIII ტური. ბრნო — ლიბერეცი 3:0; ტეპლიცე — სიგმა 2:1; იაბლონეცი — დრნოვიცე 1:0; ოპავა — ვიკტორია 0:1; დუკლა — ბანიკი 2:0; ბოჰემიანსი — ჰ. კრალოვე 1:0; ბუდეიოვიცე — ბლშანი 2:2; სპარტა — სლავია 5:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 28 | 23 | 3 | 2 | 75:22 | 72 |
| სლავია | 28 | 20 | 5 | 3 | 48:21 | 65 |
| დრნოვიცე | 28 | 14 | 5 | 9 | 35:26 | 47 |
| ბრნო | 28 | 11 | 6 | 11 | 32:31 | 39 |
| ტეპლიცე | 28 | 10 | 9 | 9 | 37:37 | 39 |
| ბოჰემიანსი | 28 | 10 | 9 | 9 | 23:25 | 39 |
| ლიბერეცი | 28 | 8 | 11 | 9 | 19:21 | 35 |
| ვიკტორია | 28 | 9 | 8 | 11 | 37:41 | 35 |
| დუკლა | 28 | 9 | 7 | 12 | 31:36 | 34 |
| ბლშანი | 28 | 9 | 6 | 13 | 26:44 | 33 |
| ბუდეიოვიცე | 28 | 9 | 5 | 14 | 32:43 | 32 |
| სიგმა | 28 | 6 | 12 | 10 | 28:36 | 30 |
| ბანიკი | 28 | 6 | 11 | 11 | 37:44 | 29 |
| ოპავა | 28 | 6 | 10 | 12 | 31:34 | 28 |
| იაბლონეცი | 28 | 6 | 10 | 12 | 20:36 | 28 |
| ჰ. კრალოვე | 28 | 4 | 11 | 13 | 20:34 | 23 |

## შოტლანდია

### XXXIV ტური

**კილმარნოკი 0:2 რეინჯერსი**

0:1 კ. რეინა (43), 0:2 ალბერტცი (78)

**სელტიკი 5:1 აბერდინი**

1:0 იონსონი (25), 2:0, 3:0 მორავჩიკი (34, 43), 4:0, 5:0 იონსონი (50, 53), 5:1 უინტერსი (54)

**დანდი 3:0 დანდი იუნ.**

1:0 ფალკონერი (49), 2:0 გრედი (64), 3:0 ფალკონერი (74)

**ჰართსი 0:0 სენტ ჯონსტონი**

**მოზერუელი 2:0 ჰიბერნიანი**

1:0, 2:0 ტვედლი (70, 73)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 34 | 27 | 6 | 1 | 95:24 | 87 |
| სელტიკი | 34 | 20 | 5 | 9 | 88:38 | 65 |
| ჰართსი | 34 | 14 | 9 | 11 | 45:38 | 51 |
| მოზერუელი | 34 | 12 | 10 | 12 | 45:62 | 46 |
| სტ. ჯონსტონი | 34 | 10 | 11 | 13 | 34:41 | 41 |
| ჰიბერნიანი | 34 | 10 | 11 | 13 | 48:58 | 41 |
| დანდი იუნ. | 34 | 11 | 6 | 17 | 33:53 | 39 |
| დანდი | 34 | 11 | 5 | 18 | 44:62 | 38 |
| კილმარნოკი | 34 | 7 | 13 | 14 | 34:45 | 34 |
| აბერდინი | 34 | 7 | 6 | 21 | 37:82 | 27 |

## ბელგია

XXXIII ტური

**მეხელენი 0:2 გენტი**

0:1, 0:2 დრაგუტინოვიჩი (5, 15)

**ჰარელბეკე 1:2 გენკი**

0:1 ბანი (45), 0:2 გუდიონსონი (57), 1:2 კაკუ (68)

**ანდერლეხტი 2:0 სტანდარდი**

1:0 სტოიჩა (62), 2:0 ანასტასიუ (73)

**აალსტი 0:3 შარლერუა**

0:1 დ. ბრონო (25), 0:2 დე კონდე (59), 0:3 დ. ბრონო (68)

**ბეერსხოტი 0:1 მუსკრონი**

0:1 კასტო (82პ)

**ლოკერენი 5:2 ბევერენი**

1:0 კიმოტო (20), 2:0 იანსენსი (28), 3:0 კიმოტო (62), 3:1 ტორკენი (65), 4:1 ვან გენედგენი (67), 5:1 იანსენსი (77), 5:2 ტორკენი (90პ)

**სენტ ტრუიდენი 2:1 ლიერსი**

1:0 ვალდო (3), 1:1 კავენსი (29), 2:1 ბურგი (42)
ლიერსი: ნისი, ლაერემანსი, ჰოფკენსი (ჰიუსგემსი 69), ვან მეირი, დაემსი, სნოექსი, ლეენი, შეყილაძე, ვან დე ვეირი, კავენსი (პეელმანი 79), სპიტერი
მწვრთნელი: ვალტერ მეუსი

**ბრიუგე 3:1 ლომელი**

1:0 ლემბი (57), 1:1 ჰელდერმანსი (60), 2:1 ვერჰეიენი (64), 3:1 მარტენსი (79)

**ვესტერლო 4:1 გეელი**

1:0 პელიჩი (36), 1:1 სმიტსი (48), 2:1 პელიჩი (57), 3:1 სერნელსი (59), 4:1 ტ. ბრონო (87)

ლიეჟის „სტანდარდის“ მთავარი მწვრთნელი ჟან ტისენი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. გასულ უქმეებზე გამართულ ტურში „სტანდარდი“ ჩემპიონ „ანდერლეხტთან“ 0:2 დამარცხდა და მეორე ან მესამე ადგილზე გასვლის თეორიული შანსიც კი დაკარგა. გუნდს 56 ქულა აქვს და მის წინ მყოფ „გენტს“ 7 ქულით ჩამორჩება. პირველობის დასრულებამდე მხოლოდ ერთი ტური დარჩა.

ევროთასებზე მოხვედრა „სტანდარდს“ კიდევ შეუძლია. გუნდი ბელგიის თასის ფინალში ასპარეზობს და 14 მაისს ბრიუსელში „გენკს“ დაუპირისპირდება, იოჰან ბოსკამპის გაწვრთნილ გუნდს, რომელმაც მორიგ ტურში „ჰარელბეკე“ 2:1 დაამარცხა, თუმცა მე-9 პოზიციაზე ზევით ვერ აინაცვლა და ევროთასებზე მოხვედრას ბელგიის თასის მოგებით შეეცდება.

„სტანდარდის“ მთავარი მწვრთნელის გათავისუფლება თავად ფეხბურთელებმა მოითხოვეს.

„წარუმატებელი მოღვაწეობისა და ჩემპიონატის მატჩებში მარცხის შემდეგ ფეხბურთელებმა ტისენს უნდობლობა გამოუცხადეს, ყველაფერი თასის ფინალამდე ერთი კვირით ადრე მოხდა. ამ შეხვედრაზე კი მომავალ სეზონში გუნდის ევროთასებზე ასპარეზობაა დამოკიდებული“ — განაცხადა „სტანდარდის“ ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

გუნდის წევრებს ყოფილი მწვრთნელის, ტომისლავ ივიჩის დაბრუნება სურდათ, რომელმაც თანამდებობა შარშან სექტემბერში დატოვა, მაგრამ სპეციალისტმა უარი განაცხადა. საბოლოოდ გადაწყვეტილებას კლუბის ხელმძღვანელობა უახლოეს დღეებში მიიღებს და კლუბის ახალი თავკაცის ვინაობაც გაირკვევა.

„აალსტთან“ სტუმრად (3:0) გამარჯვებით „შარლერუამ“ პირველ დივიზიონში დარჩენის თეორიული შანსი შეინარჩუნა. ბოლო ტურში შარლერუელები ჩემპიონ „ანდერლეხტს“ მასპინძლობენ, თუმც მარტო მოგება არ კმარა, მათი ბედი უშუალო კონკურენტის, „ჰარელბეკეს“ ხელშია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 33 | 22 | 8 | 3 | 85:35 | 74 |
| ბრიუგე | 33 | 20 | 4 | 9 | 68:32 | 64 |
| გენტი | 33 | 20 | 3 | 10 | 76:51 | 63 |
| მუსკრონი | 33 | 16 | 8 | 9 | 66:44 | 56 |
| სტანდარდი | 33 | 18 | 2 | 13 | 65:49 | 56 |
| ვესტერლო | 33 | 15 | 8 | 10 | 70:64 | 53 |
| ლიერსი | 33 | 15 | 7 | 11 | 64:45 | 52 |
| ბეერსხოტი | 33 | 15 | 7 | 11 | 52:44 | 52 |
| გენკი | 33 | 15 | 6 | 12 | 60:58 | 51 |
| ლოკერენი | 33 | 11 | 11 | 11 | 54:57 | 44 |
| მეხელენი | 33 | 12 | 5 | 16 | 46:74 | 41 |
| სტ. ტრუიდენი | 33 | 10 | 7 | 16 | 40:61 | 37 |
| აალსტი | 33 | 11 | 3 | 19 | 52:71 | 36 |
| ბევერენი | 33 | 9 | 8 | 16 | 50:65 | 35 |
| ჰარელბეკე | 33 | 9 | 5 | 19 | 53:71 | 32 |
| შარლერუა | 33 | 7 | 9 | 17 | 41:61 | 30 |
| გეელი | 33 | 5 | 13 | 15 | 32:58 | 28 |
| ლომელი | 33 | 4 | 12 | 17 | 31:65 | 24 |

## პორტუგალია

XXXIII ტური

**ალვერკა 1:0 ბოავიშტა**

1:0 რუი ბორგესი (29)

**ბრაგა 0:0 ჟილ ვისენტე**

**კამპომაიორენსე 1:0 ფარენსე**

1:0 კაუ (65)

**მარიტიმუ 5:2 რიუ ავე**

0:1 ედსონი (21), 1:1 ჟორჟე სუარეში (31), 2:1 სმეეტსი (42), 3:1 ჟოელ სანტუში (55), 4:1 შენონი (72), 4:2 ავგუსტო გამა (81), 5:2 შენონი (90)

**პორტუ 2:1 ამადორა**

1:0, 2:0 ჟარდელი (39, 70), 2:1 გაუჩო (90)

**ლეირია 3:2 სანტა კლარა**

1:0 დერლეი (15), 1:1 ფიგუირედო (21), 2:1 დინდა (36), 3:1 დერლეი (45), 3:2 ჟორჟე გამბოა (46)

**სპორტინგი 0:1 ბენფიკა**

0:1 საბრი (89)

**ბელენენსეში 0:1 სეტუბალი**

0:1 კარვალიო (55)

**გიმარაეში 2:2 ბელენენსეში**

1:0 ფეიაო (17), 1:1, 1:2 რამოსი (69, 78), 2:2 ბრანდაო (87)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 33 | 22 | 8 | 3 | 53:22 | 74 |
| პორტუ | 33 | 22 | 7 | 4 | 65:24 | 73 |
| ბენფიკა | 33 | 20 | 6 | 7 | 56:32 | 66 |
| ბოავიშტა | 33 | 16 | 6 | 11 | 38:29 | 54 |
| ჟილ ვისენტე | 33 | 13 | 11 | 9 | 46:33 | 50 |
| მარიტიმუ | 33 | 13 | 11 | 9 | 41:34 | 50 |
| გიმარაეში | 33 | 14 | 6 | 13 | 46:40 | 48 |
| ამადორა | 33 | 9 | 15 | 9 | 37:35 | 42 |
| ბრაგა | 33 | 12 | 6 | 15 | 42:43 | 42 |
| ლეირია | 33 | 10 | 11 | 12 | 31:35 | 41 |
| ალვერკა | 33 | 11 | 8 | 14 | 39:46 | 41 |
| ბელენენსეში | 33 | 9 | 13 | 11 | 35:36 | 40 |
| კამპომაიორ. | 33 | 10 | 6 | 17 | 31:48 | 36 |
| სალგეირუში | 33 | 9 | 7 | 17 | 30:45 | 34 |
| სეტუბალი | 33 | 9 | 5 | 19 | 25:49 | 32 |
| ფარენსე | 33 | 7 | 11 | 15 | 33:59 | 32 |
| რიუ ავე | 33 | 7 | 9 | 17 | 32:54 | 30 |
| სანტა კლარა | 33 | 6 | 10 | 17 | 32:48 | 28 |

## თურქეთი

XXXII ტური. ფენერბაჰჩე — გენჩლერბირლიგი 1:3; ბურსა — დენიზლი 4:1; გიოზთეფე — ბეშიქთაში 2:4; გაზიანთეფი — ტრაბზონი 3:0; ადანა — ალთაი 1:0; სამსუნი — ერზურუმი 2:1; ანკარაგიუჯიუ — ისთანბული 2:2; გალათასარაი — ქოჯაელი 5:0; ანთალია — ვანი 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 32 | 24 | 6 | 2 | 76:21 | 78 |
| ბეშიქთაში | 32 | 22 | 6 | 4 | 69:23 | 72 |
| გაზიანთეფი | 32 | 17 | 10 | 5 | 47:22 | 61 |
| ფენერბაჰჩე | 32 | 15 | 10 | 7 | 54:42 | 55 |
| სამსუნი | 32 | 16 | 4 | 12 | 48:38 | 52 |
| გენჩლერბირ. | 32 | 14 | 8 | 10 | 50:46 | 50 |
| ტრაბზონი | 32 | 14 | 7 | 11 | 43:38 | 49 |
| დენიზლი | 32 | 12 | 8 | 12 | 52:55 | 44 |
| ადანა | 32 | 12 | 6 | 14 | 46:52 | 42 |
| ანკარაგიუჯიუ | 32 | 10 | 10 | 12 | 44:51 | 40 |
| ბურსა | 32 | 11 | 6 | 15 | 49:60 | 39 |
| ქოჯაელი | 32 | 11 | 6 | 15 | 41:54 | 39 |
| ერზურუმი | 32 | 10 | 8 | 14 | 39:52 | 38 |
| ანთალია | 32 | 10 | 7 | 15 | 38:56 | 37 |
| ალთაი | 32 | 9 | 7 | 16 | 32:40 | 34 |
| ისთანბული | 32 | 7 | 12 | 13 | 34:40 | 33 |
| გიოზთეფე | 32 | 6 | 5 | 21 | 24:51 | 23 |
| ვანი | 32 | 3 | 6 | 23 | 34:75 | 15 |

## ავსტრია

XXXII ტური. ბრეგენცი — ზალცბურგი 5:1; გრაცერი — რიდი 1:1; ლინცერი — აუსტრია 1:0; რაპიდი — შტურმი 2:3; ტიროლი — ლუსტენაუ 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 32 | 21 | 5 | 6 | 45:24 | 68 |
| შტურმი | 32 | 19 | 7 | 6 | 61:28 | 64 |
| რაპიდი | 32 | 19 | 5 | 8 | 55:24 | 62 |
| რიდი | 32 | 14 | 7 | 11 | 50:32 | 49 |
| აუსტრია | 32 | 13 | 6 | 13 | 42:41 | 45 |
| გრაცერი | 32 | 12 | 5 | 15 | 36:47 | 41 |
| ზალცბურგი | 32 | 10 | 8 | 14 | 31:43 | 38 |
| ბრეგენცი | 32 | 9 | 5 | 18 | 34:64 | 32 |
| ლინცერი | 32 | 8 | 7 | 17 | 35:46 | 31 |
| ლუსტენაუ | 32 | 4 | 7 | 21 | 19:59 | 19 |

## შვეიცარია

IX ტური. ივერდონი — ბაზელი 0:1; გრასჰოპერი — ლუცერნი 0:2; სენტ გალენი — ქსამაქსი 3:0; სერვეტი — ლოზანა 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ გალენი | 9 | 7 | 2 | 0 | 26:8 | 46 |
| ბაზელი | 9 | 4 | 4 | 1 | 12:8 | 35 |
| გრასჰოპერი | 9 | 4 | 3 | 2 | 20:15 | 32 |
| ლოზანა | 9 | 4 | 2 | 3 | 11:8 | 32 |
| ლუცერნი | 9 | 4 | 0 | 5 | 12:23 | 26 |
| სერვეტი | 9 | 3 | 1 | 5 | 17:15 | 24 |
| ივერდონი | 9 | 2 | 0 | 7 | 8:17 | 21 |
| ქსამაქსი | 9 | 1 | 2 | 6 | 8:20 | 19 |

## რუსეთი

VII ტური

**ფაკელი 2:1 ცსკა**

1:0 გრიშინი (43), 1:1 ვარლამოვი (70), 2:1 სიომინი (78)

**როტორი 1:6 სპარტაკი**

0:1 პარფიონოვი (25 პ), 0:2 ტიხონოვი (33), 0:3 ტიტოვი (34), 1:3 ოსინოვი (35), 1:4 ბუზნიკინი (63), 1:5 ტიტოვი (80), 1:6 ბუზნიკინი (88)

**ანჟი 1:0 კრილია**

1:0 გუდკოვი (77)

**ნ. ნოვგოროდი 0:1 ლოკომოტივი**

0:1 სენიკოვი (81)

**დინამო 1:0 ურალანი**

1:0 კლიუევი (41)

**სატურნი 2:0 ალანია**

1:0, 2:0 გრიაზინი (45, 69)

**ჩერნომორეცი 1:2 როსტსელმაში**

1:0 კოვალენკო (47), 1:1, 1:2 კირიჩენკო (67, 80)

**ტორპედო 1:1 ზენიტი**

1:0 ჟვინგილასი (3), 1:1 პანოვი (24)

„სპარტაკმა“ კვლავ მოიგო, ნიგმატულინმა არც ამჯერად გაუშვა გოლი, „ალანია“ ისევ დამარცხდა, მილიცია და გულშემატკივრები „შეხმატკბილებულნი“ დაშორდნენ ერთმანეთს. ორიოდე სიტყვით, ჩემპიონატის მე-7 ტური ასეთი გახლდათ.

იყო დრო, „როტორი“ საპრიზო ადგილს უმიზნებდა. 1996 და 97 წლებში ვოლგოგრადელები მესამენი იყვნენ, ხოლო 98-ში მეოთხე ადგილს დასჯერდნენ. მაშინ „როტორისა“ და „სპარტაკის“ დაპირისპირებებს სხვა ხიბლი ჰქონდა — ბრძოლა იმართებოდა ხოლმე. ახლა კი... 1:6 — ასეთი ანგარიშის მერე დამარცხებულთა სანუგეშოდ ძნელად თუ იტყვი რაიმეს.

„ლოკომოტივმა“ იტალიურ სტილში დაიწყო თამაში — 1:0 სავსებით აკმაყოფილებს. მაგრამ რას ერჩი? შვიდ თამაშში ექვსი მოგება და არც ერთი გაშვებული გოლი რუს სპეციალისტებს რკინიგზელთა გაჩემპიონებაზე საუბრის საშუალებას აძლევს. თუმცა, ასეთი შედეგის მიუხედავად, სიომინის გუნდმა მაინც მეორე ადგილზე გადაინაცვლა, მიზეზი სპარტაკელთა მიერ გატანილი ექვსი გოლია.

ეჰ, „ალანია“, „ალანია“. მორიგი შეხვედრა, მორიგი მარცხი — ვლადიკავკაზელებზე მეტს ვერაფერს იტყვი. თუმცა ერთი გუნდი მაინც არის, გათამაშების ცხრილში ოსთა ქვემოთ რომ მოკალათებულა. მოსკოველმა არმიელებმა ვორონეჟში „ფაკელთან“ წააგეს, მაგრამ თამაში ვის ახსოვს, ტრიბუნებზე ისეთი ამბები ხდებოდა...

ცსკა-მ გოლი გაუშვა და არეულობაც დაიწყო, რომლის მოთავენიც მოსკოვიდან ჩასული ფანები გახდნენ. ვორონეჟელებმა აშკარად ვერ გათვალეს — სტადიონზე მყოფი მილიციელების რაოდენობა ხულიგნებზე ნაკლები იყო და რამდენიმე სამართალდამცავი ტრიბუნიდან მინდორისკენ მოისროლეს (პირდაპირი გაგებით). სასწრაფოდ გამოიძახეს ომონელთა რაზმი და სახანძრო მანქანა. მხოლოდ წყლის ჭავლმა შეძლო დედაქალაქელთა დაშოშმინება.

მახაჩყალაში კი იქაური „ანჟის“ თავკაც ალექსანდრ მარქაროვს უცნობი პირი დაესხა თავს. ტყვიამ მწვრთნელს საკუთარი სახლის წინ მიუსწრო და საბედნიეროდ, მხოლოდ ლოყა გაუკაწრა. დამნაშავეს ეძებენ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 7 | 6 | 1 | 0 | 17:4 | 19 |
| ლოკომოტივი | 7 | 6 | 1 | 0 | 10:0 | 19 |
| დინამო | 7 | 4 | 2 | 1 | 5:4 | 14 |
| ანჟი | 7 | 4 | 1 | 2 | 7:5 | 13 |
| ჩერნომორეცი | 7 | 3 | 3 | 1 | 9:2 | 12 |
| ტორპედო | 7 | 3 | 3 | 1 | 7:3 | 12 |
| როსტსელმაში | 7 | 2 | 4 | 1 | 6:4 | 10 |
| როტორი | 7 | 3 | 1 | 3 | 7:14 | 10 |
| ფაკელი | 7 | 2 | 3 | 2 | 9:10 | 9 |
| ზენიტი | 7 | 2 | 2 | 3 | 4:6 | 8 |
| სატურნი | 7 | 2 | 2 | 3 | 3:6 | 8 |
| კრილია | 7 | 2 | 0 | 5 | 6:9 | 6 |
| ურალანი | 7 | 1 | 2 | 4 | 4:7 | 5 |
| ნ. ნოვგოროდი | 7 | 0 | 4 | 3 | 3:6 | 4 |
| ალანია | 7 | 0 | 2 | 5 | 6:13 | 2 |
| ცსკა | 7 | 0 | 1 | 6 | 1:11 | 1 |



„ბაიერნს“ ტრავმამოშუშებული კაპიტნის შტეფან ეფენბერგის ეიმედება

# ეროვნულმა ფასი დაკარგა

CHAMPIONS LEAGUE

## ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. II წრე

**ბაიერნი (0:2) რეალი**

დღეს მიუნხენის „ბაიერნმა“ სამკვდრო-სასიცოცხლო ფეხბურთი უნდა ითამაშოს. ყოველ შემთხვევაში, კლუბის მენეჯერმა, ული ჰიონესმა, რომელიც სპორტსმენობის წლებში ევროპის ჩემპიონთა თასს სამჯერ ფლობდა, ბიჭებს ამისკენ მოუწოდა, ხოლო თუ ბავარიელები „რეალს“ დაამარცხებენ, ზედიზედ მეორედ გავლენ ფინალში. შეგახსენებთ, რომ პირველ შეხვედრაში, მადრიდში, „სანტიაგო ბერნაბეუზე“, გერმანიის ჩემპიონმა 0:2 წააგო და შესაბამისად ამოცანა არც თუ იოლი აქვს.

ხსენებული პირველი შეხვედრა გასულ ოთხშაბათს იყო, რის მერეც გუნდებმა შიდა სარბიელზე მოსინჯეს ძალები: „რეალმა“ ჩემპიონატის ტურში შინ „ალავესთან“ წააგო 0:1, ხოლო „ბაიერნმა“ გერმანიის თასის ფინალში „ვერდერს“ 3:0 სძლია და ჯილდოს დაესაკუთრა. მაგრამ ამ შედეგებით მსჯელობა, ალბათ, არ შეიძლება. გეხსომებათ, მიუნხენელთა პრეზიდენტმა, ფრანც ბეკენბაუერმა გასულ კვირაში განაცხადა, რომ მისთვის მთავარი „რეალთან“ საპასუხო შეხვედრაა, ხოლო ქვეყნის თასის ფინალი მეორეხარისხოვანია და, ამიტომ, „ვერდერს“ წარმატებას უსურვებს, ხოლო მადრიდელმა ფორვარდმა, რაულმა, ესპანეთის ჩემპიონობისთვის ბრძოლა კიდევ უფრო ადრე გამოიტირა. ცნობისთვის, „ბაიერნმა“ ეროვნული თასი მეათედ მოიგო, თუმცა აქვე უნდა მოვიტანოთ იმავ ბეკენბაუერის სიტყვები, თუ ბრემენელებმა ახლაც ვერ გვაჯობეს, მაგათი საშველი აღარ ყოფილაო.

ული ჰიონესი დღევანდელი შეხვედრის შესახებ: „ეიფორია კიდევ უფრო გაიზრდება. ჩვენს „ოლიმპიაშტადიონზე“ ისე უნდა ვიბრძოლოთ, როგორც არასდროს და გულშემატკივარი თანამედროვეობის უდიდესი თამაშის მოწმედ ვაქციოთ“.

ჰიონესს ძველმა მეგობარმა და დღეს კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა, კარლ-ჰაინც რუმენიგემაც აუბა მხარი: „ჩვენს გუნდს ფრთები აქვს. თუ მეტოქე ფიქრობს, რომ უკვე ფონსაა გასული, ძალიან ცდება. ნახევარფინალის საპასუხო შეხვედრა ჩვენთვის ფინალია“.

აღსანიშნავია, რომ ჩემპიონთა თასის გემო რუმენიგესთვისაც კარგადაა ცნობილი. ის 1976 წელს „სენტ ეტიენთან“ ფინალში გახლავთ ნათამაშევი.

მიუნხენელებს, რომელთაც გასულ სეზონში, ფინალში, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ბოლო წამებში გატანილი ორი გოლის წყალობით 2:1 მოუგო, ბუნებრივია დამატებითი სტიმული აქვთ: უნდა დაამტკიცონ, რომ შარშანდელი მარცხი მხოლოდ შემთხვევითობა იყო და მეტი არაფერი. მიზნისთვის ბრძოლაში კი მათ ისიც დაეხმარებათ, რომ მოედანზე უძლიერესი შემადგენლობით შეუძლიათ გასვლა. გამთამაშებელი შტეფან ეფენბერგი პირველ შეხვედრაში არ მონაწილეობდა, რადგან ბარძაყის კუნთი ჰქონდა გაწყვეტილი, მაგრამ დღეს მზადაა. მზად არიან ბრაზილიელები, ელბერი და პაულო სერჟიოც, რომელთაც ეროვნული თასის ფინალში, „ვერდერთან“ ჩინებულად ითამაშეს.

რაც შეეხება „რეალს“, მის მწვრთნელს, ვისენტე დელ ბოსკეს ძირითადი შემადგენლობიდან ორი ფეხბურთელი არ ეყოლება. ესენი გახლავან დისკვალიფიცირებული მიჩელ სალგადო და აიტორ კარანკა. ვინ უნდა ითამაშოს მათ ნაცვლად? ცენტრში კარანკას ნაცვლად შეიძლება ფრანგი კრისტიან კარემბუ დადგეს და გვერდით ბრაზილიელი ჟულიო სეზარი ამოიყენოს, რითაც ივან კამპოს მარჯვნივ, სალგადოს პოზიციაზე გამოგრების საშუალება მიეცემა. არის ალტერნატიული ვარიანტიც: მარჯვნივ ითამაშოს ჯერემი ჯიტაპმა, ხოლო ცენტრი კამპოსა და სეზარს დაეთმოს, რომელთა უკან, მწმენდავად, ივან ელგერა დარჩება.

სხვა მხრივ კი ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. თავდასხმაში ნიკოლა ანელკას, ფერნანდო მორიენტესისა და რაულის ტრიოს ვიხილავთ, ხოლო შედარებით უკნიდან ფერნანდო რედონდო და სტივ მაკმანამანი იმოქმედებენ.

„აშკარაა, რომ ჩემპიონთა ლიგაში გაცილებით უკეთ ვთამაშობთ, ვიდრე ესპანეთის პირველობაზე, მაგრამ ეს ბუნებრივია, რადგან ამ ეტაპზე მხოლოდ „ბაიერნთან“ მატჩზე ვფიქრობთ, ხოლო „ალავესთან“ დამარცხება მოედნიდან გასვლისთანავე აღარ გვახსოვდა. „ბაიერნი“ დიდი გუნდია და მასთან სტუმრად გამარჯვება უძნელესი საქმეა, მაგრამ თუ ისე ვითამაშებთ, როგორც მეოთხედფინალში „იუნაიტედთან“, ანუ მეტოქეს შეტევის საშუალებას არ მივცემთ, ჩვენ კი შევუტევთ, მაშინ ფინალში გასვლა გარანტირებული გვაქვს“ — ამბობს ელგერა.

**მიხეილ სურგულაძე**

**გაფრთხილებულნი**

ბაიერნი: ბაბელი (2), ეფენბერგი (2), ტარნატი (2), ელბერი, კუფური, იანკერი, შტრუნცი, იერემისი, ლიზარაზუ, შოლი

რეალი: იერო (2), ჟულიო სეზარი (2), ელგერა, ივან კამპო, კარემბუ, რობერტო კარლოსი, რედონდო

**დისკვალიფიცირებულნი**

ბაიერნი: არავინ

რეალი: კარანკა (1 მატჩი), მიჩელ სალგადო (1 მატჩი)

***სავარაუდო შემადგენლობები***

*ბაიერნი: კანი, ბაბელი, პ. ანდერსონი, კუფური, ლიზარაზუ, სალიჰამიჯიჩი, იერემისი, შოლი, ეფენბერგი, პაულო სერჟიო, ელბერი*

*რეალი: კასილიასი, რობერტო კარლოსი, ივან კამპო, ჟულიო სეზარი, ჯერემი, ელგერა, რედონდო, მაკმანამანი, რაული, ანელკა, მორიენტესი*

*მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ღირსეულთან ნაგვიგია

UEFA UNDER-16 Championship

გასულ შაბათს ისრაელის სტადიონებზე 16 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირი გასრულდა და რვავე მეოთხედფინალისტი გაირკვა.

## B ჯგუფი

ჩეხეთი — დანია 3:1, ფინეთი — სლოვაკეთი 2:2, დანია — ფინეთი 5:2, ჩეხეთი — სლოვაკეთი 2:2, ჩეხეთი — ფინეთი 7:3, დანია — სლოვაკეთი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 12:6 | 7 |
| სლოვაკეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:5 | 5 |
| დანია | 3 | 1 | 0 | 2 | 7:7 | 3 |
| ფინეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 7:14 | 1 |

## D ჯგუფი

რუმინეთი — საბერძნეთი 0:1, ესპანეთი — პოლონეთი 7:2, პოლონეთი — საბერძნეთი 3:3, ესპანეთი — რუმინეთი 1:0, საბერძნეთი — ესპანეთი 2:1, პოლონეთი — რუმინეთი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:4 | 7 |
| ესპანეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 9:4 | 6 |
| პოლონეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 8:10 | 4 |
| რუმინეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | 0 |

წინა ნომერში გაუწყეთ, რომ შესარჩევ ეტაპზე საქართველოს დამმარცხებელი საბერძნეთი ფინალურ ეტაპზეც ღირსეულად თამაშობს. თავად განსაჯეთ — ჯგუფში, სადაც მოქმედი ჩემპიონი ესპანეთი და გასული ჩემპიონატის ფინალისტი პოლონეთი გამოდიოდნენ, ბერძნებმა პირველი ადგილი დაიკავეს. არადა, ესპანელებმა პირველივე მატჩში დაამტკიცეს, რომ ახლაც ძლიერები არიან და პოლონეთს 7 გოლი გაუტანეს, აქედან სამი ბეტისელმა ალონსომ შეაგდო, ორი კი — ნაკრების ერთადერთმა ლეგიონერმა, მაროკოულ „კასაბლანკაში" მოთამაშე პინიამ. ახლა, მეოთხედფინალში, საბერძნეთი სლოვაკეთს ხვდება, ესპანეთი კი — ჩეხეთს. ეს მატჩები დღეს გაიმართება. გუშინ კი პირველი მეოთხედფინალები შედგა: რუსეთი — ჰოლანდია 0:3; გერმანია — პორტუგალია 1:1, პენალტებით — 5:6.

## ფეხბურთის რუკასთან



გერმანიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ჰორსტ ჰრუბეში, ბუნდესნაკრების დამხმარე მწვრთნელად დანიშნეს, იგი პოსტზე ული შტილიკეს შეცვლის. გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ერიხ რიბეკი და შტილიკე რაღაცაზე ვერ შეთანხმდნენ და რიბეკმა ასისტენტის განთავისუფლება მოითხოვა. შტილიკეს მსგავსად, ჰრუბეში 1980 წლის ევროპის ჩემპიონია. აქამდე იგი გერმანიის მეორე ნაკრებში მოღვაწეობდა. 45 წლის სპეციალისტი ამ პოსტზე რიბეკთან ერთად 1998 წლის სექტემბერში დანიშნეს. სათამაშო კარიერის საუკეთესო წლები ჰრუბეშმა „ჰამბურგში" გაატარა, სადაც მაშინ ინგლისის ნაკრების ამჟამინდელი თავკაცი კევინ კიგანიც თამაშობდა. ინგლისი და გერმანია ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე 17 ივნისს ხვდებიან ერთმანეთს.

ინგლისელმა მცველმა სოლ კემპბელმა უარყო მოსაზრება, თითქოს სეზონის ბოლოს „ტოტენჰემის" დატოვებას და „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლას აპირებს. ცოტა ხნის წინ ლონდონური კლუბის დირექტორმა დევიდ პლიტმაც განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში ფეხბურთელთან ახალ კონტრაქტს აფორმებს. ხელმძღვანელობას გაუნაწყენდა ფრანგი დავიდ ჟინოლა, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედთან" სასტარტო შემადგენლობაში ვერ მოხვდა, თუმცა მწვრთნელი ჯორჯ გრემი შუა კვირაში მასთან შეხვედრას და მოლაპარაკებას აპირებს. „დევიდი „ტოტენჰემისთვის" დიდი ძალაა, მისი შენარჩუნება მსურს" — განუცხადა გრემმა ლონდონურ გაზეთ „ივნინგ სტანდარდს".

გერმანიის საფეხბურთო კავშირმა ფრანკფურტის „აინტრახტის" აპელაცია უარყო. გუნდმა დაკლებული 2 ქულის და 500 ათასი მარკის ანაზღაურება მოითხოვა. შეგახსენებთ, რომ სადისციპლინო კომიტეტმა კლუბი დავალიანების გამო დასაჯა. ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონის დასრულებამდე ორი ტურით ადრე „აინტრახტი" კვლავ სახიფათო ზონაშია, გავარდნის საფრთხე ისევ ემუქრება და დაკლებულ 2 ქულას ეგებ გადაერჩინა კიდეც.

## ჰოლანდია

XXXIII ტური

**ჰერენვენი 1:1 დენ ბოსხი**

0:1 მურადი (30), 1:1 პოპოვიჩი (31)

**ვალვაიკი 2:0 უტრეხტი**

1:0 დე გრაეფი (24), 2:0 კორნელისე (79)

**სპარტა 0:2 პსვ**

0:1 ნილისი (55), 0:2 ბოუმა (64)

**ალკმარი 0:1 ვიტესი**

0:1 ვან ჰოიდონკი (44)

**ტვენტე 4:0 გრააფსხაპი**

1:0 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (8), 2:0 ბუტი (59), 3:0 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (61), 4:0 ბუტი (90)

**აიაქსი 1:0 მაასტრიხტი**

1:0 ჩივუ (85)

აიაქსი: გრიმი, ვიერკლაუ (კ. კანუ 74), ვინტერი, ვან ჰალსტი, ჩივუ, იაკუბუ, კნოპერი, ვიჩგე, ბ. ლაუდრუპი (ბაბანგიდა 57), შ. არველაძე (ვამბერტო 46), გრონკიაერი

მწვრთნელი: ჰანს ვესტერჰოფი

**ნაიმეგენი 0:2 ფეიენოორდი**

0:1 კონტერმანი (15), 0:2 ხულიო კრუზი (79)

**ტილბურგი 1:4 კამბური**

1:0 რამზი (5), 1:1, 1:2 ნელისე (30, 68), 1:3 რუკი (85), 1:4 ვან დერ ჰეიდი (88)

**სიტარდი 1:2 როდა**

0:1 ვალგაერენი (32), 1:1 ამოა (35), 1:2 ლავალი (43)

„ჰერენვენმა" ცხრილში მეორე ადგილი და ჩემპიონთა ლიგის საგზური გაინაღდა, რაც გუნდის უდიდესი წარმატებაა. ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი ტური დარჩა, „ჰერენვენი" უახლოეს მდევარ „ფეიენოორდს" 4 ქულით უსწრებს და ცხადია, მას ველარავინ დაეწევა. ჰოლანდიური ფეხბურთისთვის ეს მეტად უჩვეულო ფაქტია, ორი სახელოვანი გუნდი — „ფეიენოორდი" და „აიაქსი" მომავალ სეზონში, შესაძლოა ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩეს.

ძირითადი ბრძოლა ლიგის მესამე საგზურისთვის იმართება. პრეტენზიას ერთბაშად სამი გუნდი — „ფეიენოორდი", „ვიტესი" და „აიაქსი" აცხადებს, თუმცა აღსანიშნავია, რომ უფრო რეალური შანსი როტერდამულ კლუბს აქვს, რადგან ყველაფერი მის ხელშია და ბოლო ტურში თუ გაიმარჯვებს, კონკურენტები ველარ დაეწევიან.

„აიაქსმა" „მაასტრიხტს" 1:0 მოუგო, რითაც აუტსაიდერი ერთობ რთულ ვითარებაში ჩააგდო.

ამსტერდამელები შინ თამაშობდნენ და თითქოს გამარჯვება არ უნდა გასჭირვებოდათ, მაგრამ აუტსაიდერმა ტოლი არ დაუდო ფავორიტს. მთელი შეხვედრის განმავლობაში სტუმრებმა უფრო რეალური საგოლე მომენტები შექმნეს და ოდნავ რომ გამართლებოდათ, ეგებ ქულაც აეღოთ...

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 33 | 26 | 3 | 4 | 103:24 | 81 |
| ჰერენვენი | 33 | 21 | 4 | 8 | 64:35 | 67 |
| ფეიენოორდი | 33 | 18 | 9 | 6 | 65:41 | 63 |
| ვიტესი | 33 | 18 | 8 | 7 | 65:41 | 62 |
| აიაქსი | 33 | 18 | 7 | 8 | 71:48 | 61 |
| ტვენტე | 33 | 16 | 11 | 6 | 56:36 | 59 |
| ალკმარი | 33 | 17 | 4 | 12 | 67:56 | 55 |
| როდა | 33 | 15 | 7 | 11 | 59:51 | 52 |
| ტილბურგი | 33 | 13 | 8 | 12 | 54:64 | 47 |
| უტრეხტი | 33 | 13 | 4 | 16 | 52:60 | 43 |
| ვალვაიკი | 33 | 12 | 6 | 15 | 43:65 | 42 |
| სიტარდი | 33 | 10 | 7 | 16 | 45:52 | 37 |
| სპარტა | 33 | 11 | 4 | 18 | 48:68 | 37 |
| გრააფსხაპი | 33 | 8 | 8 | 17 | 40:59 | 32 |
| ნაიმეგენი | 33 | 7 | 6 | 20 | 35:60 | 27 |
| მაასტრიხტი | 33 | 6 | 6 | 21 | 37:67 | 24 |
| კამბური | 33 | 5 | 7 | 21 | 33:65 | 22 |
| დენ ბოსხი | 33 | 3 | 11 | 19 | 29:74 | 20 |


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

ჩემპიონთა ლიგა.
1/2 ფინალი. II მატჩები
9 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 501 | ბაიერნი-რეალი | 1,8 | 2,9 | 4,4 |

10 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 502 | ბარსელონა-ვალენსია | 1,4 | 4,0 | 6,5 |

გერმანია. II ბუნდესლიგა
10 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 001 | ვალდჰოფი-მიონხენგლადბახი | 3,3 | 3,0 | 2,1 |

ინგლისი. პრემიერლიგა
9 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 002 | არსენალი-უენსდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 003 | არსენალი-უენსდი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

ბელგია. 34-ე ტური
11 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 004 | გეელი-ბრიუგე | 3,0 | 3,3 | 2,0 |
| 005 | ლომელი-სენტ ტრუიდენი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 006 | ლიერსი-ლოკერენი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 007 | ლიერსი-ლოკერენი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 008 | ბევერენი-ბეერსხოტი | 2,4 | 3,0 | 2,4 |
| 009 | მუსკრონი-აალსტი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 010 | მუსკრონი-აალსტი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 011 | შარლერუა-ანდერლეხტი | 2,8 | 3,4 | 2,0 |
| 012 | სტანდარდი-ჰარელბეკე | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 013 | სტანდარდი-ჰარელბეკე 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 014 | გენკი-მეხელენი | 1,6 | 3,4 | 4,4 |
| 015 | გენტი-ვესტერლო | 1,45 | 3,6 | 5,0 |
| 016 | გენტი-ვესტერლო 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,1 |

ავსტრია. 33-ე ტური
9 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 017 | ბრეგენცი-ლინცერი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 018 | რიდი-ლუსტენაუ | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 019 | რიდი-ლუსტენაუ 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 020 | ზალცბურგი-გრაცერი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 021 | აუსტრია-რაპიდი | 3,5 | 3,2 | 1,9 |

10 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 022 | შტურმი-ტიროლი | 1,9 | 3,0 | 3,8 |

დანია. 29-ე ტური
10 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 023 | ბრიონდბიუ-ოდენსე | 1,4 | 3,8 | 6,0 |
| 024 | ბრიონდბიუ-ოდენსე 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 025 | ორჰუსი-სილკებორგი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 026 | ვიბორგი-კოპენჰაგენი | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 027 | ოლბორგი-აკადემისკი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 028 | ლიუნგბიუ-ესბიერგი | 1,5 | 4,0 | 5,0 |
| 029 | ვაილე-ჰერფოლგე | 2,5 | 3,0 | 2,5 |

ნორვეგია. მე-7 ტური
10 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 030 | ბრანი-ვოლერენგა | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 031 | ბრანი-ვოლერენგა 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 032 | ჰაუგესუნდი-მოსი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 033 | მიოლდე-ტრომსიო | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 034 | რუსენბორგი-ოდ გრენლანდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 035 | რუსენბორგი-ოდ გრენლ. 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 036 | სტაბეკი-ბრინი | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 037 | ვიკინგი-სტარტი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 038 | ვიკინგი-სტარტი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

ჩეხეთი. თასის ფინალი (ნეიტრალურზე)
10 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 039 | ლიბერეცი-რატიშკოვიცე | 1,5 | 3,5 | 5,3 |

პოლონეთი. თასის 1/2 ფინალი. II მატჩები
11 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 040 | რადომსკო-ამიცა | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 041 | პოლონია-ვისლა | 1,8 | 2,9 | 4,4 |

შვეიცარია. თასის 1/2 ფინალი
11 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 042 | ლოზანა-ლუგანო | 1,5 | 3,4 | 5,6 |

შვედეთი. თასის 1/2 ფინალი
10 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 043 | გიოტებორგი-იორგრიტე | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 044 | გუნილსი-აიკ | 4,4 | 3,4 | 1,6 |

კალათბურთი. 1/4 ფინალი
9 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 801 | მაიამი-ნიუ იორკი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 802 | პორტლენდი-იუტა | 1,25 | 12,0 | 3,1 |

10 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 803 | ლეიკერსი-ფინიქსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 804 | ფილადელფია-ინდიანა | 1,5 | 12,0 | 2,0 |

11 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 805 | იუტა-პორტლენდი | 1,4 | 12,0 | 2,3 |

ჰოკეი. 1/4 ფინალი
9 მაისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 806 | პიტსბურგი-ფილადელფია | 1,9 | 3,6 | 2,2 |

10 მაისი

807 ტორონტო-ნიუ ჯერსი

11 მაისი

808 ფილადელფია-პიტსბურგი

ჰოკეი. მნ
9 მაისი

809 შვეიცარია-ბელარუსი
810 ნორვეგია-იტალია
811 შვედეთი-რუსეთი
812 სლოვაკეთი-კანადა

ჰოკეი. მნ. 1/4 ფინალი
11 მაისი

813
814
815
816

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყველაფერი დალაგდა

## დინამო და მეცხრე?!

VII-XII ადგილები საბოლოოდ განაწილდა. მანამდეც თითქმის ყველაფერი გარკვეული იყო, გარდა ერთისა — ვინ მოკალათდებოდა მერვე საფეხურზე, „დინამო" თუ „შევარდენი". ეს გუნდები გიორგობას შეებნენ და მეტად დაძაბულ პაექრობაში ორი ქულით სერგო იშხნელის „შევარდენმა" იმარჯვა, თავად წინ გადასკუპდა და ქართული კალათბურთის ექსფლაგმანი ზურგს უკან მოიტოვა. დაკარგული პოზიციის დაბრუნება „დინამოს" კიდევ შეეძლო, საამისოდ მეორე დღეს თსუ-სთვის უნდა მოეგო, მაგრამ ნოდარ ქორქიას ბიჭებიც თავისაზე დადგნენ და მეტოქეს ორი ქულა არ დაანებეს.

6 მაისი

თსუ 84:77 დინამო

სსუ 50:76 შევარდენი

ასკ 59:64 გორი

7 მაისი

ასკ 66:100 თსუ

გორი 81:68 სსუ

შევარდენი 71:69 დინამო

საქართველოს 9 ჩემპიონატი

10 ტური

VII-XII ადგილები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თსუ | 31 | 18 | 13 | 2793:2593 | 49 |
| შევარდენი | 32 | 15 | 17 | 2285:2420 | 46 |
| დინამო | 32 | 14 | 18 | 2452:2550 | 45 |
| სსუ | 32 | 6 | 26 | 2263:2884 | 38 |
| ასკ | 32 | 3 | 29 | 2256:2889 | 35 |
| გორი | 31 | 6 | 25 | 1919:2272 | 33 |

*გორს დაკლებული აქვს ოთხი ქულა, შევარდენს და დინამოს — თითო-თითო*

## საბერძნეთი

# ვუკჩევიჩი და ოლიმპიაკოსი ერთად გავარდნენ

პლეი ოფის ნახევარფინალი

(ორ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 0 |
| *პაოკ* | *2* |

**პაოკ 87:67 ოლიმპიაკოსი**

პაოკ: კოლდებელა (5), ნიკოლაიდისი (13), ბალოიანისი (18), პერალი (2), ბაზარევიჩი (12), ბილ ედვარდსი (18), ალექსანდერი (10), იანულისი (9)

ოლიმპიაკოსი: ბლუ ედვარდსი (14) ადემანსა (2), პაპანიკოლაუ (4), რობინსონი (23), ტომიჩი (6), ტარლაჩი (13) დემიგელი (2), გრანტი (3)

ნახევარფინალის პირველი მატჩის დამთავრების შემდეგ „ოლიმპიაკოსის" იუგოსლაველი უკანახაზელი დუშან ვუკჩევიჩი დოპინგზე შეამოწმეს. აღმოჩნდა, რომ ვუკჩევიჩს ბლომად უყლაპია აკრძალული პრეპარატები. კალათბურთელმა, ცხადია, თავის მართლება დაიწყო, უბრალო ვარო, ესაო, ისაო, მაგრამ საბერძნეთის კალათბურთის ფედერაციამ არაფერი შეისმინა — ვუკჩევიჩი ნახევარფინალის საპასუხო მატჩიდან მოკვეთა და დამატებით ორთვიანი დისკვალიფიკაციაც გამოუწერა. ვუკჩევიჩი მეორე კალათბურთელია „ოლიმპიაკოსის" ისტორიაში, ვინც დოპინგზე ჩავარდა: მანამდე, 1996-97 წლების სეზონში ამერიკელმა ევრიკ გრეიმ იცუღლუტა.

სალონიკში გამართული ნახევარფინალის საპასუხო მატჩის შემდეგ პაოკი საბერძნეთის ჩემპიონატის ფინალისტი გახდა, თან სუპროლიგის საგზურიც გაინაღდა. პირეოსის „ოლიმპიაკოსი" კი ბოლო ცხრა სეზონში მეორედ დარჩა ფინალის გარეშე (პირველად 1997-98 წლების სეზონში, როცა ნახევარფინალი იმავე პაოკ-მა მოუგო).

შეხვედრა „ოლიმპიაკოსის" უპირატესობით დაიწყო და სტუმრები ამერიკელი ჯეიმს რობინსონის წყალობით პირველ ტაიმში სულ წინ იყვნენ. მეორე ნახევრის დასაწყისში პაოკი ქულით მიუახლოვდა მეტოქეს (44:43), მაგრამ „ოლიმპიაკოსი" 8:0 „გაიქცა" და დამთავრებამდე 15 წუთით ადრე 52:43 იგებდა. მომდევნო 12 წუთი კი პირეოსელებს კოშმარად ექცათ. პაოკელმა ნიკოლაიდისმა და ბაზარევიჩმა სამქულიანებით დაბომბეს მეტოქის კალათი. პაოკი გარღვევას გარღვევაზე აკეთებდა და ქულას ქულაზე ითვლიდა. ამ 12 წუთის გასვლის შემდეგ გაირკვა, რომ პაოკ-ს ეს მონაკვეთი 35:6 მოუგია (!), ხოლო ანგარიში 78:58 იყო მის სასარგებლოდ. დარჩენილ სამ წუთში რაღა უნდა შეცვლილიყო. პაოკი ორწლიანი შესვენების შემდეგ საბერძნეთის ჩემპიონატის ფინალში გავიდა.

| | |
|---|---|
| პანათინაიკოსი | 1 |
| აეკ | 1 |

**აეკ 77:67 პანათინაიკოსი**

აეკ: პაპანიკოლოპულოსი, ჰანსელი (8), ხაძისი (10), კორონიოსი (2), დიკუდისი (4), ცაკალიდისი (13), მიუურსეპი (8), ბოუი (24), კაკიუზისი (8)

პანათინაიკოსი: ალვერტისი (12), კოხი (5), როჯერსი (12), ფოცისი (10), ჯენტილე (3), რებრაჩა (13), ბერკი (4), კატაში (8)

მატჩის წინა დღეს „პანათინაიკოსის" იუგოსლაველ სუპერვარსკვლავ დეიან ბოდიროგას არ უვარჯიშია. მას გრიპი დაემართა, რომელმაც ნახევარფინალის საპასუხო მატჩი გამოატოვებინა. სამაგიეროდ, აეკ-ს გამოუჯანმრთელდა ძირითადი გამთამაშებელი აგელოს კორონიოსი.

ბოდიროგას არყოფნის მიუხედავად, „პანათინაიკოსმა" თავიდანვე ხელთ იგდო ინიციატივა და მე-14 წუთზე 19 ქულით იგებდა (35:16). ამ მომენტისთვის ამერიკელმა ჯონი როჯერსმა და ანტონის ფოცისმა გამოიჩინეს თავი. აეკი მალე მოეგო გონს, თუმცა შესვენებამდე მხოლოდ 8 ქულამდე შეამცირა ანგარიშში სხვაობა (41:33).

მეორე ტაიმში ძალიან კარგად გაისარჯა აეკ-ის ამერიკელი ენტონი ბოუი. მისი წყალობით აეკ-მა ჯერ ჩამორჩენა გაათანაბრა, ხოლო 28-ე წუთზე წინ გავიდა — 52:51. „პანათინაიკოსმა" დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე დაიბრუნა ლიდერობა (63:60), მაგრამ ეს მისი მაქსიმუმი იყო. ბოლო ხუთი წუთი აეკ-მა 15:0 მოიგო და მეორე ფინალისტის გამორკვევის საკითხი დღევანდლამდე გადმოდო.

## საფრანგეთი

პლეი ოფის ნახევარფინალი (ორ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ვილერბანი | 1 |
| სტრასბური | 0 |

**ვილერბანი 81:62 სტრასბური**

ვილერბანი: სონკო (14), ლარანიაგა (9), პლუვი (13), პერსევო (2), სილსი (19), მაქსი (12), ლოვერნი (2), ბილბა (10)

სტრასბური: ფორტი (9), მაკკარდი (3), კლანტი (3), ვაიტი (10), სმიტი (4), ლესმონი (6), კეიტა (16), ლოტიანი (11)

| | |
|---|---|
| ლიმოჟი | 1 |
| პო ორტეზი | 0 |

**ლიმოჟი 72:60 პო ორტეზი**

ლიმოჟი: დიუმა (2), ბრაუნი (8), ჰემი (8), ბონატო (13), სტაკიჩი (3), მუტელი (7), რუპერი, ვილიამსი (11), ფრიგუ (10), ვეისი (10)

პო ორტეზი: ფატუ (10), რიზაშე (6), ტ. გადუ (9), რივზი (11), დ. გადუ, ფ. პიეტრუსი (2), მ. პიეტრუსი (4), მაზინგი (2), ბრაისონი (16)

## თურქეთი

პლეი ოფის ნახევარფინალი

(სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ეფესი | 2 |
| ბეშიქთაში | 0 |

**ეფესი 93:89 ბეშიქთაში**

ეფესი: მულაომეროვიჩი (21), თურქოღლუ (7), ონანი (4), სანჯარი, ვექილოღლუ, ქუთლუაი (28), ჰ. ბეშოქი (9), ვინსლოუ (10), დრობნიაკი (14)

ბეშიქთაში: გიულერი, ფ. ბეშოქი (21), ბლექველი (19), ელი (26), თამსოზი (2), აიდინი, პრაშკევიჩუსი (21)

„ეფესმა" შეუძლებელი შეძლო და პრაქტიკულად წაგებული თამაში მოიგო. „ბეშიქთაშმა" დიდებულად დაიწყო შეხვედრა და პირველი ტაიმის ბოლო წუთებზე თურქული კალათბურთის ფლაგმანს 48:24 უგებდა. პირველ ტაიმში ვერაფრის გაკეთება ვერ მოახერხა ეფესელთა ბომბარდირმა იბრაჰიმ ქუთლუაიმ, მისი უკლებლივ ყველა ნასროლი მიზანს აცდა. ტაიმის ბოლო წუთზე რიკი ვინსლოუმ გაიბრძოლა და „ეფესმა" სხვაობა 14 ქულამდე შეამცირა — 52:38 „ბეშიქთაშის" სასარგებლოდ — ასე გაიყარნენ გუნდები შესვენებისთვის.

დაიწყო მეორე ტაიმი და ქუთლუაიმ რაღაც სასწაულების კეთება დაიწყო. მან ხუთი სამქულიანი ჩააგდო, საშუალო მანძილიდან სროლისას ხომ საერთოდ არ აცილებდა. „ეფესმა" ჩამორჩენა გაათანაბრა და შვიდი ქულითაც დაწინაურდა. არეულ „ბეშიქთაშში" ლიდერობა ფარუკ ბეშოქმა (ეფესელი ჰუსეინ ბეშოქის უმცროსი ძმაა) ითავა, მაგრამ მისი მონდომება ქუთლუაიმ და ხორვატმა დამირ მულაომეროვიჩმა (11 პასი) ფუჭად აქციეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს სერიის პირველი მატჩი იყო, „ეფესი" 2:0 დაწინაურდა, რადგან რეგულარულ ჩემპიონატში ორჯერ მოუგო „ბეშიქთაშს" და ნახევარფინალიც 1:0-დან დაიწყო.

| | |
|---|---|
| თოფაში | 2 |
| ულქერი | 0 |

**თოფაში 73:60 ულქერი**

თოფაში: ერდოგანი (5), ფარსი (6), რიმაცი, ბაში (20), ქონუქი (10), ერდენი, ილმაზი (15), ოქური (2), გრიფიტი (8), რივერსი (7)

ულქერი: ფაჩულია (4), გონლუმი (6), კოტუროვიჩი (12), ერდენაი (13), ალენი (8), პოუპი (13), ოზთურქი (1), ილდირიმი, სარიჯა (3)

# ფაჩულია დიდი კაცების წინააღმდეგ



იბრაჰიმ ქუთლუაიმ „ეფესს" მოაგებინა

„თოფაშმა" კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ამჟამად თურქეთის უძლიერესი გუნდი. ნახევარფინალის პირველ მატჩში ბურსელები თავიდანვე დაწინაურდნენ და ტაიმი 22 ქულით მოიგეს. „თოფაშმა" იმდენად დაჩაგრა „ულქერი", რომ სასტარტო ხუთეულის წევრები დაისვენეს და სათადარიგოებს მისცეს თავის გამოჩენის საშუალება. ამათაც არ შეირცხვინეს თავი, განსაკუთრებით შემსეთინ ბაშმა, რომელმაც თავის გემოზე ინავარდა „ულქერის" ფარქვეშ.

„ულქერის" რიგებში ხუთი წუთი ითამაშა 16 წლის ქართველმა ფორვარდ-ცენტრმა ზაზა ფაჩულიამ. მან ერთი ორქულიანი და ორი საჯარიმო ჩააგდო, ამას სამი მოხსნა და ერთი ჩაჭრა დაუმატა.

**ულქერი 71:73 თოფაში**

ულქერი: ფაჩულია (6), გონლუმი (2), კოტუროვიჩი, ერდენაი (21), ალენი (7), პოუპი (18), ილდირიმი (12), სარიჯა (5)

თოფაში: ერდოგანი, ფარსი (6), რიმაცი (19), ბაში (4), ქონუქი (6), ერდენი, ილმაზი (12), ოქური (2), გრიფიტი (14), რივერსი (10)

ზაზა ფაჩულიამ ამჯერად 13 წუთი დაჰყო მოედანზე. ოთხი ორქულიანიდან ორი ჩააგდო, ხოლო სამი საჯარიმოდან ორჯერ მიაღწია მიზანს. გარდა ამისა, ზაზამ თითო მოხსნა, ჩაჭრა და დაფარება გააკეთა. ვნახოთ, ვის წინააღმდეგ ითამაშა 16 წლის ქართველმა ბიჭმა. „თოფაშში" თურქეთის ნაკრების ორი ცენტრია — მეჰმეთ ოქური და ასიმ ფარსი, აგრეთვე ნბა-მოვლილი ამერიკელი გიგანტი რაშარდ გრიფიტი. ახლა თავად განსაჯეთ, რიგიანად ითამაშა ფაჩულიამ თუ ურიგოდ.

თავად მატჩი კი ძალიან დაძაბული იყო. ბოლო წუთებამდე მეტოქეთაგან ვერცერთმა მოახერხა სამ ქულაზე მეტით დაწინაურება. „ულქერმა" ტაიმი 41:40 მოიგო. მატჩის მიწურულს კი „თოფაშის" ხორვატმა სლავენ რიმაცმა და ალფერ ილმაზმა ზედიზედ ჩააგდეს სამქულიანები და თავის გუნდი ცხრა ქულით დააწინაურეს. „ულქერმა" მოინდომა და სხვაობა ორ ქულამდე შეამცირა. ის კი არა, მარკ პოუპს შეხვედრის დამატებით დროში გადაყვანაც შეეძლო, მაგრამ უხეიროდ ესროლა.

„თოფაში" 2:0 იგებს სერიას, რომელიც, სავარაუდოდ, ხვალვე დასრულდება ბურსაში.

## სლოვენია

# ორჯერ მეტი მონდომება და ქულები

პლეი ოფის ფინალი

(სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| პივოვარნა | 0 |
| კრკა | 1 |

**პივოვარნა 79:85 კრკა**

პივავარნა: იურაკი (20), მილეტიჩი (8), ბაირამოვიჩი, გოლიოვიჩი (23), ქარკოვიჩი (2), კაზაფეროვიჩი, დრაგშიჩი (10), კუნცი (16)

კრკა: დრაჟოვიჩი, იევტოვიჩი (14), პეტროვი (14), სმოდიში (6), გრუმი (10), დრობნიაკი (28), შჩეკიჩი (3), ნაკიჩი (10)

მესამე ადგილისთვის

(ორ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ოლიმპია | 1 |
| სლოვანი | 0 |

**ოლიმპია 92:47 სლოვანი**

ოლიმპია: ბეჩიროვიჩი (16), გოლემაცი (8), დუშჩაკი (12), ზადრავეცი (7), ბრეჟეცი (11), ზდოვცი (6), კოტნიკი (12), მილიჩი (9), იასიკევიჩუსი (5), პარავინია (4), მოდრიჩი (2)

სლოვანი: ნოვაკი (9), ლაკოვიჩი (3), ჟაკელი, უგრეხელიძე (4), ჯურკოვიჩი, კოვაჩი (3), პავიჩი (7), ბოისა (2), მარავიჩი (8), შუშტარშიჩი (5), ცქიტიშვილი (6)

ლიუბლიანის „სლოვანისთვის" მესამე ადგილისთვის მატჩს არავითარი აზრი არა აქვს — თანაქალაქელ „ოლიმპიას" ვერ მოუგებს, კორაჩის თასზე ადგილი კარგა ხნის დაბევებული აქვს. „ოლიმპია" კი პირიქით, გაცეცხლებულია: პირველად სლოვენიის ჩემპიონატების ისტორიაში არ იბრძვის პირველობისთვის, თანაც სულ ერთი კვირის წინ ნოვო მესტოს „კრკამ" სამარცხვინოდ გამოაგდო ნახევარფინალიდან. „ოლიმპიას" მწვრთნელმა ზმაგო საგადინმა გადადგომა ითხოვა, მაგრამ კლუბმა არ დააკმაყოფილა მისი თხოვნა. საგადინმაც გაათმაგებული ენერგიით მოამზადა გუნდი მესამე ადგილოსნის გამოსავლენი სერიისთვის, მაშინ, როცა „სლოვანი" წესიერად აღარც კი ვარჯიშობს.

ჰოდა, პირველი მატჩის შედეგი ლოგიკური იყო: „ოლიმპიამ" „სლოვანზე" ორჯერ მეტი ქულა დააგროვა, ხოლო სლოვანელთაგან ათ ქულასაც ვერავინ უწია. თითქმის უეჭველია, რომ „ოლიმპია" დღესაც დაამარცხებს „სლოვანს" და მესამე ადგილზე გავა, ხოლო „სლოვანის" ქართველები — ვლადიმერ ბოისა, ნიკა ცქიტიშვილი და დავით უგრეხელიძე ხვალ გამოემგზავრებიან საქართველოში და ბათუმში შეკრებაზე მყოფ ეროვნულ ნაკრებს შეუერთდებიან.

## ესპანეთი

პლეი ოფის მეოთხედფინალი

(სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| *ბარსელონა* | *3* |
| უნიკახა | 2 |

ბარსელონა 65:46 უნიკახა

პლეი ოფის ნახევარფინალი

(სამ მოგებამდე)

ბარსელონა — ტაუ

რეალი — ესტუდიანტესი

## იტალია

პლეი ოფის ნახევარფინალი

(სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ფორტიტუდო | 1 |
| მიულერი | 0 |

**ფორტიტუდო 88:77 მიულერი**

ფორტიტუდო: მაიერსი (21), კარნიშოვასი (21), ფუჩკა (10), ვრანკოვიჩი (8), ბაზილე (9), იარიჩი (6), გალანდა (6), პილუტი (5), ანკიზი (2)

მიულერი: ბერიჩი (27), შმიდტი (16), ბალოკი (20), კამატა (4), ალბანო (3), ნობილე (5), არიგბაბუ (2), რომბალდონი, კრიპა

თამაშის ბედი პირველი ტაიმის ბოლო ხუთ და მეორე ტაიმის საწყის ორ წუთში გადაწყდა. ჯერ იყო და „ფორტიტუდომ" 12:2 მოიგო ერთი მონაკვეთი და შესვენებაზე 13-ქულიანი უპირატესობით წავიდა (56:43). თამაშის განახლებისთანავე ბოლონიელებმა ექვსი უპასუხო ქულა მიითვალეს. ვერონის „მიულერმა" ჩამორჩენა ველარ დასძლია.

| | |
|---|---|
| კინდერი | 0 |
| ბენეტონი | 1 |

**კინდერი 64:71 ბენეტონი**

კინდერი: დანილოვიჩი (17), ეკონომუ (3), აბიო (15), ფროზინი (15), სკონოჩინი (6), რიგოდო, დ. ანდერსენი (3), მი (5)

ბენეტონი: ედნი (22), პიტისი (10), შეპარდი (10), მარკონატო (5), დი სპალატრო (2), ნიკოლა (14), ნეესი (8), სანტოსი, ტრაინა, ბულერი

დამთავრებამდე 9 წუთით ადრე ბოლონიის „კინდერი" 54:42 იგებდა. აქედან მოყოლებული და მატჩის ბოლომდე ბოლონიის „პალა მალაგუტიში" ერთი გუნდი — ტრევიზოს „ბენეტონი" თამაშობდა. სტუმრებმა ცხრაწუთიანი მონაკვეთი 29:10 მოიგეს და სერიაშიც დაწინაურდნენ.

პლეი ოფი. პირველი წრე (სამ მოგებამდე)

# მეორე პლეი ოფი უსტეფანიოდ

## დასავლეთი

5 მაისი

| | |
|---|---|
| იუტა | 3 |
| სიეტლი | 2 |

**იუტა 96:93 სიეტლი**

იუტა: სტოქტონი (17 ქულა, 15 პასი, 7 მოხსნა), ჰორნაჩეკი (13), რასელი (16), მელოუნი (27), პოლინაისი (13); ეისლი (5), გილიამი (4), ოსტერტაგი (1), პადჯეტი

სიეტლი: პეიტონი (27 ქულა, 9 პასი, 6 მოხსნა), ბერი (4), ლუისი (20), ბეიკერი (17), გრანტი (2); პატერსონი (15), ვილიამსი (5), ფოსტერი (3), პერსონი

„იუტასთან" სერიის გადამწყვეტ, მეხუთე მატჩში დამთავრდა წლევანდელი პლეი ოფი ჩვენებურ ვოვა სტეფანიას „სიეტლ სუპერსონიქსისთვის". „ზებგერითებმა" ყველაფერი გაიღეს წარმატების მისაღწევად, მაგრამ... ბედმა უმტყუნათ სტეფანიას თანაგუნდელებს, ჩაკ პერსონს თამაშის ბოლო წამზე ნასროლი სამქულიანი რომ ჩაეგდო... თუმცა იღბალი ხომ უფრო ძლიერს ულიმის. ეს კანონზომიერება არც ამჯერად დაირღვა.

„სიეტლი" პლეი ოფს ისე გამოეთიშა, რომ მის ქართველ ცენტრ ვლადიმერ სტეფანიას ერთი წუთითაც არ უთამაშია. ვოვას კვლავ აწუხებს ტრავმა, რომელიც ჯერ კიდევ რეგულარულ ჩემპიონატში მიიღო ამერიკული ფეხბურთის თამაშისას. სტეფანიამ უკვე მეორე სეზონი მიილია პლანეტის უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში და მაინც ვერ ითამაშა პლეი ოფში. წინა სეზონში ხომ მისი „სიეტლი" საერთოდ ვერ მოხვდა დასავლეთის რვა უძლიერეს გუნდს შორის.

რაც შეეხება „იუტას", მან თავისი მაინც გაიტანა და ზედიზედ მეხუთედ გავიდა დასავლეთ კონფერენციის ნახევარფინალში. მელოუნ-სტოქტონის უბერებელმა წყვილმა აჯობა გერი პეიტონს და მის ახალგაზრდა თანაგუნდელებს, რომელთაც მონდომება არ აკლიათ, მაგრამ გამოცდილებით გვარიანად ჩამორჩებიან. სერიის მეხუთე თამაში საუკეთესო გამოდგა ასოციაციის ყველა დროის უძლიერესი ასისტენტის და ჩამჭრელის, ჯონ სტოქტონისთვის. წინა თამაშებში იგი მასზე რვა წლით უმცროსი გერი პეიტონის ჩრდილში მოექცა, ამ თამაშში კი მან თავი დააღწია მეურვის კლანჭებს. ეს 38 წლის კაცი მოედანზე აკეთებდა იმას, რაც ყველაზე უკეთ ეხერხება: თამაშს ალაგებდა და რთულ კომბინაციებს ხლართავდა. მისი უზუსტესი და გამოზომილი პასების შემდეგ კი კარლ მელოუნს და სხვა იუტელებს ისღა დარჩენოდათ, ბურთი კალათში მოეთავსებინათ. მასპინძელთაგან ქულების დაგროვება არავის უჭირდა. თვით „სიეტლის" ყოფილ ცენტრს, ბებერ ოლდენ პოლინაისს მოუგროვდა 13 ქულა ყოფილი გუნდის წინააღმდეგ. ლიგის ერთმა უძლიერესმა პერსონალურმა მეურვემ, სიეტლელმა გერი პეიტონმა სტოქტონს დაცვაში რომ ვერაფერი დააკლო, შეტევაში აქტიურობას მიჰყო ხელი და თანაგუნდელებიც აიყოლია. გუნდის ლიდერის მხარდამხარ რიგიანად ირჯებოდა 20 წლის რაშარდ ლუისი, რომელიც ამ თამაშში და საერთოდ სერიაშიც პეიტონის შემდეგ „სონიქსის" რიგებში საუკეთესო იყო, მაგრამ სტუმართა აქტიურობამ დიდი შედეგი ვერ გამოიღო, „იუტა" საკმაოდ კარგად იცავდა თავს, მაგრამ უპირატესობას, თუმც მცირეს, მთელი თამაშის განმავლობაში ფლობდა.

ბოლო მეოთხედის დასაწყისში „იუტა" ექვსი ქულით იყო წინ. სტუმრებმა თითქმის მოახერხეს ამ სხვაობის გაქითვა, საფინალო სირენამდე 25 წამით ადრე პეიტონმა გარღვევაზე ჩააგდო და „სონიქსი" ერთი ქულით დაუახლოვდა მეტოქეს — 93:94. აქ კი სტოქტონის ჯერიც დადგა. მას ცხრა წამით ადრე საჯარიმოს ხაზზე ხელი არ აუკანკალდა და ორივე სროლა გამოიყენა. „სიეტლს" მატჩის და სერიის გადასარჩენად საკმაო დრო რჩებოდა. გადამწყვეტი სროლა ვეტერან ჩაკ პერსონს დაევალა, რომელიც ახალგაზრდობაში სამიანებს რიგიანად აგდებდა, ახლა კი ძირითადად „სიეტლის" სკამზე ზის. პერსონი სულ რამდენიმე წამის წინ შევიდა მოედანზე. ბურთთან მისი პირველი შეხება უიღბლო გამოდგა მთელი გუნდისთვის — სირენასთან ერთად ნასროლი ბურთი მეტოქის რგოლზე დაეშვა და იქ შეკრებილ ოციათასიან აუდიტორიას „იუტას" შემდეგ წრეში გასვლა აუწყა.

| | |
|---|---|
| ლეიკერსი | 3 |
| საკრამენტო | 2 |

**ლეიკერსი 113:86 საკრამენტო**

ლეიკერსი: ონილი (32 ქულა, 18 მოხსნა), ბრაიანტი (17), რაისი (14)

საკრამენტო: ვებერი (20)

„კარგად ვიცოდით, რომ თუ ჩვენს საუკეთესო მატჩს არ ვითამაშებდით, ისტორიაში შევიდოდით, ეს კი არ გვსურდა" — ამბობდა „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ცენტრი შაკილ ონილი „საკრამენტოსთან" სერიის მეხუთე თამაშის შემდეგ. ონილი იმას გულისხმობდა, რომ პლეი ოფებში პირველ ნომრად განთესილ გუნდებს მხოლოდ ორჯერ წაუგიათ მერვე ნომრად განთესილთან. პირველი შერცხვენილი პირველი ნომერი 1994 წლის „სიეტლი" გახლდათ, მეორე — „მაიამი", რომელიც წინა პლეი ოფის პირველ წრეში „ნიუ იორკს" ვერ მოერია. დაგვეთანხმებით, ისტორიაში ამგვარად დამკვიდრების პერსპექტივა არავის ხიბლავს. „ლეიკერსმაც" ყველაფერი იღონა სირცხვილის თავიდან ასაცილებლად, მეტიც, ლოსანჯელესელებმა საკრამენტოში განცდილი ორი მარცხისთვის ღირსეული რევანში აიღეს და პირწმინდად დაჩაგრეს კერკეტი მეტოქე. მატჩზე მოსათხრობი ბევრიც არაფერია, სტატისტიკა ყველაფერზე მეტყველებს: თამაშის 113:86 მოგებასთან ერთად „ლეიკერსმა" მოხსნებში 54:35 აჯობა მეტოქეს, პასებში — 31:14, დაფარებებში — 12:3. ერთადერთი სათამაშო კომპონენტი, რომელშიც „საკრამენტო" მეტოქეს არ ჩამორჩა, ეს ჩაჭრებია. თუმც სტუმართა მიერ ჩაჭრილი ბურთების უმეტესობა მეორე ტაიმზე მოდის, რომელშიც „ლეიკერსი" 15 და მეტი ქულით მუდმივად წინ იყო და ამაზე დიდად ყურადღება არც გაუმახვილებია.

„ლეიკერსის" მთავარმა მწვრთნელმა ფილ ჯექსონმა საკრამენტოში ნაცად ტაქტიკას უგანა, შეტევების გაძღოლა კობი ბრაიანტის ნაცვლად კვლავ შაკილ ონილს დაავალა და ამანაც თავი არ შეირცხვინა. ონილმა ორივე ფარზე ივარგა, შეტევაში 32 ქულა გააიხერხა, დაცვაში კი მეურვე დივაცს მხოლოდ 4 ქულა ჩააგდებინა. „საკრამენტო" იმ დღეს არწივის კლანჭებში მოქცეულ უმწეო ბარტყს ჰგავდა. ერთადერთი, ვინაც სტუმართაგან რიგიანად ითამაშა, მათი ლიდერი კრის ვებერია, თუმც არც იგი ბრწყინავდა.



ლეიკერსი — საკრამენტო. ლეიკერსელმა შაკილ ონილმა ვლადე დივაცს ჩაუტენა

პლეი ოფი. მეორე წრე (ოთხ მოგებამდე)



მაიამი — ნიუ იორკი. მაიამელ ალონზო მურნინგს (მარცხნივ) პატრიკ იუინგი უშლის ხელს

# აივერსონმა მსაჯს დაარტყა

## დასავლეთი

7 მაისი

| | |
|---|---|
| ლეიკერსი | 1 |
| ფინიქსი | 0 |

**ლეიკერსი 105:77 ფინიქსი**

ლეიკერსი: ონილი (37 ქულა, 14 მოხსნა), ბრაიანტი (25)

ფინიქსი: ჰარდევეი (25), რობინსონი (13)

საჩემპიონოდ გამზადებულმა „ლეიკერსმა" პარასკევს ჯერ „საკრამენტო" მოინელა, ორი დღის შემდეგ, კვირას, კი „ფინიქსსაც" შავი დღე აყარა. კვლავ მთელი თავისი ბრწყინვალებით წარმოჩნდა რეგულარული სეზონის ბომბარდირი და სეზონის უძვირფასესი მოთამაშის ტიტულის უპირველესი კანდიდატი შაკილ ონილი.

„ფინიქსს" ხეირიანი ცენტრი ფაქტობრივად არ ჰყავს და 216-სანტიმეტრიანი და 145-კილოგრამიანი გიგანტის, ონილის გაჩერება სტუმართაგან მასზე რვა სანტიმეტრით დაბალ და 35 კილოგრამით მსუბუქ კლიფ რობინსონს დაევალა. რობინსონი პირველ წრეში ჩემპიონ „სან ანტონიოს" ცენტრს, მოგვარე დევიდ რობინსონს არც თუ ურიგოდ მეურვეობდა, მაგრამ ონილის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო. ონილმა პირველივე ნახევარში ოთხი პერსონალური აჰკიდა მეურვეს, მესამე მეოთხედში მეხუთეც მიაყოლა და იგი შეუმჩნეველი გახდა. „შაკილი ძლიერი მოთამაშეა, ერთი კაცისთვის მისი გაჩერება ერთობ ძნელი საქმეა, თითქმის შეუძლებელი. თუ რაიმე არ ვიღონეთ და რაღაც განსაკუთრებული არ დავუპირისპირეთ, გაგვიჭირდება მის წინააღმდეგ ბრძოლა" — „ფინიქსის" მთავარმა მწვრთნელმა სკოტ სკაილზმა, ცხადია, მშვენივრად იცის, ვისთან აქვთ საქმე მის შეგირდებს და მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებს.

„ლეიკერსს" თავდაპირველად გაუჭირდა, ტაიმი მხოლოდ ხუთი ქულით მოიგო, მაგრამ მეორე ნახევარში თამაში გამოასწორა და მეტოქეს შანსი აღარ დაუტოვა. „პირველ ტაიმში ბიჭები ოდნავ დაღლილები მეჩვენნენ „საკრამენტოსთან" ბრძოლის შემდეგ, მეორეში კი ენერგიულად ათამაშდნენ და ყველა პრობლემა თავისთავად მოიხსნა. ეს სულაც არ იყო იოლი გამარჯვება. „ფინიქსი" მებრძოლი გუნდია და თუ მთელი ძალით არ ვითამაშებთ, მიზანს ვერ მივაღწევთ" — „ლეიკერსის" თავკაცი ფილ ჯექსონი რეალურად აფასებს მოწინააღმდეგის ძალას.

7 მაისი

| | |
|---|---|
| პორტლენდი | 1 |
| იუტა | 0 |

**პორტლენდი 94:75 იუტა**

პორტლენდი: პიპენი (20), სტუდემაიერი (14), საბონისი (13 ქულა, 14 მოხსნა)

იუტა: მელოუნი (22)

„სიეტლის" მძლეველი „იუტა ჯაზი" წლეულსაც ჩემპიონობისთვის იბრძვის, მაგრამ მან ჯერ ის ბარიერი უნდა გადალახოს, რომელსაც „პორტლენდი" ჰქვია, ამ საქმეს კი ჯერჯერობით მისთვის ცუდი პირი უჩანს. ეტყობა, ლეიკერსისგან" განსხვავებით, „იუტას" არ ეყო ერთდღიანი დასვენება, ამ გუნდში ხომ უფრო ასაკოვანი ხალხი თამაშობს. მატჩის შემდეგ აღშფოთებას ვერ მალავდა თავისი ემოციურობით ცნობილი „იუტას" მწვრთნელი ჯერი სლოუნი — „ახლავე გეტყვით, ჩემი ბიჭები აქ სათამაშოდ არ მოსულან. ჩვენ არ გვითამაშია, უბრალოდ, დავაფიქსირეთ ჩვენი აქ ყოფნა. თამაშების განრიგი ისეა შედგენილი, რომ შეხვედრებს შორის რაც შეიძლება, ნაკლები შუალედი იყოს. ბიჭებმა მხოლოდ 24 საათი დაისვენეს, მაგრამ ეს ვის აღელვებს? კალენდრის შემდგენლებს კალათბურთი სიცოცხლეში არ უთამაშიათ და სულ არ აინტერესებთ, რა მდგომარეობაშია გუნდი დაძაბული სერიის შემდეგ. ისინი მხოლოდ იმას ცდილობენ, თამაშის ტრანსლაციის უფლება რაც შეიძლება სარფიანად გაყიდონ". ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ხშირად ვერ გაიგონებთ ლიგის ხელმძღვანელობის კრიტიკას.

არადა, „ჯაზს" თავიდან დაღლისა არაფერი ეტყობოდა. გუნდი თამაშობდა, როგორც შეეძლო, მესამე მეოთხედის შემდეგ სულ ოთხი ქულით ჩამორჩებოდა „პორტლენდს". გარდატეხა სწორედ ბოლო მეოთხედში მოხდა — ივაჟკაცა მასპინძელმა სკოტი პიპენმა, რომელმაც შეხვედრის ბოლო ცხრა წუთში ცხრა ქულა მიითვალა და „ბლეიზერსს" მატჩის საკმაოდ დიდი ანგარიშით მოგებაში წაეშველა.

## აღმოსავლეთი

6 მაისი

| | |
|---|---|
| ინდიანა | 1 |
| ფილადელფია | 0 |

**ინდიანა 108:91 ფილადელფია**

ინდიანა: მილერი (40), როუზი (40)

ფილადელფია: აივერსონი (28), ჰილი (20)

პირველ წრეში „მილუოკისთან" ხანგრძლივი ჯაჯგურის შემდეგ „ინდიანამ" საკმაოდ იოლად იზეიმა „ფილადელფიაზე" პირველი გამარჯვება, რაშიც რეჯი მილერისა და ჯალენ როუზის 40-40 ქულა და ფილადელფიას ლიდერ ალენ აივერსონის ტექნიკურები დაეხმარა.

ეს გუნდები ერთმანეთს პლეი ოფში ზედიზედ მეორედ შეხვდნენ. ერთი წლის წინ „ინდიანამ" საკმაოდ იოლად მოუგო „ფილადელფიას" და აი, ახლაც ლარი ბერდის ბიჭებს ბევრი პრობლემები არ გასჩენიათ ლარი ბრაუნის მოწაფეებთან. სხვათა შორის, ლარი ბრაუნს ამ სამი წლის წინ ლარი ბერდის ადგილი ეკავა. შეუდარებელნი იყვნენ მასპინძლები — მილერი და როუზი. ამ უკანასკნელმა გარღვევებით აიკლო სტუმართა დაცვა, მილერმა კი, რომელსაც ნბა-ს ისტორიაში ყველაზე მეტი სამქულიანი ჩაუგდია, გაიხსენა, რომ ეს მშვენივრად ეხერხება და შორი მანძილიდან ზუსტი სროლებით დასეტყვა „ფილადელფიას" კალათი. მილერმა იმ დღეს სულ შვიდი სამქულიანი ჩააგდო, ოთხით მეტი, ვიდრე მთლიანად „ფილადელფიამ". ამ ორს ფარისკენ მწვანე შუქი ანთებული ჰქონდა და „ინდიანას" რაღა გაუჭირდებოდა. მასპინძლებმა უკვე პირველი მეოთხედი მოიგეს კატასტროფული სხვაობით — 34:15, რის შემდეგაც თავი დაიარხეინეს. აივერსონის მონდომებით „სიქსერზმა" სხვაობა ცხრა ქულამდე კი შეამცირა, მაგრამ მასპინძლებმა რომ შეატყვეს, მეტოქე სახიფათოდ მოგვიახლოვდაო, თვალის დახამხამებაში გაზარდეს სხვაობა.

„ფილადელფია" აივერსონმა დაალალატა, რომელმაც კარგად კი ითამაშა, მაგრამ მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე თავი ვერ მოთოკა, მსაჯზე გაიწია და სანამ თანაგუნდელები შეაჩერებდნენ, ერთი დარტყმაც მოასწრო. აივერსონი, რაღა თქმა უნდა, თამაშიდან გააგდეს. ახლა ფილადელფიაში ის აფიქრებთ, აივერსონს ერთთამაშიანი დისკვალიფიკაცია არ მისცენ.

7 მაისი

| | |
|---|---|
| მაიამი | 1 |
| ნიუ იორკი | 0 |

**მაიამი 87:83 ნიუ იორკი**

მაიამი: მურნინგი (21), მაშბურნი (21)

ნიუ იორკი: ჰიუსტონი (21), იუინგი (17)

როგორც მოსალოდნელი იყო, მეორე წრის შეხვედრებიდან ყველაზე დაძაბული „მაიამისა" და „ნიუ იორკის" ბრძოლა გამოდგა. ეს გუნდები ზედიზედ მეოთხე წელია, პლეი ოფში მეტოქეები არიან, საკმარისი საბაბიც აქვთ, ერთმანეთი სძულდეთ და ამას ხშირად არც მალავენ.

თამაშში ვერც ერთმა გუნდმა ვერ მიაღწია მნიშვნელოვან უპირატესობას, ლიდერიც რამდენჯერმე შეიცვალა. თვალს ხიბლავდა ორი ცენტრის — მასპინძელი ალონზო მურნინგისა და სტუმარი პატრიკ იუინგის ჭიდილი. ორივე ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის აღზრდილია და ეს მათ პაექრობისთვის დამატებით სტიმულს აძლევს. ამჯერად უფრო ახალგაზრდა მურნინგმა იმარჯვა და აჯობა ხნიერ, ათასგვარი ტრავმით დატანჯულ იუინგს.

„მაიამის" ძირითადი გამთამაშებელი ტიმ ჰარდევეი დაუბრუნდა, რომელმაც ტრავმა მოიშუშა და ახლა გუნდს მნიშვნელოვნად გააძლიერებს. ისე კი, ჰარდევეის არცთუ რიგიანი დებიუტი გამოუვიდა, სულ ექვს ქულას და შვიდ პასს დასჯერდა.

ირაკლი ფირუზაშვილი

— წყალბურთი —

# საქართველომ და რუმინეთმა ლიტვა ჩაქირეს

ამ უქმეებზე „ლაგუნა-ვერეზე“ ვიხილეთ ის, რასაც თითქმის გადავეჩვიეთ — ქართველთა გამარჯვება. წყალბურთელთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა თანატოლთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ორივე მატჩი მოიგო. შაბათს ჩვენებურებმა ლიტველები გაანადგურეს — 18:1, კვირას კი უშელავათო ბრძოლაში რუმინელებიც დაამარცხეს 8:6. ამით ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს და ფინალურ ეტაპზეც გავიდნენ.

ლიტველებთან შეხვედრა ქართველთათვის პრინციპული იყო — თუ მოიგებდნენ, რუმინელებთან დარჩენილი თამაშის მიუხედავად ჯგუფში მეორეობას და ფინალურ ეტაპზე გასვლას დაიბევებდნენ.

ლიტველები რომ დიდ ძალას არ წარმოადგენდნენ, ეს მათმა რუმინელებთან შეხვედრამაც დაადასტურა. ჩვენსავით უფულოებს, მატარებლის, თვითმფრინავისა და ავტობუსის მონაცვლეობით დიდი წვალებით ჩამოუღწევიათ აქამდე და შედარებით იაფფასიან სასტუმროში დაბინავდნენ. მწვრთნელს ცხრა მოთამაშე ძლივს მოუგროვებია და სათადარიგოთა სკამზე სულ ორი წყალბურთელი ეჯდა, თუმცა აქ მარტო სიღარიბე არაფერ შუაშია. თურმე ნუ იტყვით და მშობლებს შვილები თბილისში არ გამოუშვიათ. საქართველო, კავკასია, ჩეჩნეთი... იქ ყველგან ომია და დასაკარგავად არ გვემეტებითო, უთქვამთ. ლიტველებმა თამაშით ვერა, მაგრამ უხეშობით კი დაგვამახსოვრეს თავი. ერთი სიტყვით, ქართველებს ბალტიისპირელების დამარცხება არ გასჭირვებიათ — 18:1. ასე უსახელოდ დაგვემშვიდობნენ ლიტველები, თუმცა სამშობლოში ჩასულები ამბავს მაინც ჩაიტანენ — საქართველოში სტუმრობა საშიში აღარ არისო.

პირველ მატჩში დიდი ანგარიშით გამარჯვებამ ყველა კი გაახარა, მაგრამ მეტოქის სისუსტის გამო ეიფორიას არავინ მისცემია. რუმინელებთან თამაშმა თითქოს დამატებითი ინტრიგაც შეიძინა. ქართველთა მწვრთნელმა ბორის მეგედმა თქვა, ორივე გუნდი თანაბარძალოვანია და ჩვენებს მოგება შეუძლიათო, თუმცა იმაშიც დაგვეთანხმა, რომ საქართველოს ნაკრებმა მთლად შთამბეჭდავი თამაში ვერ აჩვენა. როგორც მატჩმა დაგვანახა, ეს მწვრთნელთა ტაქტიკური სვლა იყო — მეტოქეს ძლიერი მხარე დაუმალეს.

რუმინელებმა მასპინძლებზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას მიმართეს — მშობლიურ ენაზე, „საქართველოს გაუმარჯოს“ მაგვარი რაღაც დააგუგუნეს, რაც ლიტველებთან არ გაუკეთებიათ, მერე კი სადავო ბურთისთვის პირველი გაცურვაც მოგვიგეს. მატჩის დასაწყისი დაძაბულ, თუმცა უშედეგო ორთაბრძოლაში გაილია, რომლის დროსაც ქართველებმა ერთხელ ძელიც შეაწუხეს. ბოლოს, როგორც იქნა, გიორგი მაზიაშვილის გოლით დავწინაურდით. მან იმ დღეს სამი ბურთი გაიტანა და ერთ-ერთი საუკეთესო იყო. კარგა ხნის მერე ოგანეზოვმა შორიდან მეორე შეაგდო, რასაც პერიოდის დამთავრებამდე 30 წამით ადრე ისევ მაზიაშვილმა შორეული დარტყმა მოაყოლა — 3:0. 15 წამში მასპინძლებს ისევ შეეძლოთ გატანა, მაგრამ ლამის საკუთარი კარიდან ნასროლი ბურთი წყალმა აისხლიტა და ოდნავ ასცდა კარს. ეს იყო ერთადერთი პერიოდი, რომელიც ჩვენებმა მოიგეს. მეორე ფრედ — 3:3 დამთავრდა, მესამე 1:2 წავაგეთ, მეოთხეში კი ისევ ფრე — 1:1.

მეორე პერიოდი დრამატულად წარიმართა. ჯერ ოგანეზოვმა გაიტანა (4:0), მაგრამ მალე მეკარე არაზაშვილი და მაზიაშვილი გააგდეს. გულმოცემულმა რუმინელებმა მთელი ძალით შეუტიეს, თუმცა სამ ქართველს ვერაფერი დააკლეს. მალე კალინ ტარტეას ზედიზედ ორი გოლი გააქვს და ანგარიში 2:4 ხდება. ქართველებმა მრავალსვლიან კომბინაციებს უხშირეს და როინ ცაგარელმა და ჯაფარიძემ ორიც გაიტანეს. მაგრამ დაცვაში შეცდნენ — უმეთვალყურეოდ მიტოვებული რუმინელი არაზაშვილთან პირისპირ გავიდა. თავზეც გადაუგდო ბურთი, მაგრამ ააცილა. მერე ცაგარელმა ხელუკულმა ლამაზადაც ტყორცნა, მაგრამ უზუსტოდ. წამოღებული ბურთი კი სტუმრებმა გაიტანეს და საერთო ანგარიში 6:3-ია.

მესამე პერიოდის დასაწყისში ვიხილეთ ორწუთიანი მონაკვეთი, რომელმაც მთელი მატჩი დაამშვენა. ჯერ ოგანეზოვმა შენიშნა, რომ სტუმართა მეკარე წინ გამოსულიყო და ცენტრიდან ტყვიასავით გაისროლა, ბურთი კარის მარცხენა ზედა კუთხეს მოხვდა. რამდენიმე წამიც და მასპინძლებმა ბურთი წაართვეს სტუმრებს, თან ისევ მარცხნიდან დაძრულ მაზიაშვილს გადაუგდეს, მანაც ტყორცნა, მაგრამ იგივე კუთხე აისხლიტა, თუმცა დამატებაზე გიორგი იბრძოლა და 7:3. ამ პერიოდიდან მოყოლებული რუმინელები თანდათან გააქტიურდნენ — ჯერ თამაში გაათანაბრეს, მერე კი დროდადრო (განსაკუთრებით ბოლო პერიოდში) ბურთსაც გვიმალავდნენ. ამის დასტურია ისიც, რომ ანგარიში 7:5-მდე შეამცირეს.

ამ გადამწყვეტ მომენტში მეკარე არაზაშვილმა კარიდან ყოვლად გაუმართლებელი და რისკიანი შორს გასვლებით გვარიანად ანერვიულა მრავალრიცხოვანი მაყურებელი. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ვეტერანი წყალბურთელები სახელოვან მეკარეს — მიხეილ გიორგაძეს ეუბნებოდნენ, იქნებ შენ დაგიჯეროს, უთხარი, კარში ჩადგესო. გიორგიმ ორივე მატჩი ძალიან კარგად ჩაატარა, მაგრამ მსგავსი რისკიანობისთვის ჩვენს კარში გასული ერთი-ორი გოლის გამო მისი სინდისიც შეიძლება შევაწუხოთ.

... ბოლოს ჯაფარიძემ გაგვახარა ლამაზი გოლით — მეკარესთან პირისპირ დარჩენილი ჯერ თითქოს დაიბნა, მაგრამ მერე იცუღლუტა და ბოკას კარიდან გამოტყუება სცადა. სტუმარი ამ ანკესზე არ წამოეგო, მაგრამ დარტყმულს წინ ვერ აღუდგა. ეს გოლი სამირო გეორგიესკუმ სწრაფად გაქვითა. მატჩის დამთავრებამდე რვა წამით ადრე მაზიაშვილმა ისევ ძელს გაარტყა და სტუმართა მწვრთნელმაც წუთშესვენება ითხოვა. თამაშის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო და რისი იმედი ჰქონდა რუმინელთა დამრიგებელს, გაუგებარია. დარჩენილი წამები კი არაზაშვილმა თავის ბენეფისად აქცია. მან ჯერ ორიოდე მეტრიდან ლამის პირისპირ გასული მეტოქის უძლიერესი დარტყმა მოიგერია, მერე თავგამოდებით იბრძოლა და ბურთიც შეინარჩუნა. სწორედ ამ უშელავათო ჭიდილში მოუსწრო მსაჯის საფინალო სასტვენმა. ეს იყო და ჯერ კიდევ შემორჩენილი ენერგია ურთიერთმილოცვებსა და „საქართველოს გაუმარჯოს“ ძახილში გალიეს. მერე ბიჭები ხმელეთზე ამოხტნენ და მძაფრი პროტესტის მიუხედავად მწვრთნელებს, სოსო მაისურაძესა და ბორის მეგედს ტანსაცმლიანად წყალში გადაუძახეს. დროული იყო — რაც მათ ილელვეს, გაგრილება მართლაც არ აწყენდათ!

**ირაკლი თავაძ[e]**



ქართველები გამუდმებით უტევდნენ, ლიტველები თავს იცავდნენ



ქართველთაგან ერთ-ერთი საუკეთესო გიორგი მაზიაშვილი იყო

[illegible] ფოტოები



გახარებულმა შეგირდებმა მწვრთნელი სოსო მაისურაძე, ტრადიციისამებრ, „აჭყუმპალავეს“

— რაგბი —

# ბათუმში რუსები აღორძინდნენ

კვირას ბათუმში, ოთხთა საერთაშორისო ტურნირის — „ბათუმი 2000-აღორძინების“ ფინალში ერთმანეთს თბილისის „ლოკომოტივი“ და კრასნოიარსკის „სიბტიაჟმაში“ დაუპირისპირდნენ.

„დინამოს“ სტადიონზე შეკრებილი მაყურებელი დაძაბული და უშელავათო ბრძოლის მოლოდინში იყო. რკინიგზელთა გულშემატკივრები ელოდნენ, რომ ბათუმელთა ძლევის მერე თბილისელები „ციმბირულ დათვებსაც“ მოერეოდნენ, მაგრამ...

ყველაფერი პირიქით მოხდა. კრასნოიარსკელთა უპირატესობა აშკარა იყო. რუსებმა მეტოქე 19:3 დაამარცხეს. ბიკოვმა ორი ლელო მიითვალა, მას მხარი კარგად აუბა კარაბელნიკოვმა, რომელმაც სამი საჯარიმო დარტყმა შეასრულა და საბოლოო ჯამში 22 ქულით (2 გარდასახვა, 2 არეკნი და 3 საჯარიმო) ტურნირის ბომბარდირობა დაისაკუთრა. ქართველმა მორაგბეებმა ძნელაძის შესრულებული საჯარიმოს წყალობით მხოლოდ 3 ქულა მოიპოვეს, თუმცა იგივე ძნელაძემ რამდენიმე დარტყმა გააცუდა. ასე იყო თუ ისე, ციმბირელებმა ეს შეხვედრა და შესაბამისად ტურნირიც დამსახურებულად მოიგეს.

ერთი დღით ადრე კი იმავე სტადიონზე მესამე ადგილისთვის შეერკინენ ერთმანეთს „დათვები“ და „ყორჩები“. მასპინძლებმა სტუმრებს მხოლოდ ორი ქულით 19:17 სძლიეს. ბათუმელთა 3 ლელოს (ღლონტი, გურეშიძე, მაჩიტაძე) და 2 გარდასახვას (ე. ძაგნიძე) თბილისელებმა 2 ლელოთი (ხეხელაშვილი, ურუშაძე) და 1 გარდასახვით (ტყეშელაშვილი) უპასუხეს.

დაბოლოს, ყველაზე მთავარი. ბათუმში იმყოფებოდნენ საქართველოს რაგბის კავშირის თავკაცები და IRB-ს (რაგბის მსოფლიო საბჭო) წარმომადგენლები, რომლებმაც მაღალი შეფასება მისცეს ტურნირს, მეტიც, როგორც IRB-ს წარმომადგენლებმა განაცხადეს, ისინი განცვიფრებულნი არიან ამ შეჯიბრების ორგანიზაციული დონით და მომავალი წლიდან ტურნირს ამ ორგანიზაციის ეგიდით გასამართ საერთაშორისო ტურნირთა ოფიციალურ კალენდარში ჩართავენ. მას შავი ზღვის ქვეყნების საერთაშორისო ტურნირი ეწოდება და ყოველი წლის მაისის პირველ კვირაში გაიმართება.

**ზაზა ბენიძ[e]**



ელგუჯა ფხაკაძე ბათუმიდან

კრასნოიარსკელებმა თბილისელებს აუტებშიც აჯობეს

### ბათუმი 2000-აღორძინება

4 მაისი

**დათვები — ლოკომოტივი 11:14**

დათვები: ლ — ხონელიძე, 2ა — ნ. ძაგნიძე

ლოკომოტივი: ლ — აბაშიძე, 3ს — ანდღულაძე

**ყორჩები — სიბტიაჟმაში 19:33**

ყორჩები: 3ლ — ცხვედიანი (2), პეტრიაშვილი, 2გ — ტეფნაძე

სიბტიაჟმაში: 4ლ — გრაჩოვი (3), გარანინი, 2გ და 3ა — კარაბელნიკოვი

მესამე ადგილისთვის

6 მაისი

**დათვები — ყორჩები 19:17**

დათვები: 3ლ — ღლონტი, გურეშიძე, მაჩიტიძე, 2გ — ე. ძაგნიძე

ყორჩები: 2ლ — ხეხელაშვილი, ურუშაძე, 2გ და 1ს — ტყეშელაშვილი

ფინალი

7მაისი

**ლოკომოტივი — სიბტიაჟმაში 3:19**

ლოკომოტივი: 1ს — ძნელაძე

სიბტიაჟმაში: 2ლ — ბიკოვი, 3ს — კარაბელნიკოვი

# ჰაკინენმა შუმახერს გაუსწრო და სტიუარტს დაეწია




მიკამ და მისმა ქომაგებმა წლეულს პირველად გაიხარეს

მას შემდეგ, რაც წლევანდელი ჩემპიონატის სტარტზე მიხაელ შუმახერმა ზედიზედ სამი ეტაპი მოიგო, ბევრმა საქმე მოთავებულად ჩათვალა, მაგრამ ბოლო ორ რბოლაში მიკა ჰაკინენისა და დევიდ კულჰარდის „მაკლარენები“ ისე ხმამაღლა ალმუვლდნენ, რომ ვითარება სატურნირო ცხრილში საკმაოდ დაიძაბა, თუმც შუმი მაინც ინარჩუნებს თვალსაჩინო უპირატესობას.

ბარსელონიდან 30-ოდე კილომეტრის მოშორებით მონტმელოს (რაც „საზამთროს“ ნიშნავს) მთაზე ათი წლის წინ აგებული ავტოდრომი დღესაც ერთ-ერთი საუკეთესოა. კვირას იქ ესპანეთის მორიგი დიდი პრიზის გათამაშება ორმაგად საიუბილეო იყო: 30-ე საერთოდ და მე-10 „კატალუნიაზე“.

კატალონიაში კულჰარდის მეორედ მოსვლა შედგა — პირველად ექვსი წლის წინ, როცა შოტლანდიელმა თავის სადებიუტო რბოლაში „უილიამსის“ საჭესთან შეცვალა „იმოლაზე“ დაღუპული აირტონ სენა, მეორედ კი გუშინწინ, საშინელ ავიაკატასტროფაში სასწაულად გადარჩენის შემდეგ. ასე რომ, ქუდბედიანი შოტლანდიელისთვის ესპანური ეტაპი ორმაგად საიუბილეო თუ არა, ისტორიული მაინც გახდა. დევიდს გადატანილი ფსიქოლოგიური შოკისა არაფერი ეტყობოდა, ჩინებულად წარმართა რბოლა და მშვენიერ შედეგსაც მიაღწია, თუმცა, დაშავებული ნეკნები ჯერაც საგრძნობლად სტკივა.

ჯერ კვალიფიკაციაზე ვთქვათ. შაბათს სენსაციური არაფერი მომხდარა. ბოლოცე წუთისთვის ლიდერთაგან პირველი ჰაკინენი გამოვიდა და, ცხადია, უსწრაფესი წრეც აჩვენა. იქვე შუმიმ ორჯერ მიიტანა იერიში, მაგრამ მიკას შედეგის გაუმჯობესება ვერ შეძლო. თუმცა ოციოდე წუთის მერე, დაბრუნდა თუ არა ტრასაზე, პირველივე წრე მაქალი სიჩქარით, უშეცდომოდ გაიარა და ოთხი მეათედი წამით უკეთესი დროც აჩვენა. ახლა ჯერი ჩემპიონზე მიდგა — მანაც ორჯერ შეუტია გერმანელის მაჩვენებელს, მაგრამ ძვრაც ვერ უყო და საბოლოოდ მეორე სასტარტო პოზიციას დასჯერდა. შუმახერისთვის ეს კარიერაში 24-ე პოულია (წლეულს პირველია), რითაც ერთი თვის წინ დაწინაურებულ ჰაკინენს გაუთანაბრდა.

კვალიფიკაცია თავისთვის საუკეთესო, მეცხრე შედეგით დაასრულა მასპინძელმა პედრო დელა როსამ, მაგრამ საწვავის სინჯში გადახრა უპოვეს, რის გამოც ყველაზე უკან, 22-ე პოზიციიდან მოუხდა სტარტის აღება. მაგრამ კატალონიელ გულშემატკივართა კერპის უბედურება ამით არ ამოიწურა, ტრასაზე პედრომ ორიოდე წუთიც ვერ გაძლო — ჟან ალეზის „პროსტთან“ შეჯახების შემდეგ ორივემ მაყურებლებში გადაინაცვლა. ჟანსაც არ გაუმართლა. 35 წლის ვეტერანისთვის ეს 172-ე ეტაპი გახლდათ. მართალია, ეს რიცხვი მრგვალი თარიღისგან შორსაა, მაგრამ ფრანგი პილოტისთვის მეტად მნიშვნელოვანია — ამ შედეგით ალეზი ყველაზე უხვრბოლიანთა ათეულში შევიდა.

ასპარეზობა ლიდერისთვის ნორმალურად კი დაიწყო, მაგრამ შუმიმ იმის ნაცვლად რომ, ცარიელ ტრასაზე უსწრაფესად გაექუსლა, მარჯვნივ, მიკასკენ გაიწია, თუმც ვერაფერი დააკლო. ისე, ვერც ფინელმა იყოჩაღა გასასწრებად. ცუდი სტარტი ჰქონდა ბარიკელოს — ადგილზე მისი „ფერარის“ ოდნავ შეყოვნებაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ რალფ შუმახერსა და კულჰარდს გაესწროთ.

პირველ წრეზე გამოკვეთილი ლიდერთა ექვსეული — მიხაელ შუმახერი, ჰაკინენი, რალფ შუმახერი, კულჰარდი, ბარიკელო და ჟაკ ვილნევი თითქმის 100 კმ უცვლელად დაქროდა.

შუმის უპირატესობა მიკასთან 2-3 წამს არ ასცილებია, დანარჩენებთან სხვაობა კი ყოველ წრეზე იზრდებოდა და მალე ვილნევთან თითქმის ნახევარ წუთს მიაღწია.

ჰაკინენის ჩამორჩენა, ცხადია, არც კატასტროფული იყო, მაგრამ არც ისეთი, გასასწრებად იერიშის მიტანა შესაძლებოდა.

ზოგ მრბოლს ორი, ზოგსაც სამი პიტ-სტოპის ტაქტიკა ჰქონია არჩეული და ბევრი რამ სწორედ ბოქსებში მოფუსფუსეთა უნარზე იყო დამოკიდებული. ექვსეულში პირველი ცვლილება 21-ე წრეზე მოხდა, როცა ვილნევმა საწვავის ჩამატებაზე 8,7 წამი დაკარგა და ადგილი ჰაინც-ჰარალდ ფრენცენს „დაუთმო“.

სამი წრის შემდეგ მიხაელი და კულჰარდი შევიდნენ ერთდროულად. დევიდი საკმაო ხანს 11,5 წამით შეყოვნდა, რადგან სიჩქარის გადართვისას შეცდომა დაუშვა. შუმის კი მართალია, ოთხი წამით მალე ჩაუსხეს ბენზინი, მაგრამ მანქანის წინ მდგომმა მექანიკოსმა ადრე მისცა დაძვრის ნიშანი და „ფერარის“ უკანა ფრთა და ბორბალი წამოედო ერთ-ერთ მათგანს, რომელმაც განზე გაწევა ვერ მოასწრო. დაზარალებული მაშინვე საკაცით გააქანეს კლინიკაში, სადაც მყესების სერიოზული დაზიანება დაუდგინეს.

ორიოდე წრის შემდეგ ჰაკინენიც თითქმის იმდენივე ხნით შეფერხდა, რამდენითაც უმთავრესი კონკურენტი, ასე რომ, ბოქსებში მანიპულაციამ საერთო სიტუაციას ვერაფერი დააკლო — მიხაელი წამნახევრით უსწრებდა მიკას. მართალია, ჩემპიონმა ახალი საბურავებით საუკეთესო წრეც აჩვენა — 1.24.470 და ჩამორჩენაც მინიმუმამდე დაიყვანა, მაგრამ გასასწრებად ერთხელაც არ მიუტანია იერიში.

რბოლის ბედი პრაქტიკულად შუმახერისა და ჰაკინენის ბოქსებში მეორედ, ერთდროულად შესვლის შემდეგ გადაწყდა. პირველი ინციდენტის გამო „ფერარის“ ჯერაც დაბნეულმა მექანიკოსებმა ვერ იყოჩაღეს და კატასტროფულად დიდი ხნის — 17,5 წამის მერე გაისტუმრეს ლიდერი ტრასაზე (მიკა 6,4 წამში), პირველი პიტ-სტოპისას დაზიანებული ავზის ხუფის მიზეზით. ფინელის უპირატესობა კი წრიდან წრემდე იზრდებოდა. რაკი შუმის საბურავის პრობლემაც შეექმნა, საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ სტარტ-ფინიშის უგრძესი და უსწრაფესი სწორის ბოლოში შუმის ადვილად გაასწრო კულჰარდმა, ხოლო ორიოდე წრის შემდეგ ერთბაშად ორმა „მტერმა“ — ღვიძლმა ძმამ და თანაგუნდელმა ჩამოიტოვა უკან. მალე მიხაელი მესამედ შევიდა ბოქსებში, მაგრამ ამას სასიკეთო შედეგი არ მოჰყოლია და ისლა შეძლო რომ მეხუთე ადგილი და ორი ქულა მაინც შეინარჩუნა.

თითქმის ბოლომდე ყოჩაღად, მეექვსე პოზიციაზე მიდიოდა დებიუტანტი ჯენსონ ბატონი, მაგრამ ფინიშამდე სულ რაღაც ათიოდე კილომეტრით ადრე ძრავა აუბოლდა და იმ კინკილა ქულასაც გამოეთხოვა.

გამარჯვებულ ჰაკინენს ფინიშზე ფინეთის დროშების ტყე მიესალმა. წლეულს ეს მისი პირველი დიდი პრიზია (მე-15 კარიერაში), ამიტომაც პოდიუმზე ბავშვივით ისე გაიხარა, რომ თასი კინაღამ იქვე დარჩა. მიკამ ზედიზედ მესამედ იმარჯვა ესპანეთში, რითაც ლეგენდარული ბრიტანელის, სამგზის ჩემპიონ ჯეკი სტიუარტის 30 წლის წინანდელი მიღწევა გაიმეორა. ფინელ მრბოლს ჯამში 316 ქულა დაუგროვდა და ყველა დროის საუკეთესოთა ათეულშიც შედგა ფეხი. „მაკლარენმა“ ზედიზედ მეორე დუბლით (წინა რბოლაში „სილვერსტოუნზე“, ვერცხლის ქვას რომ ნიშნავს, ჰაკინენმა და კულჰარდმა ადგილები გაცვალეს), კიდევ ათი ქულით შეამცირა „ფერარისთან“ ჩამორჩენა და აღარც პირად ჩათვლაში მიკასთან შუმის უპირატესობა ჩანს წინანდელივით დაუძლეველი.

საბედნიეროდ, რბოლამ უმსხვერპლოდ, ანუ უავარიაოდ ჩაიარა, თუ არ ჩავთვლით „ფერარის“ იმ ინგლისელ მექანიკოსს, რომელიც პრიზიორთა დაჯილდოებისას გამოჩნდა ავტოდრომზე თაბაშირში ჩასმული ფეხით.

**ირაკლი ნიკოლაძე**

## რბოლის შედეგები

### ესპანეთის დიდი პრიზი

7 მაისი. კატალუნია

დისტანცია — 65 წრე — 307.323 კმ

1. *ჰაკინენი* (მაკლარენი) 1:33.55,390 (196,324 კმ/სთ) 10 ქულა
2. *კულჰარდი* (მაკლარენი) ჩამორჩა 16,066 — 6 ქულა
3. *ბარიკელო* (ფერარი) 29,112 — 4 ქულა
4. *რ. შუმახერი* (უილიამსი) 37,311 — 3 ქულა
5. *მ. შუმახერი* (ფერარი) 47,983 — 2 ქულა
6. *ფრენცენი* (ჯორდანი) 81,925 — 1 ქულა
7. *სალო* (ზაუბერი) 1 წრით
8. *ზონტა* (BAR) 1 წრით
9. *ფიზიკელა* (ბენეტონი) 1 წრით
10. *ვურცი* (ბენეტონი) 1 წრით
11. *ირვინი* (იაგუარი) 1 წრით
12. *ტრული* (ჯორდანი) 1 წრით
13. *ჰერბერტი* (იაგუარი) 1 წრით
14. *ჟენე* (მინარდი) 2 წრით
15. *მაცაკანე* (მინარდი) 2 წრით
16. *ჰაიდფელდი* (პროსტი) 3 წრით
17. *ბატონი* (უილიამსი) 4 წრით

### საუკეთესო წრე

*ჰაკინენი* 1.24,470

### რბოლას გამოეთიშნენ

| | |
|---|---|
| *ვერსტაპენი* (ეროუსი) | გაიარა 25 წრე |
| *ვილნევი* (BAR) | 21 |
| *დე ლა როსა* (ეროუსი) | 1 |
| *ალეზი* (პროსტი) | 1 |
| *დინიცი* (ზაუბერი) | 1 |

## სტარტზე განლაგება

21 მაცაკანე მინარდი 1.24,257
20 ჟენე მინარდი 1.23,486
15 ჰაიდფელდი პროსტი 1.23,033
12 ვურცი ბენეტონი 1.23,010
14 ალეზი პროსტი 1.22,894
23 ზონტა BAR 1.22,882
16 დინიცი ზაუბერი 1.22,841
8 ჰერბერტი იაგუარი 1.22,781
11 ფიზიკელა ბენეტონი 1.22,569
17 სალო ზაუბერი 1.22,443
18 ვერსტაპენი ეროუსი 1.22,421
10 ბატონი უილიამსი 1.22,385
7 ირვინი იაგუარი 1.22,370
19 დე ლა როსა ეროუსი 1.22,185
5 ფრენცენი ჯორდანი 1.22,135
6 ტრული ჯორდანი 1.22,006
22 ვილნევი BAR 1.21,963
9 რ. შუმახერი უილიამსი 1.21,605
2 კულჰარდი მაკლარენი 1.21,422
4 ბარიკელო ფერარი 1.21,416
1 ჰაკინენი მაკლარენი 1.21,052
3 მ. შუმახერი ფერარი 1.20,974

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | ავსტრალია 12.03.00 | ბრაზილია 26.03.00 | სან-მარინო 9.04.00 | დ.ბრიტანეთი 23.04.00 | ესპანეთი 7.05.00 | ევროპა 21.05.00 | მონაკო 4.06.00 | კანადა 18.06.00 | საფრანგეთი 2.07.00 | ავსტრია 16.07.00 | გერმანია 30.07.00 | უნგრეთი 13.08.00 | ბელგია 27.08.00 | იტალია 10.09.00 | აშშ 24.09.00 | იაპონია 8.10.00 | მალაიზია 22.11.00 | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ.შუმახერი ფერარი, გერმანია | 10 | 10 | 10 | 4 | 2 | | | | | | | | | | | | | 36 |
| 2 ჰაკინენი მაკლარენი, ფინეთი | – | – | 6 | 6 | 10 | | | | | | | | | | | | | 22 |
| 3 კულჰარდი მაკლარენი, ბრიტანეთი | – | – | 4 | 10 | 6 | | | | | | | | | | | | | 20 |
| 4 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | 6 | – | 3 | – | 4 | | | | | | | | | | | | | 13 |
| 5 რ.შუმახერი უილიამსი, გერმანია | 4 | 2 | – | 3 | 3 | | | | | | | | | | | | | 12 |
| 6 ფიზიკელა ბენეტონი, იტალია | 2 | 6 | – | – | – | | | | | | | | | | | | | 8 |
| 7 ვილნევი BAR, კანადა | 3 | – | 2 | – | – | | | | | | | | | | | | | 5 |
| 8 ფრენცენი ჯორდანი, გერმანია | – | 4 | – | – | 1 | | | | | | | | | | | | | 5 |
| 9 ტრული ჯორდანი, იტალია | – | 3 | – | 1 | – | | | | | | | | | | | | | 4 |
| 10 ბატონი უილიამსი, ბრიტანეთი | – | 1 | – | 2 | – | | | | | | | | | | | | | 3 |
| *ზონტა (BAR, ბრაზილია), სალო (ზაუბერი, ფინეთი) — 1 ქულა* | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 ფერარი | 16 | 10 | 13 | 4 | 6 | | | | | | | | | | | | | 49 |
| 2 მაკლარენი | – | – | 10 | 16 | 16 | | | | | | | | | | | | | 42 |
| 3 უილიამსი | 4 | 3 | – | 5 | 3 | | | | | | | | | | | | | 15 |
| 4 ჯორდანი | – | 7 | – | 1 | 1 | | | | | | | | | | | | | 9 |
| 5 ბენეტონი | 2 | 6 | – | – | – | | | | | | | | | | | | | 8 |
| *BAR — 6; ზაუბერი — 1 ქულა* | | | | | | | | | | | | | | | | | | |

# PLAY OFF

## მეოთხედფინალი



დალასელი სკოტ ტორნტონის გოლი სანხოსელი სტივ შილდსის კარში

# დეტროიტი დონორს ეძებს

*უქმეებზე გამართულმა მატჩებმა სტენლის თასის პირველი ნახევარფინალისტები გამოავლინა. შარშანდელის დარად, დასავლეთის კონფერენციის ფინალში ერთმანეთს დალასი და კოლორადო შეხვდებიან. აღმოსავლეთში კი ნიუ ჯერსიმ და ფილადელფიამ მეხუთე მატჩები დამაჯერებლად მოიგეს და სერიაშიც დაწინაურდნენ.*

დასავლეთი

**კოლორადო — დეტროიტი 4:1**

5 მაისი

**კოლორადო — დეტროიტი 4:2**

0:0 2:1 2:1

1:0 საკიკი 22'46 (2); 2:0 იელი 30'01 (1); 2:1 მერფი 32'01 (2); 3:1 ფორსბერგი 44'40 (5); 3:2 შენაჰანი 46'13 (3); 4:2 ჰოდინი 49'01 (4)

როგორც ჩანს, წავიდა სკოტი ბოუმენის ზეობის დრო. ზედიზედ მეორე სეზონია, მის დეტროიტს კოლორადოს წინააღმდეგობა ვერ დაუძლევია. გულდასაწყვეტია, რომ ეს ჩინებული გუნდი ასე მობერდა და უფრო ენერგიულებსა და ძლიერებს უთმობს გზას. ფაქტობრივად, ამ სერიის ბედი მეოთხე შეხვედრაში გადაწყდა. „წითელფრთიანებს" შინ ანგარიშის გათანაბრების შანსი ჰქონდათ, მაგრამ ოვერტაიმში დამარცხდნენ და მეხუთე მატჩში რალას გააწყობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ პირველი პერიოდი უგოლოდ დასრულდა, აშკარა იყო, რომ კოლორადო დეტროიტს სჯობნიდა და ეს შემდგომმა მოვლენებმაც დაადასტურა. „ვფიქრობ, დღეს მეტოქემ თავისი საუკეთესო თამაში აჩვენა" — აღიარა სტუმართა მეკარე კრის ოსგუდმა. მასპინძლებმა „წითელფრთიანებს" მატჩის გადარჩენის ერთადერთი შესაძლებლობაც მოუსპეს, როცა ლარი მერფიმ უმცირესობაში ანგარიში შეამცირა — სერიის უეჭველად საუკეთესო მოთამაშემ, პეტერ ფორსბერგმა (5 შეხვედრაში 6 ქულა), შაიბა ცხრიანში გაგზავნა და ყველაფერს ნათელი მოჰფინა.

ის, თუ რატომ ვერ გაუწია დეტროიტმა კოლორადოს საკადრისი წინააღმდეგობა, ორი ფაქტორით აიხსნება. ჯერ ერთი, გუნდი შენაჰანმა და ლიდსტრიომმა დაალალატეს — ვერც ერთმა იკისრა ლიდერის ტვირთი, სტივ აიზერმანსაც ჩაუფლავდა სერია (2 პასი 5 მატჩში), სერგეი ფიოდოროვმა თუ გამოიჩინა ასე თუ ისე თავი. მეორეც, „წითელფრთიანები" ბოლო წლების განმავლობაში პრაქტიკულად ერთი შემადგენლობით ასპარეზობდნენ და მეტოქეებმა აჯობეს როგორც ფიზიკურ, ასევე ტაქტიკურ მომზადებაში. ასე რომ, თუ დეტროიტი კვლავ აპირებს უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლას, ახალი სისხლი უნდა გადაისხას.

**დალასი — სან ხოსე 4:1**

5 მაისი

**სან ხოსე — დალასი 4:5**

2:2 2:3 0:0

0:1 მოდანო 1'08 (6); 1:1 დამფუსი 8'52 (1); 1:2 კარბონო 10'21 (2); 2:2 რიჩი 17'34 (5); 2:3 ზუბოვი 20'56 (1); 3:3 ნოლანი 27'48 (8); 3:4 ნუინდაიკი 30'52 (2); 4:4 ჰარვი 34'08 (1); 4:5 ნუინდაიკი 38'07 (3)

7 მაისი

**დალასი — სან ხოსე 4:1**

2:0 0:0 2:1

1:0 ნუინდაიკი 10'31 (4); 2:0 ტორნტონი 13'34 (2); 3:0 ჰალი 44'02 (4); 4:0 კოტე 44'43 (1); 4:1 მარლო 48'32 (1)

შარშან დალასმა ერთადერთხელ გარისკა, მეტოქეს გახსნილ ჰოკეიში გაეჯიბრა და 5:7 დამარცხდა. ამჯერადაც სასწორზე შეაგდო მატჩის ბედი ჩემპიონმა, მაგრამ მოიგო. წლეულს „ვარსკვლავები" ისეთი თავდაჯერებულები და ძლიერები არიან, სანხოსელები წინასწარ იყვნენ განწირულნი. უაღრესად ემოციურ და დაძაბულ მეოთხე შეხვედრაშიც კი დალასმა ცივი გონებით იმოქმედა და მეტოქეს არც ერთხელ არ მისცა დაწინაურების საშუალება. ხოლო მეორე პერიოდის მიწურულს, როცა ნუინდაიკმა მეხუთედ გაზარდა ანგარიშში სხვაობა, კენ ჰიჩკოკის მითითებით მისი შეგირდები კვლავ ჩვეული ტაქტიკით ათამაშდნენ და მასპინძლებს ბოლო მესამედში არც ერთი ხელსაყრელი მომენტი არ შეაქმნევინეს. ამ წაგების შემდეგ „ზვიგენები" ფსიქოლოგიურად გატყდნენ, მით უფრო, რომ მომდევნო მატჩი სტუმრად ელოდათ.

უკვე პირველ პერიოდში ჯო ნუინდაიკმა და მისმა პარტნიორმა სკოტ ტორნტონმა ორი გოლით გადაწყვიტეს თამაშის ბედი. სან ხოსემ ამას ბოლო მესამედში ვერაფრით უპასუხა, მიუხედავად იმისა, რომ დიდ უპირატესობას ფლობდა.

აღმოსავლეთი

**ფილადელფია — პიტსბურგი 3:2**

7 მაისი

**ფილადელფია — პიტსბურგი 6:3**

2:0 3:1 1:2

1:0 ლენგკოუ 0'23 (4); 2:0 დელმორი 3'27 (3); 3:0 მაკჯილისი 20'16 (2); 4:0 რეკი 23'27 (2); 4:1 რაიტი 35'06 (3); 5:1 დელმორი 37'50 (4), 5:2 კასპარაიტისი 40'40 (1); 6:2 დელმორი 45'17(5); 6:3 ბრაუნი 48'42 (1)

მეორე მატჩის უმძიმესმა, შვიდსაათიანმა მარათონმა, როგორც ჩანს, საბოლოოდ გატეხა პიტსბურგი. იგი ხომ, ფილადელფიისაგან განსხვავებით, ლიდერებზე ერთობ დამოკიდებული გუნდია. წინა მატჩში და საერთოდ სერიაში გადატანილმა უდიდესმა დატვირთვამ ძალიან მოქანცა იაგრი და კომპანია. მით უმეტეს, რომ ბედიც უფრო ფილადელფიელებს სწყალობდა (მანამდე კი გააწამა). „მფრინავთა" ახალმა ცენტრმა დეიმონ ლენგკოუმ მარკ რეკის პასის შემდეგ პირველივე ცვლაში გახსნა ანგარიში, შემდეგ კი პიტსბურგის პირველივე ჯარიმა მეორე გოლით დასრულდა. იმავე რეკიმ, რომელიც ბრწყინავდა ამ მატჩში (საბოლოოდ გოლი და 4 პასი მიითვალა), ენდი დელმორი ახეირა. საბოლოოდ კი პიტსბურგი იარომირ იაგრის ტრავმამ დააჩოქა. საწყისი მესამედის მიწურულს სუპერჩეხს კვლავ შეახსენა თავი ძველმა ტრავმამ (ფეხის კუნთი დაეჭიმა) და მატჩის მიწურულსღა დაბრუნდა. ფილადელფია კი მხოლოდ მაშინ დაწყნარდა, როცა ანგარიში 6:2 გახადა. ამრიგად, პირველ ორ მატჩში წაგების შემდეგ „მფრინავებმა" სამჯერ მოიგეს და ხელთ იგდეს ინიციატივა, თუმც სერიაში გამარჯვებაზე მაინც ნაადრევია საუბარი. მით უმეტეს, რომ მეექვსე შეხვედრაში იაგრიც ითამაშებს.

**ტორონტო — ნიუ ჯერსი 2:3**

**ტორონტო — ნიუ ჯერსი 3:4**

1:1 1:1 1:2

1:0 ვოლკი 8'55 (1); 1:1 ელიაში 16'11 (3); 2:1 ფარკაში 22'19 (1); 2:2 ნემჩინოვი 35'59 (3); 2:3 მალახოვი 47'47 (1); 2:4 მედენი 54'07 (1); 3:4 ბერეზინი 57'04 (4)

ეს სერიის ყველაზე საინტერესო და შინაარსიანი მატჩი გახლდათ, რომელმაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ნიუ ჯერსი აღარ ხუმრობს. სხვადასხვანაირი ხაფანგები და დაცვითი ვარიანტების ნაირსახეობა, რომელსაც ჟაკ ლემერის დროს იყენებდნენ, წარსულს ჩაბარდა. ახლა „ეშმაკები" უფრო შემტევ ჰოკეის აჩვენებენ და ამგვარი თამაშის მიმდევარ მეტოქესთანაც შეუძლიათ ჭიდილი. თავიდან თითქოს მასპინძლები უკეთ გამოიყურებოდნენ, ანგარიშიც გახსნეს, კიდევ შეეძლოთ გატანა, მაგრამ პატრიკ ელიაშის ჩინებულმა გოლმა დაამშვიდა ნიუ ჯერსი და მეორე პერიოდიდან უპირატესობაც იგდო ხელთ. მართალია, მათ კიდევ ერთხელ დასჭირდათ ბრძოლა იმისთვის, რომ მეტოქეს დასწეოდნენ, თანაც ტორონტოელთა მეკარე კერტის ჯოზეფი კარგა ხანს არ აძლევდა მათ ამის საშუალებას, მაგრამ ისიც უძლური აღმოჩნდა.

მატჩის გმირი სკოტ გომესი გახდა. საინტერესოა, რომ ჩემპიონატის ეს საუკეთესო ახალბედა პლეი ოფში არცთუ გამოირჩეოდა, მაგრამ 19 წლის ალიასკელს კიდევ ერთი შანსი მისცეს და არც შემცდარან. სწორედ გომესის ორი უზუსტესი პასით მიეცა ნიუ ჯერსის შანსი, ჯერ გაეთანაბრებინა და შემდეგ დაწინაურებულიყო კიდეც. ხოლო როცა ჯონ მედენმა ჯოზეფის ერთადერთი შეცდომა გამოიყენა, ბევრს ბრძოლა მოთავებული ეგონა, მაგრამ ამ ლამაზ თამაშს დასასრულიც ასეთივე ჰქონდა. ოდნავ მოეშვა ნიუ ჯერსი (რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი გაფლანგა), რითაც სერგეი ბერეზინმა ისარგებლა. ტორონტომ მერე კვლავ შეუტია, მაგრამ „ეშმაკებმა" სასურველი ანგარიში შეინარჩუნეს.

**სამველ ლარიბიანი**

მსოფლიოს ჩემპიონატი. სანკტ პეტერბურგი. რუსეთი

# ჰოკეისტებმა პუტინს აწყენინეს

„სირცხვილი!", „შოკი!", „კრახი!" — ამ სიტყვებით გამოეხმაურა რუსული მასმედია თავისი ნაკრების გამოსვლას მსოფლიოს ჩემპიონატზე. სამართლიანადაც. მას შემდეგ, რაც რუსეთმა პირველობის ჩატარების უფლება მოიპოვა, ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტს თვით ვლადიმირ პუტინი ჩაუდგა სათავეში, ყველა საჭირბოროტო საკითხი ლამის მთავრობის დონეზე წყდებოდა, ნჰლ-დანაც, პირველად ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, 14 კაცი ჩამოვიდა — პაველ ბურე, სერგეი გონჩარი, თვით ალექსეი იაშინიც კი, რომლის ჩამოსაყვანადაც ასე იბრძოდნენ რუსები... საბოლოოდ კი რა? — ზედიზედ ოთხი უსახელო მატჩი, ოთხი მწარე მარცხი და პირველად რუსული ჰოკეის ისტორიაში არათუ საუკეთესო სამეულის, მეოთხედფინალს მიღმა დარჩენაც.

თუ პირველი ორი წაგება ყველამ შემთხვევითობად მიიჩნია, ლატვიელებთან შეხვედრაში რუსეთის ნაკრები სრულიად უსუსური, ინდივიდუალური თამაშით დაქუცმაცებული წარუდგა მაყურებელს. სადღა იყო მათი განთქმული ერთსულოვნება, ისიც იგრძნობოდა, რომ ფიზიკურად ძალიან ცუდად იყვნენ მომზადებულნი. განსაკუთრებით მესამე მესამედებში უჭირდათ, მაშინ, როცა მთელი ძალისხმევით უნდა ებრძოლათ მატჩის გადასარჩენად. ხოლო მას შემდეგ, რაც შვეიცარიელებმა ფავორიტ შვედებს ქულა წაართვეს, ნათელი გახდა, რომ რუსებს მეოთხედფინალში გასვლის თეორიული შანსიც კი აღარ ჰქონდათ. მათაც მოძმე ბელარუსებს მშვიდობიანად დაუთმეს ორი ქულა.

E ჯგუფი

**შვედეთი — შვეიცარია 1:1**

0:0 0:0 1:1

0:1 ტ. ციგლერი 46'24; 1:1 ჰუსელიუსი 56'13

**რუსეთი — ბელარუსი 0:1**

0:1 0:0 0:0

0:1 ციპლაკოვი 12'00

**აშშ — ლატვია 1:1**

0:1 0:0 1:0

0:1 ლივინში 6'33; 1:1 ჰაგერტი 49'32

მე-13 ადგილისთვის

უკრაინა — იაპონია 4:0; ავსტრია — საფრანგეთი 3:3; უკრაინა — საფრანგეთი 3:2; ავსტრია — იაპონია 5:3

F ჯგუფი

**ნორვეგია — სლოვაკეთი 1:9**

0:3 1:1 0:5

0:1 შატანი 2'13; 0:2 სეკერაში 10'12; 0:3 პრუსი 16'58; 0:4 ჰანდზუსი 24'47; 1:4 მაგნუსენი 39'54; 1:5 ჰლინკა 41'18; 1:6 პუხერი 50'19; 1:7 ბარტოში 54'15; 1:8 ბარტოში 57'45; 1:9 ჰლინკა 59'55

**კანადა — იტალია 6:0**

2:0 3:0 1:0

1:0 შეფერი 3'37; 2:0 სილინჯერი 8'59; 3:0 ჯონსონი 24'28; 4:0 სალივანი 26'56; 5:0 ოკუანი 32'36; 6:0 სილინჯერი 57'59

**ფინეთი — ჩეხეთი 6:4**

1:2 2:1 3:1

0:1 კაბერლე 2'14; 0:2 პროსპალი 7'36; 1:2 ნუმელინი 17'44; 2:2 ნუმელინი 22'26; 2:3 სიკორა 24'46; 3:3 ტუომაინენი 28'42; 3:4 დოპიტა 51'31; 4:4 პელტონენი 52'30; 5:4 ლინდი 52'49; 6:4 რინტანენი 58'37

8 მაისი

E ჯგუფი

**ლატვია — შვეიცარია 1:4**

0:0 0:3 1:1

**შვედეთი — აშშ 3:5**

1:2 2:2 0:1

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 3 | 2 | 0 | 13:7 | 8 |
| შვეიცარია | 2 | 3 | 0 | 11:7 | 6 |
| შვედეთი | 2 | 1 | 1 | 14:7 | 5 |
| ლატვია | 2 | 1 | 2 | 12:13 | 5 |
| ბელარუსი | 1 | 0 | 3 | 4:14 | 2 |
| რუსეთი | 0 | 0 | 4 | 4:10 | 0 |

F ჯგუფი

**ნორვეგია — ფინეთი 4:7**

0:2 3:4 1:1

**ჩეხეთი — სლოვაკეთი 6:2**

1:0 3:2 2:0

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 4 | 0 | 1 | 25:11 | 8 |
| ფინეთი | 3 | 1 | 1 | 22:15 | 7 |
| სლოვაკეთი | 2 | 1 | 1 | 19:11 | 5 |
| კანადა | 2 | 0 | 2 | 15:7 | 4 |
| ნორვეგია | 1 | 0 | 3 | 9:23 | 2 |
| იტალია | 0 | 0 | 4 | 4:27 | 0 |

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა

XXX ტური

ჰანოვერი 3:5 კიოლნი

## იტალია

სერია B

XXXIII ტური

ემპოლი 4:1 ნაპოლი

## საბერძნეთი

XXXI ტური

აეკ 3:0 აპოლონი

არისი 0:1 ოლიმპიაკოსი

პანათინაიკოსი 3:1 პროდეფტიკი

პაოკ 2:0 პანიონისი

## რაგბი.ზე 12. მეთერთმეტე ტური

5 მაისი

კრაისტჩერჩი (ახალი ზელანდია) 22:13 სიდნეი (ავსტრალია)

იოჰანესბურგი (სამხრეთ აფრიკა) 34:27 ოკლენდი (ახალი ზელანდია)

6 მაისი

დურბანი (სამხრეთ აფრიკა) 31:44 ჰამილტონი (ახალი ზელანდია)

პრეტორია (სამხრეთ აფრიკა) 40:42 დანიდინი (ახალი ზელანდია)

კანბერა (ავსტრალია) 38:32 ბრისბენი (ავსტრალია)

7 მაისი

კეიპტაუნი (სამხრეთ აფრიკა) 43:23 ველინგტონი (ახალი ზელანდია)

რაგბი. ევროპის თასი

ნახევარფინალი

6 მაისი

ტულუზი (საფრანგეთი) 25:31 მანსტერი (ირლანდია)

7 მაისი

ნორტჰემპტონი (ინგლისი) 31:28 ლიანელი (უელსი)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.opentext.org.ge/sarbieli